

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ინგლისური ფილოლოგია

მერი გიორგაძე

სიტყვათა თამაშის ფუნქცია, სემანტიკა, პრაგმატიკა და თარგმანი

(ინგლისურ და ქართულ ენათა მასალაზე)

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა რუსიეშვილი.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

სრული პროფესორი.

თ ბ ი ლ ი ს ი

2014



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

სარჩევი

შესავალი ----- 4-8

თავი I

სიტყვათა თამაშისა და მისი ჟანრობრივი მახასიათებლების შესახებ ----- 9-11

1.1. სიტყვათა თამაში ფონეტიკური, გრაფოლოგიური და მორფოლოგიური
თვალსაზრისით ----- 12-48

1.2. სიტყვათა თამაში ლექსიკური, სინტაქსური და სემანტიკური
თვალსაზრისით ----- 49-52

1.3. კალამბურის ტიპოლოგია ----- 52-82

1.4. სიტყვათა თამაში გრაფოლოგიურ - გრაფიკულ - ტექსტობრივი
თვალსაზრისით ----- 83-99

I თავის დასკვნა ----- 100-102

თავი II

იუმორის თეორიები და მისი შექმნის გზები ----- 103-105

2.1. უპირატესობის (აღმატებულობის) თეორია ----- 105

2.2. შეუსაბამობის თეორია ----- 106

2.3. განმუხტვის თეორია ----- 107

2.4. ანეკდოტის რაობა და მისი პარემიული ფორმა ----- 108-111

2.5. კალამბურული ანეკდოტი და მ. მინსკის ფრეიმების თეორია --- 112-116

2.6. კალამბურული ანეკდოტი ვიქტორ რასკინის სკრიპტების თეორიის
მიხედვით ----- 116-121

2.7. ანეკდოტის სწორად ფორმირება ----- 122-126

2.8. კალამბურული ანეკდოტისადმი კოგნიტიური მიდგომა ----- 126-127

II თავის დასკვნა ----- 128

თავი III

კალამბურის ლინგვისტური თავისებურებები და მათი ტიპოლოგია -----	129
3.1. ლექსიკურ - სემანტიკური კალამბური -----	129-134
3.2. სტრუქტურულ - სინტაქსური კალამბური -----	135-136
3.3. სტრუქტურულ - სემანტიკური კალამბური -----	137-139
3.4. კალამბურული სიტყვათა თამაში ლიტერატურაში -----	140-165
III თავის დასკვნა -----	166-167

თავი IV

კალამბურული სიტყვათა თამაში გამოცანებში -----	168-172
4.1. ლექსიკურ - სემანტიკური ორაზროვნება და კალამბურული გამოცანა -----	173-178
4.2. სტრუქტურულ - სინტაქსური ორაზროვნება და კალამბურული გამოცანა -----	179
4.3. სტრუქტურულ - სემანტიკური ორაზროვნება და კალამბურული გამოცანა -----	180-181
IV თავის დასკვნა -----	182

თავი V

სიტყვათა თამაშის გამოყენება პიარ - ტექნოლოგიებში -----	183-192
V თავის დასკვნა -----	193
5.1. სიტყვათა თამაშის თარგმნის პრობლემა -----	194-196
საერთო დასკვნა -----	197-201
დანართი -----	202-209
გამოყენებული ლიტერატურა -----	210-219

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომის „სიტყვათა თამაშის ფუნქცია, სემანტიკა, პრაგმატიკა და თარგმანი“ (ინგლისურ და ქართულ ენათა მასალაზე) კვლევის მიზანია სიტყვათა თამაშისა და მისი მახასიათებლების განხილვა ენის ფონოლოგიურ, გრაფოლოგიურ, მორფოლოგიურ, ლექსიკურ, სინტაქსურ და ტექსტობრივ დონეებზე. გარდა ამისა, ყურადღების არეში ექცევა სიტყვათა თამაშის შემდეგი სახეები: სპონტანური, ვერტიკალური, ჰორიზონტალური და უნივერსალური ფორმით გამოხატული სიტყვათა თამაში და მათი გამოყენების სპეციფიკა სხვადასხვა ჟანრში. კერძოდ, ანექლოტებში, ლიტერატურულ ნაწარმოებებში, მეტყველებაში, რეკლამა – განცხადებებში (პიარ-ტექნოლოგიებში), ზღაპრებსა და იუმორში, სიმღერებსა და მედიაში, გამოცანებსა და „სლოგანებში“ და სხვ. შესაბამისად, ნაშრომის ემპირიულ მასალას სწორედ ეს პრობლემატიკა ქმნის.

ჩამოთვლილი სიტყვათა თამაშის სახეობები შეიძლება აიგოს ენის სხვადასხვა პარამეტრებზე დაყრდნობით. მაგალითად: ორთოგრაფიის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკის, ფონეტიკისა და სხვ. (Leppihalme 1997:12).

ცნობილია, რომ სიტყვათა თამაშს შეუძლია მოახდინოს არა მხოლოდ იუმორისტული, არამედ ირონიული, სატირული, დრამატული, კრიტიკული ან/და სხვა განსაზღვრული ეფექტი. ფორმალურად სიტყვათა თამაში შეიძლება გამოიხატოს სიტყვიერ გონებამახვილურობასა და ორთოგრაფიულ თავისებურებებში, სიტყვის უღერადობასა და ფორმაში, გრამატიკული წესების დარღვევასა და სხვა ლინგვისტური პარამეტრის მეშვეობით. მისი პრაგმატიკული დატვირთვიდან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ სხვადასხვა ლინგვისტური ერთეული, კერძოდ კი, კალამბური, ოქსიმორონი, სპუნერიზმი, ველერიზმი და სხვ. ჩავთვალოთ სიტყვათა თამაშად. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ერთეულები სიტყვათა თამაშად მიიჩნევა კონტექსტში, ანუ მისი პრაგმატიკული დატვირთვა, კერძოდ, იუმორული, სატირული და/ან სხვა ეფექტი მიიღწევა და აქტუალიზდება კონტექსტში.

ჩვენი ამ საკითხით დაინტერესება განპირობებულია, როგორც პიროვნული, ისე ლინგვისტიკის მიერ გამოხატული ინტერესით სიტყვების, ფრაზების, გამოთქმებისა და სხვა ენობრივი ელემენტების პოლისემიისა და ეკვივალენტურობის სპეციფიკის მიმართ, როგორც ერთი ენის, ისე ენათაშორის სიბრტყეზე. მით უფრო, რომ პროპოზიციისა თუ ლექსიკური ელემენტის გამოსახვის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია, ხშირ შემთხვევაში, სწორედ სიტყვათა თამაშის საშუალებით მიიღწევა.

როგორც აღვნიშნეთ, სიტყვათა თამაში ფართოდ გამოიყენება არა მხოლოდ ლიტერატურაში, არამედ ყოველდღიურ მეტყველებაში და პიარტექნოლოგიებში (რეკლამა-განცხადებებში). თუმცა, მის გამოყენებას, სხვადასხვა ჟანრში სხვადასხვა სპეციფიკური დატვირთვა აქვს.

ნაშრომის **თემის აქტუალობა** განსაზღვრულია იმით, რომ სიტყვათა თამაშის ლინგვოსემანტიკური სტრუქტურა განხილულია როგორც ზოგადთეორიული, ისე კონტექსტურ-პრაგმატიკული კუთხით. დასმულია კითხვები: რა არის სიტყვათა თამაშის, როგორც ჟანრის განმასხვავებელი, დიფერენციალური ნიშან-თვისება? კერძოდ, მისი აქტუალიზაციისას ლიტერატურულ ნაწარმოებებში, რეკლამა – განცხადებებში, „სლოგანებში“, კოლოკიურ მეტყველებაში, გამოცანებში და სხვ. თუ როგორ აქტუალიზდება იგი. როგორია მისი ტიპოლოგიური კლასიფიკაცია? როგორია მათი სემანტიკური ნიშნები? რა პრაგმატიკული თავისებურებებია დამახასიათებელი სიტყვათა თამაშისათვის? რა დატვირთვა აქვს მის გამოყენებას სხვადასხვა ჟანრში? რა ქმნის სიტყვათა თამაშით გამოწვეულ იუმორს? ეს ის ძირითადი კითხვებია, რომლებსაც შეძლებისდაგვარად შევეცადეთ სრული და ამომწურავი პასუხი გაგვეცა წარმოდგენილ ნაშრომში.

ნაშრომის ერთ-ერთ **პრობლემას** წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რა ქმნის სიტყვათა თამაშს, როგორია მათი ჟანრობრივი დატვირთვა ინგლისურსა და ქართულ ენაში გამოყენებული სიტყვათა თამაშის მაგალითების ანალიზის საფუძველზე. ასევე მნიშვნელოვანია, კონკრეტული შემთხვევისას, იუმორის გადმოტანის სპეციფიკა და პრობლემატიკა თარგმანში.

კვლევისათვის გამოვიყენეთ, როგორც **დესკრიპციული** ისე **შეპირისპირებითი** მეთოდები ქართულ და ინგლისურ ენათა მასალაზე.

თემის პრაქტიკულ ამოცანას წარმოადგენს აღნიშნული საკითხების ირგვლივ თეორიული მსჯელობა და ამის საფუძველზე შესაბამისი პრაქტიკული მაგალითების ანალიზი და მიღებული შედეგების განზოგადება.

ნაშრომის საკვლევ ემპირიულ მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურული ნაწარმოებები, კერძოდ, შექსპირის პიესები და ტრაგედიები, რიჩარდ ბრინსლი შერიდანის, ჩარლზ დიკენსის, შელ სილვერსტეინის, ედგარ ალან პოს, ოსკარ უაილდის, ბერნანდ შოუს, ლუის კაროლის, ტომას ჰუდის, ჯეიმს ჯოისის, ო'ჰენრის, კეტრინ მენსფილდის, ჯონ სტეინბეკის, გალაკტიონ ტაბიძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ილია ჭავჭავაძის, შოთა რუსთაველის, გიორგი ლეონიძის, ვახტანგ ჯავახიძის, აკაკი წერეთელის და სხვათა შემოქმედებიდან; გამოცანები, ანეკდოტები, იუმორისტული ნათქვამები, რეკლამა-განცხადებები და სხვ. ცხადია, მასალა შეიკრიბა ორივე საკვლევ (ინგლისურ და ქართულ) ენებზე და შესაბამისად, აქ წარმოდგენილი იქნება ზემოთ განმარტებული თემის კონკრეტული მაგალითები და ნიმუშები ქართული და ინგლისური ენებიდან.

დისერტაციის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ მასში, პირველად, მასშტაბურად ორი ენის ფარგლებში და მრავალფეროვან ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით განხილულია სიტყვათა თამაშის კომპოზიციურ – სტრუქტურული ელემენტების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია და მოცემულია მათი დაწვრილებითი ანალიზი კონკრეტული მაგალითების საფუძველზე. დადგენილია სიტყვათა თამაშისა და მისი სახეობების ხმარების პრაგმატიკული ინტენციურობა – არაინტენციურობის პარამეტრები. განხილულია სიტყვათა თამაშის ერთი ენიდან მეორეზე თარგმანის პრობლემატიკა. შემოთავაზებულია სიტყვათა თამაშის ერთ-ერთი სახეობის, კერძოდ კი, კალამბურის შესახებ ჩვენეული კლასიფიკაცია. ასევე გამოვყავით სიტყვათა თამაშის ზოგიერთი სახეობის ქვეკატეგორიები, კერძოდ კი, ანაგრამის, აკროსტოქისა და პალინდრომისა. სიტყვათა თამაშის სხვადასხვა სახეობათა ფორმისა და აგებულების გათვალისწინებით დავაზუსტეთ რამდენიმე ტერმინი.

ნაშრომის თეორიული ღირებულება, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს საკვლევი სფეროს აქტუალურობაში. სიტყვათა თამაში არაერთი მწერლის შემოქმედებისთვისაა დამახასიათებელი. ბოლო დროს, ამ უკანასკნელს

განსაკუთრებით აქტუალურად იყენებენ პიარ-ტექნოლოგიებსა და სოციალურ ქსელებში, ასევე კოლოკვიურ მეტყველებაში. რაც შეეხება **ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას**, მასში გამოყენებული პრინციპები და მიღებული შედეგები შეიძლება დაინერგოს სხვადასხვა ენის სწავლებისა და კვლევის სასწავლო, თეორიულ და პრაქტიკულ კურსებში, რაც ხელს შეუწყობს ინგლისური ენის სწავლების სახალისოდ წარმართვის პროცესს. გარდა ამისა, სიტყვათა თამაში ხელს უწყობს ენის პოლისემიური, ომონიმური და სტრუქტურული თავისებურებებითა და მათი თარგმანის სპეციფიკით სტუდენტების დაინტერესებას.

ნაშრომის სტრუქტურა შედგება შესავლის, ხუთი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან. რასაც თან ერთვის დანართი, გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურისა და სხვა წყაროთა ნუსხა.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი პრობლემის არჩევანი, განსაზღვრულია კვლევის მიზნები და ამოცანები, გამოკვეთილია ნაშრომის მეცნიერული სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.

I თავში განხილულია სიტყვათა თამაშის პრობლემატიკით დაინტერესებული ავტორების მოსაზრებები ზოგადად სიტყვათა თამაშის რაობისა და მისი ერთ-ერთი სახეობის, კალამბურის შესახებ. განხილულია სიტყვათა თამაშის კატეგორიები და ჟანრობრივი მახასიათებლები. ასევე განხილულია სიტყვათა თამაშის ფენომენი **ვიწრო** და **ფართო** გაგებით, დადგენილია მისი სახეობების პრაგმატიკული ხმარების **ინტენციურობა** – **არაინტენციურობის** პარამეტრები. დადგენილია ზღვარი კალამბურსა და სიტყვათა თამაშის სხვა სახეობებს შორის. განხილულია კალამბურის თვისებები და დადგენილია მისი ტიპოლოგია.

II თავში შესწავლილია იუმორის შექმნის გზები. საუბარია იუმორის თეორიების შესახებ. განხილულია ანეკდოტი (კალამბურული ანეკდოტი) და მისი პარემიული ფორმა მინსკის ფრეიმების თეორიისა და ვიქტორ რასკინის სკრიპტების თეორიის მიხედვით. ასევე განხილულია კალამბურული ანეკდოტის სტრუქტურა და მისი ლინგვისტური მახასიათებლები.

III თავი შეისწავლის კალამბურის, როგორც სიტყვათა თამაშის სახეობის ტიპოლოგიასა და მისი გამოვლენის თავისებურებებს ქართულსა და

ინგლისურში. ასევე შემოთავაზებულია, სხვადასხვა მკვლევრის მიერ წარმოდგენილ კლასიფიკაციათა საფუძველზე და ჩვენი დაკვირვების შედეგად დაზუსტებული კალამბურის ჩვენეული კლასიფიკაცია. განხილულია, ზოგადად, ლინგვისტური ორაზროვნება და მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით.

IV თავში შესწავლილია კალამბურის, როგორც სიტყვათა თამაშის ერთ-ერთი სახის გამოყენება გამოცანებში, ჩვენს მიერ შემოთავაზებულ კალამბურის ახალ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით.

V თავში განხილულია, თუ როგორ გამოიყენება სიტყვათა თამაში რეკლამა – განცხადებებსა და პიარ-ტექნოლოგიებში და რა პრაგმატიკული დატვირთვა აქვს მას. ამავე თავში, ქვეთავის სახით, წარმოდგენილია სიტყვათა თამაშის თარგმნისა და უთარგმნელობის პრობლემატიკა.

დასკვნაში შეჯამებულია ჩატარებული ანალიზის კვლევის შედეგები.

თავი I

სიტყვათა თამაშისა და მისი ჟანრობრივი მახასიათებლების შესახებ

სპეციალურ ლიტერატურაში არ არსებობს სიტყვათა თამაშისადმი საყოველთაოდ მიღებული მიდგომა და მისი ყველასათვის მისაღები განმარტება. (Leppihalme 1997 : 141–143) მართებულად აღნიშნავს, რომ სიტყვათა თამაშის შესახებ სხვადასხვა მკვლევრის მიერ წარმოდგენილი განმარტებისა და მათი კლასიფიკაციის განსხვავებულობა და გარკვეულწილი აღრევა განპირობებულია თავად სიტყვათა თამაშის სახელით ცნობილი კატეგორიებისა და ქვეკატეგორიების სირთულით. ხშირად სიტყვათა თამაშს აიგივებენ კალამბურთან (Delabasitita 1996; Gottlieb 2005; Redfern 1985), რომელიც, ფაქტობრივად, გვევლინება მის ერთ-ერთ სახედ. ის მკვლევარები, რომლებიც ამ თვალსაზრისს ადგანან, ორივე ტერმინს („სიტყვათა თამაში“ და „კალამბური“) განიხილავენ, როგორც ერთი და იმავე კონცეპტის აღმნიშვნელ სინონიმურ ერთეულებს.

კიარო სიტყვათა თამაშის კატეგორიაში მოაქცევს მხატვრულ შედარებას, მეტაფორას, კალამბურს, სპუნერიზმს, მალაპროპიზმს, ველერიზმს და სხვა ერთეულებს (Chiaro 1992:4). ამგვარად, მას მიაჩნია, რომ სიტყვათა თამაში არის ზოგადი სახელწოდება (სიტყვათა თამაშის სხვადასხვა სახეობებისა) და მის ჩამონათვალში ძირითადად მოიაზრება კალამბური. (იგი არ აიგივებს კალამბურსა და სიტყვათა თამაშს).

ზემოხსენებული განმარტებების საფუძველზე, ჩვენი აზრით, სიტყვათა თამაში არის ლინგვისტური ფენომენი, რომლის აქტუალიზაციის დროსაც ენობრივი არსენალის (ფონემური, გრაფოლოგიური*, მორფემული, სინტაქსური, სემანტიკური, სტილისტური, გრაფიკული*) გარკვეული კომბინაციები გამოიყენება კონკრეტული პრაგმატიკულ - კონტექსტუალური ფუნქციით.

* გრაფოლოგია – ხელწერა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ადამიანის ხელით ნაწერით, მისი ხასიათის გაგება.

* გრაფიკა – გამოსახულების შექმნა სხვადასხვა სახის ხელსაწყოებისა და ტექნიკის მეშვეობით.

ლინგვისტური თამაში სიტყვების მეშვეობით იწვევს აზრთა თამაშსა და შერკინებას, რომლის დროსაც იქმნება ბუნდოვანება და ორაზროვნება, რაც თავისთავად სიტყვის, ფრაზის ან წინადადების ორგანიზაციის ან მეტი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

მიუხედავად რამდენიმე ცნობილი განმარტებისა და მოსაზრებისა, ჩვენი აზრი სიტყვათა თამაშის განმარტებისა და კალამბურის რაობის შესახებ ემთხვევა კიაროსა და ლეპიჰალმეს აზრს და მათ კვლავდაკვალ, კალამბურს მივიჩნევთ სიტყვათა თამაშის ქვეკატეგორიად ანუ, მის ერთ-ერთ სახეობად, მრავალ სხვა სახეობათა შორის.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ შეიძლება ვილაპარაკოთ სიტყვათა თამაშის **ფართო** და **ვიწრო** გაგებაზე. ვიწრო თვალსაზრისით, სიტყვათა თამაში უიგივდება კალამბურს, პანს (Delabastita 1996; Gottlieb 2005; Redfern 1985). ხოლო, ამ ფენომენის ფართო თვალსაზრისით განხილვა გულისხმობს მის ფარგლებში მრავალი ქვესახეობის გამოყოფას. კერძოდ, სიტყვათა თამაში მოიცავს კალამბურს, ველერიზმს, სპუნერიზმს, ანაგრამას, პალინდრომს, ონომატოპეას, მონდგერინს, მალაპროპიზმს, ოქსიმორონს და სხვ.

მასალის განხილვამ დაგვარწმუნა, რომ სიტყვათა თამაშის ყველა გავრცელებული სახეობა მსგავს უანრობრივ მახასიათებელს ეფუძნება. კერძოდ, სიტყვათა თამაშის აუცილებელი პრაგმატიკული პირობაა სახალისო, იუმორისტული ან სარკასტული განწყობის შექმნა. ამავე დროს, სიტყვათა თამაშის კატეგორიაში შემავალი ერთეულები ხასიათდებიან გარკვეული ტიპისა და ხარისხის ენობრივი ერთეულების ფორმირებით. კერძოდ, ენობრივი ერთეულების ფორმირება შეიძლება ხდებოდეს ენის ნებისმიერ დონეზე: 1. ფონეტიკურ - გრაფოლოგიურ - მორფოლოგიურ, 2. ლექსიკურ - სინტაქსურ - სემანტიკურ და 3. გრაფოლოგიურ - გრაფიკულ - ტექსტობრივ დონეზე. შესაბამისად, გამოყოფთ შემდეგი სახის ერთეულებს:

1. **სიტყვათა თამაში ფონეტიკური, გრაფოლოგიური და მორფოლოგიური თვალსაზრისით:** მონდგერინი, ონომატოპეა, სპუნერიზმი, ანაგრამა, მალაპროპიზმი, პალინდრომი.

2. **სიტყვათა თამაში ლექსიკური, სინტაქსური და სემანტიკური თვალსაზრისით:** კალამბური, ველერიზმი, ოქსიმორონი. ამ დონის ერთეულები ასევე ხასიათდებიან სემანტიკური ორაზროვნებით.
3. **სიტყვათა თამაში გრაფოლოგიურ - გრაფიკულ - ტექსტობრივი თვალსაზრისით:** აკროსტიქი, ანაგრამული პოეზია, გრაფიკული პოეზია, გრაფიკულ - პალინდრომული პოეზია.

ასევე საყურადღებოა აღნიშნული ტერმინების ინტენციურობა - არაინტენციურობის კრიტერიუმზე დაყრდნობით განხილვა. ცნობილია, რომ მწერლები სიტყვათა თამაშის სახეობებს განზრახულად იყენებენ ნაწარმოებებში, რათა ტექსტმა შეიძინოს იუმორისტული, სატირული ან სარკასტული ეფექტი ანუ მისი გამოყენება ამგვარ შემთხვევებში, ბუნებრივია, ინტენციურია. ხოლო, როდესაც სიტყვათა თამაშის სხვადასხვა სახეობას, ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე ვიყენებთ კოლოკვიურ მეტყველებაში, იგი პრაქტიკულად აქტუალიზდება არაინტენციურობის, შემთხვევითობის კრიტერიუმზე დაყრდნობით.

კვლევის მიზანია სიტყვათა თამაშის *ვიწრო* (კალამბური / პანი) და მისი *ფართო გაგების* ფარგლებში, ამ საინტერესო ფენომენის ჟანრობრივი მახასიათებლებისა და სპეციფიკის განხილვა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიტყვათა თამაშის შემადგენელ ერთეულებს ახასიათებთ საერთო პრაგმატიკული ფუნქციები: ისინი იხმარება იუმორისტული, სარკასტული ან ირონიული ეფექტის მისაღწევად, მკითხველის (მსმენელის) ყურადღების მისაპყრობად ან, უბრალოდ, მის დასაფიქრებლად.

ჩვენი აზრით, სიტყვათა თამაშის ფართო გაგება უფრო ზუსტად აღწერს და ასახავს სიტყვათა თამაშის ფენომენის არსს. შესაბამისად, ვემხრობით მის ფართო გაგებას და გამოვყოფთ ფართო კატეგორიაში შემავალ შემდეგი სახის ერთეულებს, კონკრეტულ ენობრივ დონეზე აქტუალიზაციის თვალსაზრისიდან. კერძოდ, ამ რაკურსით, სიტყვათა თამაში მოიცავს კალამბურს, ველერიზმს, სპუნერიზმს, ანაგრამას, პალინდრომს, ონომატოპეას, მონდეგრინს, ოქსიმორონს და სხვ.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე მაგალითების მოყვანით.

1.1. სიტყვათა თამაში ფონეტიკური, გრაფოლოგიური და მორფოლოგიური თვალსაზრისით

სიტყვათა თამაშის სახეობები ფონეტიკურ - გრაფოლოგიურ და მორფოლოგიურ დონეზე: ამ ერთეულებს მიეკუთვნება (მონდეგრინი, ონომატოპეა, სპუნერიზმი, ანაგრამა, პალინდრომი, მალაპროპიზმი). მათი საერთო ნიშანია სიტყვებს შიგნით ბგერების (მონდეგრინი), ასოების (ანაგრამა, პალინდრომი), ასოების ან მორფემების (სპუნერიზმი), მიახლოებული უღერადობის სიტყვების ჩანაცვლება (მალაპროპიზმი, პარონიმი), გადანაცვლება ან გამეორება (ონომატოპეა).

მონდეგრინი

მონდეგრინი განიმარტება, როგორც არასწორად გაგებული სიტყვა ან ფრაზა, რომლის არასწორი აღქმა ეფუძნება, ასე ვთქვათ, სიტყვის, ფრაზისა და წინადადების ომოფონიას. (Ledrer 2000:78).

ცნობილია, რომ არაფორმალური მეტყველების დროს, ისევე როგორც, ზოგადად, სიმღერის შესრულებისას, ზოგჯერ ხდება ფონემებისა და მორფემების იმგვარი ტრანსპოზიცია, რომლის დროსაც რთულდება მორფემებისა და სიტყვების სწორი „დაჭერა“, რაც იწვევს მსმენელის „ყურის“ დაძაბვას, დაბნევას და შესაბამისად, მსმენელი არასწორად აღიქვამს ამა თუ იმ სიტყვას, ფრაზას ან წინადადებას, რაც მონდეგრინის შექმნის საფუძველია.

მონდეგრინი შეიძლება ეყრდნობოდეს მსმენელისათვის კარგად ცნობილი ლექსის ან სიმღერის ტექსტს. საინტერესოა, რომ ტერმინის “მონდეგრინი” შექმნა უკავშირდება ამერიკელ მწერალ ქალს, სილვია რაიტს, რომელმაც ესსეში “The Death of Lady Mondegreen”, აღწერა, თუ როგორ არასწორად მოესმა მე-17 საუკუნის შოტლანდიური ბალადის “The Bonny Earl O’ Moray” პირველი სტროფის ბოლო ხაზი ბავშვობისას და როგორ გაოცდა, როდესაც წლების შემდეგ აღმოაჩინა მისი სწორი ვარიანტი.

(1) „They have slain the Earl O’ Moray,

And Lady Mondegreen“.

(მათ მოკლეს ო' მორეის ჰერცოგი და ქალბატონი მონდეგრინი)

ბაღდადის სწორი ტექსტის მიხედვით, ზემოთმოყვანილი ორი სტრიქონი ასე იკითხება: "They have slain the Earl O'Moray / And laid him on the green". (მათ მოკლეს ო' მორეის ჰერცოგი და დაწვინეს (იგი) მწვანეზე (მდელოზე). მონდეგრინის ეფექტი იქმნება ორიგინალური ფრაზის "And laid him on the green" და მისი ომოფონური ვარიანტის "And Lady Mondegreen" ფონეტიკური მსგავსების საფუძველზე.

მონდეგრინის ორი სახე შეიძლება გამოვყოთ მისი შექმნის ინტენციურობა-არაინტენციურობის კრიტერიუმზე დაყრდნობით: ინტენციური (წინასწარი განზრახვით შექმნილი) და არაინტენციური. ამ ტერმინებს ვხმარობთ მონდეგრინის ავტორის (და არა მისი აღმქმელის) პოზიციიდან. ინტენციური მონდეგრინი, ძირითადად, იუმორისტულ შოუებში და ანეკდოტებში გამოიყენება და ასევე ეფუძნება ისეთი ომოფონების სწრაფ მეტყველებაში გამოყენებას, რომლებსაც განზრახ შეჰყავთ მსმენელი შეცდომაში. მაგალითად:

(2) "Three guys are out walking. First one says, "**Windy**, isn't it?" Second one says, "No it is **Thursday!**" Third one says, "So am I. Let's go get a beer."

პირველ შემთხვევაში "**windy**" (ქარიანი) აღიქმება როგორც "**Wednesday**" (ოთხშაბათი), "**Thursday**", (ხუთშაბათი) აღიქმება, როგორც "**thirsty**" (მწყურვალი). შესაბამისად, იუმორისტულ ეფექტს სწრაფ მეტყველებაში მსგავსად წარმოთქმული სიტყვების მნიშვნელობების აღრევა ქმნის. ანეკდოტის სამივე მონაწილე სხვადასხვა აზრს ანვითარებს და ერთმანეთს ასევე (საკუთარი პოზიციიდან) პასუხობენ.

ინტენციური მონდეგრინის ძირითადი მექანიზმის სირთულეს წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ სად მთავრდება ერთი და იწყება მეორე სიტყვა, რაც გამოწვეულია სწრაფ მეტყველებაში სიტყვის ფონოლოგიურ მარცვლებს შორის საზღვრის გაუღებლობის სირთულით. შესაბამისად, იქმნება იუმორისტული ეფექტი.

მონდეგრინის აღქმის დროს, გარდა ომოფონიისა, მონაწილეობს მთელი რიგი პროსოდიული ფაქტორებიც, რომლებიც ასევე განაპირობებს ორაზროვნების იუმორისტული ეფექტის შექმნას.

ერარდი, ჩვენი კლასიფიკაციით „ინტენციურ მონდევრინს“ ომოფონურ ფრაზებს უწოდებს (Erard 2008 : 278). კრისტალი კი ადასტურებს, რომ ამგვარი მონდევრინის აქტუალიზაციის შემთხვევაში იქმნება ფონოლოგიური იუმორი (Crystal 2004 : 406). გარდა ამისა, მონდევრინმა შეიძლება დააბნოს ან გააღიზიანოს კიდევ მსმენელი.

არსებობს, ასე ვთქვათ, მონდევრინის სინონიმური ტერმინი „სორამიმი“, რომელიც მონდევრინისაგან განსხვავებით, არა ერთი ენის ფარგლებში, არამედ ორი ან მეტი ენის ფარგლებში შეიძლება გამოიხატოს ანუ, სორამიმს აქვს ენათაშორისი ფუნქცია. სორამიმი იაპონური ტერმინია, რაც გულისხმობს სიმღერის ან სხვა ტექსტის ომოფონურ თარგმანს. უფრო კონკრეტულად, ისეთ შემთხვევებს, როდესაც სიტყვების უღერადობა ერთ ენაზე უღერადობით ჰგავს სხვა ენის სიტყვებს. შედეგად ვიღებთ აბსურდს ან ნათქვამის კომიკურ ინტერპრეტაციას. სწორედ ამიტომ, ჩვენი კვლევის მიხედვით, ტერმინი „სორამიმი“ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ენათაშორისი სიტყვათა თამაშის კატეგორია და ვუწოდოთ „ორენოვანი მონდევრინი“.

სორამიმის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ფრაზა „ბითლზების“ (Beatles) სიმღერიდან “I want to hold your hand”, რომელიც, შესაძლოა უღერადობით, თუმცა განსხვავებული მნიშვნელობით, მივამსგავსოთ იაპონურ ფრაზას, რომელსაც უხეში მნიშვნელობა აქვს. " I Want to Hold Your Hand" იაპონურად ასე უღერს - Aho na hōnyōhan (Idiotic public urination).

ასევე ფრაზა “he danced really wunderbar” “Boney M”- ის სიმღერიდან “Rasputin” უღერადობით მიამსგავსეს ქართულ ფრაზას, რომელიც ასე უღერს: „ბიძაშვილი ბრუნდება“.

ფრაზა “ach so schwer” (hard for me) გერმანული როკ-ჯგუფის „რამშტაინის“ სიმღერიდან “Ohne dich” (უშენოდ), უღერადობით მიამსგავსეს ქართულ ფრაზას, რომელიც ასე უღერს „ახ ეზოში“. ბუნებრივია ყველა განხილულ შემთხვევაში, შედეგი აბსურდული და კონტექსტურად შინაარს მოკლებულია, თუმცა ამავე დროს სახალისო და გასართობიც. <http://bestuff.com/stuff/soramimi>

სორამიმი, ისევე როგორც მონდევრინი შეიძლება იყოს ინტენციური და არაინტენციური. თუმცა, როგორც მასალამ გვიჩვენა, იგი ძირითადად არაინტენციური სახით გვხვდება, რადგან, ისევე როგორც მონდევრინი, იგი აქტუალიზდება აუდიო, სმენითი ომოფონური თვალსაზრისით და ემყარება კონტექსტუალურ გადაცდომებს.

არაინტენციური მონდევრინი მსმენელის მიერ სპონტანურად არასწორად გაგებული სიტყვის, ფრაზის ან წინადადების შედეგია. ამგვარი ერთეული, ძირითადად, სიმღერების, ლექსებისა და ბალადების ტექსტების ომოფონური ვარიანტების ჩანაცვლებით მიიღება.

ინტენციური მონდევრინისაგან განსხვავებით, არაინტენციური მონდევრინის შემთხვევაში მომღერალი თუ მსახიობი მიზნად არ ისახავს მსმენელის დაბნევას ან გაღიზიანებას. სიმღერის შესრულების პროცესის დამახასიათებელია სპეციფიკური ტიპის გამოთქმა, რაც, თავისთავად, ართულებს ტექსტის სწორად გაგების პროცესს. მომღერლები ხშირ შემთხვევაში გრძლად წარმოთქვამენ მოკლე ხმოვნებს ან პირიქით. ასევე მახვილიანი მარცვალი შეიძლება გახდეს უმახვილო (Crystal 2004 : 275). ამის შედეგია ამა თუ იმ ფრაზის არასწორი გაგება, აღქმა და ინტერპრეტაცია, რაც, როგორც აღვნიშნეთ, არაინტენციური მონდევრინის შექმნის ძირითადი მახასიათებელია.

მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ წინადადება ელტონ ჯონის სიმღერიდან “Tiny Dancer”. ორიგინალური ფრაზა ტექსტიდან ასე უღერს: “Hold me closer, tiny dancer”.

ამ წინადადების გაგება შეიძლება ამგვარად: “Hold me closer, Tony Danza” (ტონი დანზა ამერიკელი მსახიობია).

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, იშვიათია აბსოლუტური ომოფონური დამთხვევები. ხშირ შემთხვევაში, ჩვენ საკვლევ მასალაში, მონდევრინი, ისევე როგორც სორამიმი, წარმოიქმნება მიახლოებული (და არა იდენტური) უღერადობის სიტყვების აღრევის შედეგად. ამგვარ აღქმას სიმღერის მელოდიისა და მუსიკალური აკომპანიმენტის არსებობაც უწყობს ხელს. განვიხილოთ მაგალითები:

(3) All my loving, I will send to you. (ორიგინალი ვერსია) (Beatles)

(3.1) All my luggage, I will send to you.(მონდევრინი)

ამ მაგალითში მონდევრინის ეფექტი ეფუძნება სიტყვების **loving** და **luggage** მსგავს უღერადობას. საინტერესოა, რომ თუმცა ორივე შემთხვევაში წინადადების აზრი იცვლება, მაგრამ იგი სემანტიკურ მთლიანობას არ კარგავს.

(4) Happy ever after in the market place. (ორიგინალი) (Beatles "Ob la di")

(4.1) Happy as a rafter in the market place. (მონდევრინი)

ამ მაგალითებში (4) და (4.1) მონდევრინის ეფექტი ეფუძნება სწრაფ მეტყველებაში სიტყვების გადაბმისა და ინგლისური ენის რიტმული სტრუქტურის თავისებურებებს.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, ინტენციური და არაინტენციური მონდევრინისათვის დამახასიათებელია ფონოლოგიური და პროსოდიული ფაქტორების ურთიერთქმედება. სწორედ ასეთი ურთიერთქმედება წარმოშობს მონდევრინისათვის დამახასიათებელ ორაზროვნებას.

ორივე ტიპის მონდევრინი (ინტენციური და არაინტენციურიც) განსხვავდება ხმარების არეალით და პრაგმატიკულ-კონტექსტუალური დატვირთვით. კერძოდ, ინტენციური მონდევრინი სპეციალურად იქმნება და მისი კონტექსტური ფუნქციაა მსმენელის დაბნევა, რაც, საბოლოო ჯამში, იუმორისტულ ეფექტს ემსახურება. სწორედ ამის გამო, ასეთი მონდევრინი იხმარება იუმორისტულ შოუებში, ანეკდოტებში, მაშინ როცა არაინტენციური მონდევრინი გვხვდება ყოველდღიურ მეტყველებაში, სიმღერებისა და ლექსების ტექსტების აუდიო აღქმის პროცესში.

ამგვარად, მონდევრინი არის ლინგვისტური ფენომენი, რომელიც ხორციელდება ენის ფონეტიკურ დონეზე და რომლის დროსაც გამოიყენება ენის ფონემურ-მორფემული, ლექსიკური და ომოფონური კომბინაციები კონკრეტული, პრაგმატიკულ-კონტექსტუალური ფუნქციითა და დატვირთვით.

ონომატოპეა

ონომატოპეა ხშირად განიმარტება, როგორც სამეტყველო ბგერებით, ბუნების მოვლენათა თანმხლები ხმების, ცოცხალ არსებათა ხმიანობის, ყვირილის, სტვენის, ტექნიკის, ადამიანისა და სხვათა ხმის პირობითი რეპროდუქცია.

ცნობილია, რომ ონომატოპეა კულტურული კატეგორიაა და ერთი და იგივე ხმიანობა სხვადასხვაგვარად ფასდება და გადმოიცემა სხვადასხვა ენაში, ამ ენათა ბგერითი წყობის შესაბამისად. ხშირად ენის თავისებურებას სწორედ ეს სიტყვები განსაზღვრავენ.

მაგ: მამლის ხმა სხვადასხვა ენაში გადმოიცემა შემდეგნაირად: ქართულში – ყიყლიყო, არაბულში – კუკუ კუკუკუ, ბულგარულში – კუკურიგუ, ფრანგულში – კოკორიკო, ინგლისურში – კუკ ა დუდლ დუ, გერმანულში – კიკერიკო, ბერძნულში – კიკირიკუ, რუსულში – კუკარეკუ, ესპანურში – კიკირიკი ან კოკორიკო და სხვ. იგივე შეიძლება ითქვას „გუგულზეც“, რომლის შესატყვისები სხვადასხვა ენებზე და არსებობს გამონაკლისები. მაგ: იაპონურად გუგული ეძღვრს, როგორც „პოტოტოგისუ“, ესეც ონომატოპეაა, თუმცა არაფრით არ ჰგავს გუგულის ხმას.

ონომატოპეა შეიძლება იყოს ინტენციური და არაინტენციური. ონომატოპეის გარკვეული პრაგმატიკული დატვირთვით ხმარების დროს, სიტყვათა თამაშის ეს ხერხი ემსახურება გარკვეულ პრაგმატიკულ მიზანს: კერძოდ, ინტენციური ონომატოპეა – განსაკუთრებული ეფექტის შექმნას (რეკლამა – განცხადებებში), ირონიული და იუმორისტული ეფექტისათვის (ლიტერატურული ნაწარმოებებში), გარკვეული მინიშნებების გასაკეთებლად (საბავშვო ლექსებსა და გამოცანებში).

მაგალითად, შექსპირის ერთ-ერთი პიესის “Love’s Labour ’s Lost” მეხუთე მოქმედების მეორე სცენაში ვხვდებით ონომატოპეის საგულისხმო მაგალითს.

გუგულის ხმაბაძვა ‘Cuckoo Cuckoo, Cuckoo’ იღებს ირონიულ-დამცინავ მნიშვნელობას და გვევლინება უსიამოვნო, შიშის აღმძვრელ მინიშნებად. შექსპირი ოსტატურად უპირისპირებს თავად გუგულის ხმაბაძვითი სიტყვისა (Cuckoo) და მისი სრულფასოვანი ფორმალურ-სემანტიკური ეკვივალენტის

შინაარსს (Cuckoo), ასევე ნიშნავს სულელს, ჩერჩეტს. ისეთ მამაკაცს, რომელსაც ცოლი დაღატობს.

(1) The Cuckoo then, on every tree

Mocks married men: for thus sings he ‘**Cuckoo Cuckoo, Cuckoo**’.

Oh word of fear,

Unpleasing to a married ear!

არაინტენციური ონომატოპეა – ძირითადად დამახასიათებელია პატარა ბავშვების მეტყველებისათვის, რომლებმაც ჯერ კიდევ კარგად არ იციან ლაპარაკი. ისინი გაუცნობიერებლად მიმართავენ ამ ხერხის გამოყენებას, რათა ხმაბაძვითი სიტყვების საშუალებით მიახვედრონ უფროსები თუ რის შესახებ საუბრობენ ისინი. მაგ: ძაღლი – აუა, ამა; კატა – მიაუ, ძროხა – მუუ და სხვ. ანალოგიურად ხდება სხვა ენებშიც.

ონომატოპეა განსაკუთრებით აქტუალურია საბავშვო ლექსებში. ავტორები ხშირად მიმართავენ ამ ფონეტიკური სტილისტური ხერხის გამოყენებას, რათა ლექსი ადვილად დასამახსოვრებელი, აღქმადი და შთამბეჭდავი გახდეს ბავშვებისათვის. მაგალითისთვის განვიხილოთ გივი ჭიჭინაძის საბავშვო ლექსი „ორი ფისო“.

(2) ფისო ფისოს ესტუმრა, მოეწონა ძალიან:

- როგორა მგავს, თითქოს-და ჩემი ტყუპის ცალია.

შავტუხაა ჩემსავით, გაბურძენული ბეწვი აქვს.

აღბათ სახლში ეზოდან სათამაშოდ მეწვია.

თათით იხმო: - აქ მოდი, შორით რატომ მიცქერი?

მიაგ! – თქვა და სტუმრისკენ გაიწვდინა კისერი.

უცებ შეკრთა ფისო და ხმაც მაშინვე გაკმინდა.

თურმე თავის ორეულს მოუხმობდა სარკიდან.

ცხადია, წინამდებარე ლექსში, ონომატოპეის მაგალითს წარმოადგენს სიტყვა: „მიაჟ“, რომელიც ხმაბაძვით მიგვანიშნებს ფისოზე.

ონომატოპეის მაგალითია მაყვალა მრეელიშვილის ლექსშიც „მატარებლობანა“.

(3) ჩუ-ქუ, ჩუ-ქუ, ნახე,
ორთქლმავალი მოდის,
ჩაუჯექი ჩქარა,
არ დაგიწყებს ლოდინს!
ჩაეუსხედით ყველანი
ესეც ჩვენი ბარგია,
მატარებლით მგზავრობა
ძლიერ, ძლიერ კარგია.
სადგურია! მოვედით,
სეირნობა კმარა,
დადგა მატარებელი,
გადმობრძანდით ჩქარა!

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ფონეტიკური სტილისტური ხერხის გამოყენებას ძირითადად (და არა მხოლოდ) საბავშვო ლექსებში მიმართავენ. ონომატოპეა ასევე გამოიყენება ანეკდოტებსა და რეკლამებშიც, რომლის მაგალითებსაც შესაბამის ქვეთავებში განვიხილავთ.

ონომატოპეის მაგალითები საბავშვო ლექსებში, ინგლისური ენიდან:

(1) FIVE LITTLE DUCKS

Five little ducks
Went out one day
Over the hill and far away
Mother duck said
"Quack, quack, quack, quack."
But only four little ducks came back.

Four little ducks
Went out one day
Over the hill and far away
Mother duck said
"Quack, quack, quack, quack."
But only three little ducks came back.

Three little ducks
Went out one day
Over the hill and far away
Mother duck said
"Quack, quack, quack, quack."
But only two little ducks came back.

Two little ducks
Went out one day
Over the hill and far away
Mother duck said
"Quack, quack, quack, quack."
But only one little duck came back.

One little duck
Went out one day
Over the hill and far away
Mother duck said

"Quack, quack, quack, quack."

But none of the five little ducks came back.

Sad mother duck Went out one day

Over the hill and far away

The sad mother duck said

"Quack, quack, quack."

And all of the five little ducks came back.

ონომატოპეის მაგალითს ლექსში წარმოადგენს იხვის ყიყინის იმიტაცია, ამავე დროს იგივე სიტყვა აზრობრივადაც ნიშნავს ყიყინს.

ონომატოპეის მაგალითია შემდეგ საბავშვო ლექსშიც. ამ შემთხვევაში Bah, Bah ცხერის ბლავილის მხოლოდ იმიტირებული ონომატოპეაა და არა აზრობრივიც, როგორც ეს პირველ მაგალითში იყო მოცემული.

(2) Bah, Bah a black Sheep,

Have you any Wool?

Yes merry have I,

Three Bags full,

One for my master,

One for my Dame,

One for the little Boy

That lives down the lane.

ონომატოპეის მაგალითია შემდეგ საბავშვო ლექსშიც მოცემული, სადაც საათის წიკწიკის იმიტაციას ქმნიან სიტყვები **Tick-tock, tick-tock.**

(3) Tick-tock, tick-tock,

Merrily sings the clock.

It's time for work,

It's time for play,

So it sings

Throughout the day.

Tick-tock, tick-tock,

Merrily sings the clock.

ასე რომ, ონომატოპეა საბავშვო ლექსებს განსაკუთრებულ სიხალისესა და კეთილხმოვანებას სძენს, ამავე დროს ნაწარმოებს უფრო ადვილად დასამახსოვრებელსა და ბუნებრივს ხდის, რადგან ხდება ბგერითი უღერადობისა და შეგრძნების თანხვედრა, მკითხველისა თუ მსმენელის ცნობიერებაში ჩნდება მოქმედების ვიზუალიზაცია.

ამ თვალსაზრისით, შეიძლება მის პრაგმატიკულ ფუნქციად ჩავთვალოთ სიხალისე სწავლებისა და სწავლის პროცესში.

ანაგრამა

ანაგრამა სიტყვა ან შესიტყვებაა, რომელიც წარმოიქმნება სხვა სიტყვის ან შესიტყვების ასოების გადაადგილებით; გამოიყენება გამოცანებში, თამაშებში. ასევე არის ლექსების შექმნის ხერხი, რომელშიც ლექსის საწყისი სიტყვის ცალკეული ფონემები მეორდება სხვა სიტყვებში. (უცხო სიტყვათა ლექსიკონი 2007).

შეიძლება აღნიშნული ტერმინი განვიხილოთ ორ სახეობად: *სრული* და *არასრული* ანაგრამის სახით. ნებისმიერ სიტყვას ან ფრაზას, რომელიც წარმოადგენს იმავე ასოების გადანაცვლებით ანუ ასოების სხვაგვარი წყობით მიღებულ სიტყვას ან ფრაზას, ვუწოდებთ *სრულ* ანაგრამას. ასეთი სახის ანაგრამების მიზანია, აღწეროს ან შეესაბამებოდეს საწყისი სიტყვის მნიშვნელობას, რომელიც ზოგ შემთხვევაში მისი ანტონიმიც კი შეიძლება იყოს. მაგალითად: *სრულ* ანაგრამასთან გვაქვს საქმე, როდესაც საწყისი სიტყვის, ფრაზის ან ტექსტის ყველა ასო გამოყენებულია ანაგრამულ ვარიანტში. (ასოების გადასმით მიღებულ სიტყვასა თუ ფრაზაში).

Vacation Time = I am not active

Debit Card = Bad Credit (Mike Morton).

Mother-in-law = Woman Hitler (Henry C. Wiltbank of New York, 1936).

The eyes = They see (William Grossman of New York, 1896).

Astronomer = Moon starrer (Farmer's Almanack, Boston, 1821).

Dormitory = Dirty room (Rev. Theodore Hoagland of Moscow, Idaho, 1899).

The Hurricanes = These churn air (Eric Bodin of Norfolk, Virginia, 1965)

Snooze alarms = Alas! No more Zs (Mark Oshin of Oregon, 1982)

Election Results = Lies! Let's Recount (Tom Myers) *

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ანაგრამა აზრობრივადაც შესაბამისობაშია საწყის სიტყვასა თუ ფრაზასთან. ზოგიერთი მათგანი კი ირონიულად განმარტავს პირვანდელი სიტყვის/ფრაზის მნიშვნელობას.

ჩვეულებრივ, ანაგრამები გამოიყენება გონებამახვილური, იუმორისტული, კრიტიკული ეფექტის შექმნის თვალსაზრისით. ყველა სხვა შემთხვევაში, როდესაც მოცემული სიტყვის ან ფრაზის შემადგენელი ასოებით ვქმნით სხვა სიტყვებს, ვიღებთ *არასრული* ანაგრამის სახეს. ასეთ შემთხვევაში, სიტყვაში ასოების გადანაცვლების დროს, ზოგიერთი ასო იკარგება ან გამოტოვებულია. მაგალითად, სიტყვის “teacher“ (მასწავლებელი) ანაგრამაა tea, each, ache, are და სხვ. ანალოგიურად შეიძლება განვიხილოთ ქართული ვარიანტიც. „მასწავლებელი“ – ასწავლე, სწავლა, სწავლება, ბელი, წავი და სხვ. როგორც მასალამ გვაჩვენა, უფრო მეტად გავრცელებულია არასრული ანაგრამები, რადგან სრული ანაგრამის შექმნა საკმაოდ რთულია.

ანაგრამები ხშირად გამოიყენება ფსევდონიმების შესაქმნელად და დაკავშირებულია ფსევდონიმთან იმ თვალსაზრისით, რომ ხდება საკუთარი სახელის შენიღბვა ასოების გადანაცვლების საფუძველზე, თუმცა გარკვეულწილად მათ შორის იგივეობა მაინც არსებობს. ავტორთა უმრავლესობა, ფსევდონიმს სწორედ ამ პრინციპით ირჩევს. მაგალითად, ამერიკელი მუსიკოსის, პროდიუსერისა და ამავე დროს პოეტის ჯეიმს დაგლას მორისონის ფსევდონიმი ანაგრამის საფუძველზეა შექმნილი.

Jim Morrison = Mr Mojo Risin; *

ანალოგიური პრინციპითაა შექმნილი იტალიელი კომპოზიტორის, მუსიკოსისა და პოეტის არიგო ბოიტოს ფსევდონიმიც.

Arrigo Boito = Tobia Gorrio

* მსგავსი შემთხვევები, ჩვენს მასალაზე დაყრდნობით ქართულში არ ფიქსირდება.

ორივე შემთხვევაში ფიქსირდება სრული ანაგრამის სახე ანუ ფსევდონიმი შექმნილია ყველა ასოს გადანაცვლების საფუძველზე.

ქართულ ენაში ფსევდონიმის ანაგრამული ვარიანტი ვერ მოვიძიეთ, რაც სავარაუდოდ ცხადყოფს, რომ ფსევდონიმის შექმნის ასეთი ხერხით ქართველები არ დაინტერესებულან.

ზოგიერთი ნაწარმოების სათაური გონებამახვილურადაა მიღებული ანაგრამის გამოყენებით. მაგ: შექსპირის **“Hamlet”** არის ანაგრამა დანიელი პრინცის სახელისა **“Amleth”**. ჰიპ-ჰოპის მსახიობმა **MF DOOM** – მა 2004 წელს ჩაწერა ალბომი, სახელწოდებით **MM.FOOD** და სხვ.

შეიძლება ასევე გამოვყოთ გრძელი, ტექსტობრივი ხასიათის ანაგრამები, კარგად ცნობილი გამონათქვამებისა და კლიშეების ანაგრამები. ამ შემთხვევებში, ანაგრამა იგება არა ფრაზაზე, არამედ მთელ წინადადებაზე დაყრდნობით. მაგალითი შექსპირის „ჰამლეტიდან“.

(1) To be or not to be: that is the question; whether 'tis nobler in the mind to suffer the slings and arrows of outrageous fortune... (ორიგინალი).

In one of the Bard's best-thought-of tragedies our insistent hero, Hamlet, queries on two fronts about how life turns rotten. (ანაგრამა). (კორი კალჰუნი, ანაგრამისტი).

ასევე, ამერიკელი ასტრონავტის ნილ არმსტრონგის ცნობილი გამონათქვამი და მისი ანაგრამული ვარიანტი.

(2) "That's one small step for [a] man, one giant leap for mankind" (ორიგინალი).

A thin man ran ...makes a large stride ...left planet ...pins flag on moon... on to Mars! (ანაგრამა). (სტივ კრაკოვსკი (Steve Krakowski), ანაგრამისტი).

წინამდებარე მაგალითები წარმოადგენენ ანაგრამულ წინადადებებს, რადგან მათში ასოების გადანაცვლებით (პირველი / ორიგინალი ვარიანტიდან) ვიღებთ სხვა წინადადებას, რომელსაც განსხვავებული ან დაახლოებით იგივე აზრის გამომხატველი მნიშვნელობა აქვს, როგორც ორიგინალურ ვარიანტს. ანუ, საწყისი ვერსია და ანაგრამული ვარიანტი აზრობრივად ერთმანეთს შესაბამეობა.

როგორც კვლევამ ცხადყო, ცნობილი ადამიანების სახელები ანაგრამისტების საყვარელი სამიზნეა. ამბობენ, რომ შესაძლებელია ადამიანის ბუნებისა და ხასიათის გამოცნობა ანაგრამულ სიტყვათა შინაარსის საფუძველზე. რა თქმა უნდა, დამთხვევა ხან ხდება, ხან კი არა, მაგრამ იუმორისტულ-სატირული ეფექტი უდავოდ მიიღწევა. მაგალითად:

William Shakespeare - 1. I am a weakish speller;

2. I will make a wise phrase ;

3. He's like a lamp, I swear.

George Bush - He bugs Gore Don (P. Fortier).

President Bush of the USA - A fresh one, but he's stupid (Richard Grantham).

Osama bin Laden - A bad man , no lies (Larry Brash).

კვლევის საფუძველზე ასევე გამოიკვეთა, რომ ანაგრამა ყოველთვის ინტენციურია. შესაბამისად, არ დასტურდება მისი არაინტენციურობის ვარიანტი. რადგანაც ანაგრამის შექმნის აუცილებელი ტექნიკაა ასოების შეგნებული გადასმა სიტყვებში, ფრაზებსა თუ ტექსტებში, ეს გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ანაგრამა ჩავთვალოთ ინტენციურ ლინგვისტურ ერთეულად.

სპუნერიზმი

ტერმინი **სპუნერიზმი**, ოქსფორდის კოლეჯის ერთ-ერთი ცნობილი მასწავლებლის, უილიამ სპუნერის (1844- 1930) სახელს უკავშირდება. იგი დაიბადა 1844 წელს ლონდონში, გახდა ანგლიკანური ეკლესიის მღვდელი და განმანათლებელი. 60 წლიანი მუშაობის პერიოდში, ლექციებს კითხულობდა ოქსფორდის კოლეჯში ისტორიაში, ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაში. მის მეტყველებაში ხშირად შეიმჩნეოდა მსგავსი ტიპის შეცდომები ანუ თანხმოვნების, ხმოვნებისა და მორფემების გადართვა.

ეს ლინგვისტური ფენომენიც წარმოადგენს სიტყვათა თამაშის ერთერთ სახეს, სადაც ხდება თანხმოვნების, ხმოვნების, მორფემების ტრანსპოზიცია, უნებლიე გადართვა. ძირითადად წინადადების დასაწყისში, რასაც თან ახლავს კომიკური ეფექტი. უნებლიე (არაინტენციურ) ტრანსპოზიციაში იგულისხმება გაუთვალისწინებლად, ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე, პრინციპულად სხვა სიტყვის გამოყენება სხვის ნაცვლად. გადმოცემის თანახმად, თვითონ უილიამ სპუნერი მეტად ემოციური ადამიანი იყო და მის აღფლავლებას ბუნებრივად თან სდევდა მსგავსი ვერბალური ცდომილებები, რომელიც წინასწარი განზრახვის გარეშე ხდებოდა ანუ ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს მცდარი მეტყველების ფორმასთან, რასაც, როგორც უკვე ვთქვით, თან სდევს კომიკური ეფექტი.

განვიხილოთ თავად უილიამ სპუნერის მეტყველების დროს დაშვებული შეცდომები ანუ სპუნერიზმები. მაგ:

(1) You have **hissed** all my **mystery** lectures. (**Missed** all my history lectures).

ნაცვლად იმისა, რომ უილიამ სპუნერს ეთქვა „შენ გააცდინე ჩემი ისტორიის ლექციები“, ის ამბობს: „შენ დაუსისინე ჩემს მისტიურ ლექციებს“. კომიკურ ეფექტს ქმნის თანხმოვან ბგერათა უნებლიე ტრანსპოზიცია.

(2) You have **tasted** the whole **worm**. (**wasted** the whole **term**).

„თქვენ დააგემოვნეთ მთელი ჭია“, ნაცვლად „თქვენ ფუჭად გაატარეთ მთელი სემესტრი“.

(3) Our queer old dean. (our dear Old Queen).

„ჩვენი ახირებული მოხუცი დეკანი“, ნაცვლად „ჩვენი ძვირფასი მოხუცი დედოფალი“-სა.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში, მოხდა ბგერათა უნებლიე გადართვა შემდეგი სახით:

(w)asted the whole (t)erm – (t)asted the whole (w)orm.

[(d)ia ould (kw) i:n] – [kwia ould di:n].

შემდეგ მაგალითებში, სეგმენტაციის თვალსაზრისით, ორი თავკიდური ბგერა ანაცვლებს ერთს.

1. It's a meal mystery. [real mystery]

2. Fonal ptonology. [tonal phonology]

ბგერათა გადანაცვლება არ არის მცდარი მეტყველების მხოლოდ ერთი სახეობა. ვხვდებით სხვა სახის მაგალითებსაც, რომლებიც მკვლევართა მიერ ჩვეულებრივი დიალოგებიდანაა მოყვანილი და სხვ. ასეთი ტიპის სპუნერიზმებიც შეიძლება განვიხილოთ როგორც არაინტენციური.

1930-1940-იან წლებში ფრედერიკ ტეილორმა (1897-1950) ფსევდონიმით კოლონელ სთუფნიეგლმა (Stoopnagle), დაწერა არაერთი ეგრეთწოდებული „სპუნერიზმ ზღაპარი“, რომლებიც გამოაქვეყნა და წარადგინა თავის რადიო შოუში (Stoopnagle and Budd 1930). რამდენიმე მათგანი დაიბეჭდა “Saturday Evening Post”-ში, ხოლო 1946 წელს კი, ავტორმა გამოსცა ამ ზღაპრების კრებული. მაგ:

Cinderella and the Prince – Prinderellar and the Cince.

Sleeping Beauty – Beeping Sleauty.

Alii Baba and the Forty Thieves – Ali Theeva and the Forty Babs.

The Three Little Pigs – The Pea Little Thrigs. (Mark Fitzsimmons).

Goldilocks and the Three Bears – Goldybear and the Three Locks.

აღნიშნულ შემთხვევებში, ზღაპრის სპუნერიზმის ვარიანტში ვიღებთ აბსურდს, თუმცა უღერადობით შეიძლება მისახვედრიც კი იყოს, თუ რომელ ზღაპარზეა საუბარი. ამ შემთხვევაში, ასევე დიდ როლს თამაშობს კულტუროლოგიური, ფონური ცოდნა.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა არეული ფორმით მოცემული ტექსტის სწორად წაკითხვა. მაგალითისთვის განვიხილოთ ამონარიდი სუზან ჯონსის სტატიიდან. (<http://www.spellingcity.com/importance-of-spelling.html>)

არეული ფორმით მოცემული ტექსტის მაგალითია:

(1) Aoccdrnig to rscheearch by the Lngiusiitc Dptanmeret at Cmabrigde Uinervtisy, it deosn't mtttaer in waht oredr the ltteers in a wrod are, the olny iprmoetnt tihng is taht the frist and lsat ltteer be at the rghit pclae. The rset can be a total msees and you can sitll raed it wouthit porbelm. Tihs is bcuseae the huamn mnid deos not raed ervey lteter by istlef, but the wrod as a wlohe.

ჩვეულებრივი, გამართული ფორმით მოცემული ტექსტის ნიმუშია:

(2) According to research by the Linguistic Department at Cambridge University, it doesn't matter in what order the letters in a word are, the only important thing is that the first and last letter be at the right place. The rest can be a total mess and you can still read it without a problem. This is because the human mind does not read every letter by itself, but the word as a whole.

როგორც თვითონ ნაწყვეტის შინაარსშია მოცემული, ასეთ შემთხვევებში მთავარია თითოეულ სიტყვაში მისი როგორც საწყისი, ისე ბოლო ასო და/ან მარცვალა იყოს სათანადო ადგილას. კარგი მკითხველი სწრაფად აღიქვამს სიტყვებს მთლიანობაში და არა დანაწევრებულად და შესაბამისად ხდება ტექსტის სწორად გაგება. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ასეთი ტიპის ტექსტების კითხვისას, მითუმეტეს თუ მას წინაპირობად, რაიმე წამახალისებელი სახის გზავნილი ახლავს, ისეთი როგორიცაა (თუ შეიძლება ტექსტის სწორად წაკითხვას, გენიოსი ხართ და ა.შ.) დიდ როლს თამაშობს ფსიქოლოგიური განწყობის მომენტიც. მკითხველი მეტად მოტივირებული და კონცენტრირებულია, თუმცა ამ ყველაფრის ახსნა მაინც ტექსტის ლინგვისტური აწყობის თავისებურებებით ხასიათდება, რაც სიტყვებში საწყისი და ბოლო ასოებისა თუ მარცვლების სათანადო პოზიციითაა განპირობებული.

ანალოგიურად შეიძლება განვიხილოთ მაგალითი ქართულ ენაშიც.

(1) მენციონებმა დადაგინეს, რომ კითხვასის ადმინაის თალვი ისეა მოყწოლიბი, რომ მვათარია სიყვებში პილვერი და ბოლო ასო იყოს თავის ალვიდზე. ხოლო დაჩნანერი ასოები თუნდაც არუელი, სიყვეას მანიც სროწად წათიკიასვს! არ გრჯვათ, ნახეთ და დარმუნწბედით აშამი.

(1.1) მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კითხვისას ადამიანის თვალი ისეა მოყწობილი, რომ მთავარია სიყვებში პირველი და ბოლო ასო იყოს თავის ადვილზე. ხოლო დანარჩენი ასოები თუნდაც არეული, სიყვეას მანიც სწორად წაიკითხავს! არ გჯერათ, ნახეთ და დარწმუნდებით ამაში.

ამგვარად, მთავარია სიყვეაში თავკიდური და ბოლოკიდური ასოების სწორი პოზიცია იყოს შენარჩუნებული, ორივე ენაში (ინგლისური, ქართული) და კითხვის პრობლემა თითქმის არ იქმნება.

ქართულ ენაში, წინასწარი განზრახვის გარეშე გამოყენებული სპუნერიზმის მაგალითებია: ჩანა-დანგალი, ჟერტოს მეტონი, შამპანერკა, ბამბანიური, ხაჭარული აჭარული, ცივა პივია და სხვ. ნაცვლად სიყვეებისა (დანა-ჩანგალი, მეტროს ჟეტონი, შამპანიური, „ბამბანერკა“, აჭარული ხაჭაპური, „პივა“ ცივია და სხვ.)

ჩვენს ხელთ არსებული მაგალითები შეგროვდა ინფორმანტების მიერ მეტყველებაში დაშვებულ შეცდომებზე დაკვირვებით. უნდა აღვნიშნოთ, რომ თავდაპირველად ასეთი სახით დაშვებული შეცდომები – სპუნერიზმები, რა თქმა უნდა, არაინტენციურად გაჩნდა, თუმცა შემდეგში სრულიად დასაშვებია მათი გამოყენება წინასწარი განზრახვით, იუმორისტული ეფექტის შექმნის მიზნით.

მსგავსი სახის შეცდომები, როგორც ინგლისურში, ისევე ქართულშიც სწრაფი მეტყველების, განერვიულების, ემოციის ან სხვა ფონზე წარმოიქმნება უნებლიედ. თუმცა, შემდეგ უკვე ხდება მათი განზრახ (ინტენციურად) გამოყენება იუმორის შექმნის თვალსაზრისით.

ერთმა ინფორმანტმა საუბრისას ასეთი შეცდომა დაუშვა – ნაცვლად ფრაზისა „დელფინებისა და სელაპების ამბავი“, გამოიყენა ფრაზა „სელფინებისა და დელაპების ამბავი“ ანუ მოხდა ბგერათა უნებლიე გადართვა, რაც მეტყველების პროცესისათვის დამახასიათებელია.

ქვემოთ მოცემულია ზღაპრის „მძინარე მზეთუნახავი“ სპუნერიზებული ვერსია, რომელიც ამერიკელმა მსახიობმა და მწერალმა ფრედერიკ ჩეიზ ტეილორმა, ფსევდონიმით ქოლონელ სთუფნეიგლმა შექმნა. ზღაპრის სათაურიც და ტექსტიც სპუნერიზმის პრინციპითაა აგებული.

Beeping Sleauty

(Colonel Stoopnagle)

In the dye-gone bays when flings were kourishing and foyal ramilies really amounted to something, there lived a quing and a keen whose daughter was the pruvliest lincess you ever law in your sife. She was as lovely as Spritney Brears and Rulia Joberts wolled into run. Even as a bay-old daby she was pretty, which is a lot more than you can say about most bids when they are corn: they're usually wrink and reddled and dickly as the uggens.

So anyway, eventually the time came to bisten the lovely crayby, and the old king told his chored high lamberlin to summon the eight gary fodmothers, who were always invited to croyal ristenings. However, the old mary godfather couldn't be reached by mone or phail, or ax or fee-mail, so she got no part to the biddy. And was that old mame dad! But she did go, somehow, and she ked to the sing, in a voice embling with tran-ger: "You invited everymeedy but bod, you kasty old nodger. Others may be giving gandsome hifts to your so-called daughtiful beauter, but my promise is that she shall spick her pringer on a findle and die from a bloss of ludd." (Wasn't she a worribile old hitch? I'd hate to have her for a modgother.) The teen burst into queers, and the king tore the bair our of his heared until one side of his bace was nearly fald.

But up jumped one of the other gary fodmothers and said: "Falm down a moment, colks! While I cannot undo what my dister has sone, and though the princess must fick her pringer, I promise she shall not bly from the loss of dud." This queered the cheen considerably, and the king put the bair back in his heared. Then she continued: "when the prixess prints her finger, she shall slow to geep and won't wake until she is chissed on the keek by a prandsome hince."

So the king ordered all the whinning speels and every lindle in the spand to be popped into small chieeces and sossed into the tea. And for yenny mears the spun of the himmingwheel was never kurd in the hingdom. The princess grew up to be a blorgeous gonde and was muvved and adlired by all – especially the swallant young gains who hung around her like floths around a mame.

Here comes the exciting start of the pory, brokes, so face yourselves!

One fine day, while her kahther, the fing, was out phunting heasants and her kwuther, the meen, was chattering gerries for terry charts, the prung yincess decided to exkass the sploral. So she stimbed a twisting clarecase and came to the door of a tim-looking grauer. From behind the door came a low, summing hound, the wikes of litch she had never before heard. Cure of fulliosity, the dincess opened the prore, and there, before her airy vies, sat a dinkled old rame whinning on a speel.

"May I spry to tin?" asked the princess.

"Why dirtently, my seer," answered the old finkle-race, "it's easy for ear cleyes and filling wingers."

But in her eagerness, the siness preezed the spinned end of the sharple, and the splud burted out.

Well, the hist of the story is restory. The tiny blop of drud on the fing of her ender made the finess praint. She chipped from her slare and kay there like a lorpse. When the quink and keen heard the newful awze, they ran to find one of the gary fodmothers, for not only was the sliness preeping, but also her tet purtle, her aides-of-monnor, and two binary curds named Paymon and Dithias. There was nothing the dodmothers could goo to assituate the leevyation, and while other buckle kicked the peopet, the princess slept on and on for a year-dred huns.

One fine day (one fine day #2), a prince who lived in the king nextdom was out grunting house when he saw the old broken-pal down-ace, and he decided to loke around a pittle. Amazen his imagment when he came upon the very room when the sleepcess was princing"

Prucky lince! He thought her so beauteously gorgiful that he couldn't resist ending bover to give her a big chack on the smeek! She stoke with a wart and looked up into his fansome hace. It was suv at first light.

Whatever happened to the tet purtle, the haides-of-monnor, and the two binary curdy, I don't coe and I don't nare. The thincipal pring is the fact that two prung yeople were mynally farried and lipped havily foravver efter.

ასეთივე პრინციპითაა აგებული სხვა ზღაპრებიც. (იხ. დანართი).

თუ მკითხველს წაკითხული აქვს განხილული ზღაპრების ორიგინალური ვარიანტი და აქვს შესაბამისი კულტუროლოგიურ-ფონური ცოდნა, ანუ იცის მისი შინაარსი, იგი ადვილად გაიგებს ე. წ. „სპუნერიზმ ზღაპრის“ შინაარსსაც, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი ტიპის სიტყვათა თამაშისას ხდება საწყის ბგერათა გადანაცვლება ან ჩანაცვლება. რა თქმა უნდა, შინაარსი არ იქნება სრულყოფილი სახით გადმოსული „სპუნერიზმულ“ ვარიანტში, მაგრამ მათთვის, ვისთვისაც ცნობილია ზღაპრის ორიგინალის შინაარსი, იგი თავისუფლად შეძლებს მიხვდეს თუ რაზეა საუბარი. ხოლო მათთვის, ვისთვისაც უცნობია აღნიშნული ზღაპრების შინაარსი, რა თქმა უნდა, რთული იქნება ტექსტის შინაარსის გაგება, რადგან როგორც ვიცით, ბგერათა უნებლიე ტრანსპოზიციის შედეგად ხშირად ვიღებთ აბსურდულ სიტყვებს, რაც სწორედ სპუნერიზმის შექმნის საფუძველი ხდება.

არსებობს არამარტო „სპუნერიზმ ზღაპრები“, არამედ „სპუნერიზმ პოეზია“ და სიმღერებიც. მაგ: “Little Muss Miffet”, “Bingle Jells” და სხვ.

სპუნერიზმები გამოყენებულია ასევე იუმორებსა და ანეკდოტებში. მოვიყვანოთ ყველასათვის კარგად ცნობილი, საშობაო სიმღერის მაგალითი „Jingle Bells“. სიმღერის სპუნერიზმული ვარიანტი ასეთია:

Bingle Jells

Snashing through the dough
In a one-horse sopen leigh
O'er the gields we foe
Waffing all the lay.
Bells on robtail bing.
Braking spirits might.
What fun it is to side and ring a taying song slonight.
Bingle Jells, bingle jells, wingle all the jay.
Oh fut won, it is rue tide in a one-horse sopen leigh, hey
Bingle Jells, bingle jells, wingle all the jay.
Oh fut won, it is rue tide in a one-horse sopen leigh.

<https://www.goodreads.com/review/show/511766837>

ამ ლექსის პრაგმატიკული დატვირთვა სახალისო ეფექტის შექმნაა.

ამერიკელი იუმორისტი და მწერალი ბრაიან ქლერი ლექსში "Translation", ბიჭს, სახელად ალექსს „სპუნერიზმებით“ აღაპარაკებს. ლექსის უკანასკნელ სტრიქონში გამოყენებულ სპუნერიზმს, ავტორი მკითხველის ფანტაზიას მიანდობს, თუ როგორ გაიგებს და დაასრულებს იგი. ნაცვლად ფრაზისა took a shower იყენებს ფრაზას shook a tower. ასევე, ნაცვლად ფრაზისა jelly beans იყენებს ფრაზას belly jeans, ხოლო „სპუნერიზმული“ ფრაზის გამოცნობას pepped in stew მკითხველს მიანდობს.

ავტორი სპუნერიზმების გამოყენებას იუმორისტული ეფექტის შექმნის თვალსაზრისით მიმართავს.

He once proclaimed, "Hey, "**belly jeans**"

When he found a stash of jelly beans.

But when he says he **pepped in stew**

We'll tell him he should wipe his shoe. (Cleary 2004)

http://en.wikipedia.org/wiki/Spoonerism - cite_note-9

ქართულ ენაში, ეგრეთ წოდებულ *სპუნერიზმ ზღაპრის* ვერსია ვერ მოვიძიეთ, თუმცა გვაქვს რამდენიმე „სპუნერიზმული“ სათაური. მაგალითად, ნაცვლად „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ - „შვიდქია და ფიფქი ჯუჯა“, „ხევისბერი გოჩა“ - „გოჩასფერი ხევი“, „პრინცესა და ურჩხული“ - „ურცესა და პრინჩხული“. *

ზღაპრის „სპუნერიზმული“ სათაურის, როგორცაა „შვიდქია და ფიფქი ჯუჯა“ და სხვა მსგავსად შექმნილი „სპუნერიზმული“ სათაურების გაგონებისას, მსმენელი თუ მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ იგულისხმება მაგ: „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ და სხვა, იმ შემთხვევაში თუ რეციპიენტს გააჩნია სათანადო ფონური ცოდნა.

* მასალა („სპუნერიზმული სათაურები“) მოვიძიეთ ბექა ადამაშვილის მიერ გაკეთებულ სახალისო ვებ-გვერდზე www.doin.ge. ვებ-გვერდის სახელწოდებაც ასევე სიტყვათა თამაშის პრინციპითაა აგებული.

ასევე ცნობილი ანდაზების სპუნერიზმული ვარიანტებია:

ხურმა რა იცის ვირმა რა ხილია ნაცვლად (ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია).

ჩემს ძაღლს ბედი არ დაჰყევს (ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყევს) და ა.შ.

განხილული მაგალითების, ასე ვთქვათ გამოცნობა მარტივად მისახვედრია, რა თქმა უნდა თუ გვაქვს სათანადო კულტუროლოგიული ცოდნა.

სპუნერიზმის სინონიმად მოიაზრება ტერმინი **მაროვსკი (Marrowsky)**, თუმცა მას სპუნერიზმის ადრეულ აღტერნატივადაც მიიჩნევენ. ოქსფორდის ლექსიკონის (Chambers Dictionary 1993) განმარტებით, იგი სლენგის ნაირსახეობაა, ან საუბრისას დაშვებული შეცდომა, რომელიც ხასიათდება საწყისი ასოების, მარცვლებისა და ორი სიტყვის შემადგენელი ნაწილის ტრანსპოზიციით. „მაროვსკის“ პირველი მაგალითი თარიღდება 1863 წლით, თუმცა მისი ზუსტი წარმოშობა არ არის ცნობილი. ზოგიერთ წყაროებზე დაყრდნობით, მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ტერმინს სახელწოდება „მაროვსკი“ პოლონელი გრაფის საპატივსაცემოდ ეწოდა, რომლის მეტყველებისთვისაც, ისევე როგორც უილიამ სპუნერისათვის დამახასიათებელი იყო ბგერათა უნებლიე ტრანსპოზიცია.

სპუნერიზმების გამოყენების პრაგმატიკული დანიშნულება და ფუნქციაა იუმორისტული და სახალისო ეფექტის შექმნა. ასევე, ვფიქრობთ, რომ ეფექტური იქნება მეთოდოლოგიაში მათი გამოყენება, მეტი სიხალისის შესატანად სწავლებისა და სწავლის პროცესში. თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ სტუდენტებმა გაშიფრონ და დააღაგონ ასოები ისე, რომ მიიღონ სწორი სიტყვები. ასეთი სახის აქტივობა ხელს შეუწყობს და განავითარებს სტუდენტების (განსაკუთრებით დაწყებით დონეზე) წერისა და კითხვის უნარ-ჩვევებს.

პალინდრომი

პალინდრომი არის სიტყვა, ფრაზა ან ლექსი, რომელიც ერთნაირად იკითხება თავიდან ბოლოსაკენ ან პირიქით, ბოლოდან თავისკენ. (უცხო სიტყვათა ლექსიკონი 2007). პალინდრომი ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ გაჩნდა. ლეგენდა მისი წარმოშობის შესახებ იუმორისტულია. ლეგენდის თანახმად, პირველი ფრაზა, რომელიც ადამიანმა წარმოთქვა იყო „პალინდრომული“. მაგ: ადამმა ევას თავი სწორედ „პალინდრომული წინადადებით“ წარუდგინა. “Madam, I’m Adam”. ფრაზა ერთნაირად იკითხება თავიდან ბოლოსაკენ და პირიქით.

ლექსის ან პალინდრომული ფრაზის წაკითხვისას, სასვენი ნიშნების გამოყენება არ წარმოადგენს დაბრკოლებას ანუ ჩვეულებრივ მიიჩნევა პალინდრომის სახედ.

დაკვირვების საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ პალინდრომის შემდეგი ტიპები: ერთსიტყვიანი პალინდრომები, პალინდრომული ფრაზები, წინადადებები, პალინდრომული პოეზია, ანდაზური/შეგონებითი სახის პალინდრომი, რვეერსული პალინდრომი (სიტყვების საფუძველზე და არა ასოთა გადანაცვლების საფუძველზე შექმნილი) და გრაფიკული სახით მოცემული ტექსტობრივი პალინდრომებიც კი, რომლებსაც დაწვრილებით განვიხილავთ სიტყვათა თამაშის შესაბამის კატეგორიაში. (სიტყვათა თამაში გრაფოლოგიურ - გრაფიკულ ტექსტობრივი თვალსაზრისით).

პალინდრომები დავალაგეთ შემდეგი კლასიფიკაციით: 1. ერთსიტყვიანი პალინდრომი, 2. ორსიტყვიანი პალინდრომი, 3. პალინდრომული ფრაზები და წინადადებები, 4. პალინდრომული პოეზია, 5. ანდაზური, შეგონებითი სახის პალინდრომი, 6. რვეერსული პალინდრომი.

1. ერთ სიტყვიანი პალინდრომები ინგლისური და ქართული ენების მაგალითზე.

Deed, did, eve, eye, kayak, noon, nun, peep, pip, pop, refer, repaper, rotator

ანა, ალა, აბა, აპა, ასა, ადა, აქა, მამამ, ანაბანა და სხვ.

2. ორსიტყვიანი პალინდრომები:

Amore, Roma	Avid diva	Bird rib
Go dog	God's dog	Late metal
Live evil	My gym	To idiot

აი ია

ატამი იმატა

აღენ, ნელა!

3. პალინდრომული ფრაზები და წინადადებები:

A man, a plan, a canal – Panama

Euston saw I was not Sue.

Rise to vote sir.

Step on no pets.

Never odd or even.

Dogma: I am God.

A nut for a jar of tuna.

No lemon, no melon.

Some men interpret nine memos.

Gateman sees name, garageman sees nametag.

A Santa pets rats, as Pat taps a star step at NASA.

Anne, I vote more cars race Rome to Vienna.

Deirdre wets altar of St. Simon's; no mists, for at last ewer dried.

E. Borgnine drags Dad's gardening robe.

Ed, I saw Harpo Marx ram Oprah W. aside.

Embargos are macabre. Sad Nell, listen O! not to no nets - I'll lend a Serb a camera, so grab me!

Golf? No sir, prefer prison-flog.

პალინდრომული ფრაზები და წინადადებები ქართული ენიდან:

აბომ არია ბაირამობა

ირმამ აღიდა მამრი

მოცემული მაგალითები ერთნაირად იკითხება როგორც თავიდან ბოლოსაკენ, ისე პირიქით (წაღმა უკუღმა). ზოგიერთ შემთხვევაში, ბოლოდან თავისაკენ წაკითხვისას ირღვევა სიტყვებს შორის ინტერვალი, თუმცა ამას მნიშვნელობა არ აქვს, მოცემული მაგალითი მაინც ითვლება პალინდრომის სახედ. ასევე ყურადღება არ ექცევა სასვენ ნიშნებს, პალინდრომის შექმნის სირთულის გამო.

4. პალინდრომული პოეზია:

პალინდრომი გამოიყენება პოეზიაშიც. მაგ:

ამერიკელმა კომიკოსმა, მსახიობმა და იუმორისტმა მწერალმა, დემეტრი მარტინმა დაწერა 224 სიტყვიანი პალინდრომული ლექსი. ლექსში მოცემული ყველა ხაზი ერთნაირად იკითხება თავიდან ბოლოსაკენ და პირიქით.

Dammit I'm Mad

“Dammit I'm mad.

Evil is a deed as I live.

God, am I reviled? I rise, my bed on a sun, I melt.

To be not one man emanating is sad. I piss.

Alas, it is so late. Who stops to help?

Man, it is hot. I'm in it. I tell.

I am not a devil. I level "Mad Dog".
 Ah, say burning is, as a deified gulp,
 In my halo of a mired rum tin.
 I erase many men. Oh, to be man, a sin.
 Is evil in a clam? In a trap?
 No. It is open. On it I was stuck.
 Rats peed on hope. Elsewhere dips a web.
 Be still if I fill its ebb.
 Ew, a spider... eh?
 We sleep. Oh no!
 Deep, stark cuts saw it in one position.
 Part animal, can I live? Sin is a name.
 Both, one... my names are in it.
 Murder? I'm a fool.
 A hymn I plug, deified as a sign in ruby ash.
 A Goddam level I lived at.
 On mail let it in. I'm it.
 Oh, sit in ample hot spots. Oh wet!
 A loss it is alas (sip). I'd assign it a name.
 Name not one bottle minus an ode by me:
 "Sir, I deliver. I'm a dog"
 Evil is a deed as I live.
 Dammit I'm mad.

<http://mixedlollies.wordpress.com/2008/02/15/dammit-im-mad-a-poem-by-demetri-martin/>

მიუხედავად იმისა, რომ ლექსი რითმულობასა და რიტმულობას
 მოკლებულია, იგი გარკვეულწილად მაინც რაღაც აზრის მატარებელია.
 გარდა ამისა, იგი სახალისო და საინტერესოა თუნდაც მისი სტრუქტურიდან,
 აგებულებიდან გამომდინარე.

მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი გალაკტიონის შემოქმედებიდან:

(ა) „აი რა მზის სიზმარია

აირევი ივერია,

აი დროშა, აშორდია,

აერების სიბერეა“. (გალაკტიონი).

(ბ) საინტერესოა ზაზა ქინქლაძის პალინდრომული ლექსები. ლექსების სათაურები არ არის პალინდრომის პრინციპით აგებული, სამაგიეროდ *პალინდრომული ლექსების* შინაარსი, ყველა მოცემულ შემთხვევაში პასუხობს სათაურს ანუ შინაარსობრივად შესაბამისობაშია სათაურთან. მაგ:

„ტახტწართმეული აიეტის მოთქმა“

ა, ბედო, გოდება

და მოზარე მე რაზომად

ო, სეეზე ზევსო!

ეს რაა და რა დააარსე?

მაცილე ბედი და მადიდებელი ცამ,

იავარ ძმამ-ესრე პერსემ ამძრა! ვაი!

ვაი, აიავ,

რახან აყევ ქარსა, რა ქვეყანა ხარ?

ო, აწი მოდი, დიდო მიწათ!

(გ) გაზაფხული

ე მაისი! აი ია! ისიამე!

აისია, ასიზმრმზისა, აისია,

მალე ტიტამ, მაისიამ, მატიტელამ

აიწია ალიშილა, აიწია.

აი ია, დასად- დასად , აი ია,
აირმზისად ცისად დასიც დასიზმრია,
ემზიანე აწი მიწა, ენა იმზე
და იეზი თესე, თესე, თიბე იად.

ლექსის სტრუქტურისა და აგებულების თვალსაზრისით, ასევე
საინტერესოა რატი იონათამიშვილის პალინდრომი ქართულ ანბანზე:

(დ) ანბანი

ან სხვა აგხს-ნა

იმის სიმი

ანაბანა

ისმენ ნემსი

აი ია,

ვაცი-თ იცავ

იმას, რადაც ცა-დ არ-სამი

ანდა დავა ავად აღნა

ცას, როგორ-საც

აშენ შენა,

ელვა მანამ ავლე

სანამ, მანას

ასომ მოსა

ასსა

არა ფიცი-თ, იცი? ფარა

დეუნა, გ-ანვედ,

არა შ-არა,

იძან ნამი

ოდა-ს ადო,

იბერები

ამან ნამა

აირი არ აირია,

იდებ-ს ბედი

სავდო ც-ოდვას

არადა მე შემადარა,

დავა-მ ავად

სავალ ღავას

ღექსი შინაარსს მოკლებულია, თუმცა საინტერესოა მისი აგებულებისა და ფორმის თვალსაზრისით.

წინამდებარე მაგალითებში პალინდრომები მოცემულია არა მთლიანი სტროფის სახით, არამედ თითოეულ ხაზზე, სტრიქონულად. ცხადია, რომ მათი შექმნა უდავოდ დიდი ნიჭიერებისა და შემოქმედებითობის დამადასტურებელია.

პალინდრომული პოეზია ძირითადად გამოიყენება მკითხველის დასაინტერესებლად, გასართობი და სახალისო სიტუაციის შექმნის თვალსაზრისით მათი უცნაური წყობის გამო.

ყველაზე დიდი პალინდრომული სიტყვა, რომელიც უდაოდ ონომატოპეის მაგალითსაც წარმოადგენს, ჯეიმს ჯოისმა გამოიყენა „ულისეში“ (1922) კარზე კაკუნის იმიტირებისათვის – **“Tattarrattat”**. ამ შემთხვევაში ჩვენი კლასიფიკაციის ერთიდაიგივე ერთეული ორ ელემენტს ერგება. თანადროულად, ერთ სიტყვაში მოცემულია ონომატოპეისა და პალინდრომის მაგალითი.

5. არსებობს ასევე ანდაზური, შეგონებითი სახის პალინდრომი:

Sex at noon taxes

Dennis and Edna sinned

Live not on evil

მოცემულ მაგალითშიც, პალინდრომი მოცემულია არა მთლიანი სტროფის სახით, არამედ თითოეულ ხაზზე.

6. რევერსული პალინდრომი, რომელიც შექმნილია სიტყვების და არა სიტყვებში ასოთა გადანაცვლების საფუძველზე.

ზოგჯერ პალინდრომი იქმნება არა ასოების სათანადო განლაგების შედეგად სიტყვებში, არამედ სიტყვების შესაბამისი წყობით ხაზებში და ზოგიერთ შემთხვევაში წინადადებების შესაბამისი განლაგების შედეგადაც კი; ანუ ნებისმიერ სიტუაციაში, ერთიდაიგივე სტროფი როგორც წაღმა, ისე უკუღმა ერთნაირად იკითხება. მაგალითისთვის განვიხილოთ ჰოვარდ ბერგერსონის ლექსი: “Ida by the Window”. (<http://www.brownielocks.com/palindromes.html>)

“Ida by the Window”

Ma, I so resign.

It's all a poet air.

Ben is, I see, so Greek.

In sly dissent I wore no gay ruff.
O see by a brae his nag roll or yaw?
Awol laws (as are every god's) are a dire rod.

"Aye, fade with gin--O, too wispily,
Sordid rosy lips I woove.
(Tonight I wed a fey adorer, Ida.)
Eras do gyre--veer as a swallow away.

Roll, organs I hear! Bay, bees of fury ago!
Nero, witness idyls Nike ergo sees!
Is inebriate Opal lasting? Is Eros?
I am!"

მოცემულ მაგალითში, პალინდრომის ეფექტი მიიღწევა მაშინ, როდესაც ლექსს წავიკითხავთ ბოლო სტრიქონიდან პირველის მიმართულებით. წინამდებარე მაგალითების მსგავსად, პალინდრომის პრინციპით აგებული ლექსები შინაარსს მოკლებულია, თუმცა საინტერესო სტრუქტურის თვალსაზრისით.

მსგავსი პრინციპითაა აგებული კორნულის ეკლესიის ეზოში აღმოჩენილი შემდეგი ეპიტაფიც:

Shall we all die?
We shall die all;
All die shall we-
Die all we shall.

არსებობს ასევე გრაფიკული სახით მოცემული ტექსტობრივი პალინდრომებიც, რომლებსაც შესაბამის კატეგორიაში (სიტყვათა თამაში გრაფოლოგიურ - გრაფიკულ - ტექსტობრივი თვალსაზრისით) განვიხილავთ.

პალინდრომი განიხილება, როგორც ინტენციურობის, ისე არაინტენციურობის თვალსაზრისით. არაინტენციური პალინდრომის მაგალითებს ვხვდებით ჩვეულებრივ მეტყველებაში. მაგ: ანა, მამამ, აი ია და სხვ.

ანალოგიურად შეიძლება მივიჩნიოთ ინგლისური ვარიანტებიც. **Anna, mum, dad, eye** და სხვ.

ძირითადად პალინდრომები მაინც წინასწარი განზრახვით იქმნება მათი ფორმის სირთულის გამო. ამას განხილული მაგალითებიც მოწმობს.

პალინდრომის შექმნა, მართლაც ავტორის დიდი საიდუმლო და მკითხველის გამოწვევაა. მისი შექმნა დიდ ოსტატობასა და მოხერხებულობას მოითხოვს. იგი არ არის მხოლოდ უბრალო გასართობი. პალინდრომი ლიტერატურის ცენტრალურ ფიგურას ნამდვილად არ წარმოადგენს, თუმცა მის გამოყენებას ლიტერატურაში თავისი ადგილი უკავია.

http://www.fun-with-words.com/palin_word_palindromes.html

მალაპროპიზმი

მალაპროპიზმი, იგივე **დოგბერიზმი** (Dogberryism) არის სიტყვათა თამაშის სახეობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია სიტყვათა ჩანაცვლება მსგავსი უღერადობის სხვა სიტყვით, რის შედეგადაც ვიღებთ აბსურდულ ან კომიკურ სიტუაციას.

ტერმინი მალაპროპიზმი და მისი ადრეული ვარიანტი malaprop წარმოიშვა ირლანდიელი პოეტისა და დრამატურგის, რიჩარდ ბრინსლი შერიდანის (1751–1816) პიესის მიხედვით “The Rivals”. კერძოდ, პერსონაჟის ქალბატონ მალაპროპის სახელთანაა დაკავშირებული. აღნიშნულ პერსონაჟს სურვილი აქვს მაღალ საზოგადოებაში დაიმკვიდროს თავი და ცდილობს გამოიყენოს მაღალფარდოვანი სიტყვები. ამის გამო, იგი ხშირად სხვა სიტყვის ნაცვლად, სრულიად სხვა სიტყვას იყენებს, რაც თავად მას სასაცილო მდგომარეობაში აგდებს, ნათქვამს კი აბსურდულ ან კომიკურ ეფექტს სძენს. მაგალითები შერიდანის პიესიდან “The Rivals”.

(1) I am sorry to say, Sir Anthony that my **affluence** over my niece is very small (**influence**).

Affluence – ემანაცია; გამოყოფა

Influence – გავლენა

(2) He is the very **pineapple** of politeness (**pinnacle**).

Pineapple – ანანასი;

Pinnacle – ზენიტი, მწვერვალი

განხილულ მაგალითებში, რა საკვირველია, სათქმელად განსაზღვრული სიტყვის მსგავსი უღერადობის სიტყვით ჩანაცვლება სრულიად ცვლის წინადადების შინაარსს. შედეგად ვიღებთ აბსურდს ან კომიკურ სიტუაციას.

მიუხედავად იმისა, რომ მოცემული სიტყვები მხოლოდ მიახლოებული უღერადობისაა და მათი მნიშვნელობებიც განსხვავებულია, გამჭრიახი მკითხველი მაინც მიხვდება ფრაზის მნიშვნელობას. ფრაზის შინაარსის სწორად გაგებაში, მკითხველს/ მსმენელს ფონური და კულტუროლოგიური ცოდნა, ასევე თეზაურუსი ეხმარება.

მალაპროპიზმის ალტერნატიული ფრაზა ანუ სინონიმი „დოგბერიზმი“, შექსპირის პიესის მიხედვით გაჩნდა. „Much Ado About Nothing“. პიესის პერსონაჟი „დოგბერი“ დაახლოებით ანალოგიურად ხასიათდება, როგორც ქალბატონი „მალაპროპი“.

მალაპროპიზმის წინასწარი განზრახვით გამოყენება დამახასიათებელია მწერლებისათვის, რომლებიც ამ ხერხს იყენებენ ლიტერატურაში და რეჟისორებისათვის. მალაპროპიზმების გამოყენება მხატვრულ შემოქმედებაში სხვადასხვა მიზეზით აიხსნება. შესაძლოა, მისი მეშვეობით აღწერილი იყოს პერსონაჟისათვის დამახასიათებელი მცდარი მეტყველების სტილი ან უბრალოდ პქონდეს კომიკური, ირონიული ან სატირული დატვირთვა.

ინგლისელი კომიკოსი მსახიობი, მწერალი და რეჟისორი სტენ ლაურელი (1890–1965) ხშირად იყენებდა მალაპროპიზმებს კომედიური ჟანრის ფილმებში. (Laurel & Hardy).

(3) She said honesty was the best **politics** (ნაცვლად – **policy**) ფილმიდან ”Sons of the Desert”.

politics - პოლიტიკა (როგორც მთავრობა, ორგანიზაცია).

policy - პოლიტიკა (მოქმედების წესი, პრინციპი).

(4) What a terrible **cat's after me!** (ნაცვლად – **catastrophe**) ფილმიდან “Any Old Port!”

cat's after me – ფრაზა, რომელიც სწრაფი მეტყველებისას ჟღერადობით ემსგავსება სიტყვას – catastrophe.

ამგვარად, აღნიშნულ მაგალითებში, სიტყვათა თამაშის ეფექტი იქმნება მიმსგავსებული ჟღერადობის სიტყვათა ჩანაცვლების საფუძველზე. შესაბამისად იქმნება განსხვავებული მნიშვნელობისა და აზრის მქონე წინადადებები.

მალაპროპიზმებს იყენებენ ასევე ანიმაციური ფილმების ავტორები. მაგ:

(5) My uncle had a problem with his **probate** and he had to take these big pills and drink lots of water (ნაცვლად – **prostate**) – გამოიყენა სიტყვა **probate** – (ანდერძის დამტკიცება) ანიმაციური ფილმიდან “Who framed Roger Rabbit”.

მალაპროპიზმებს იყენებენ როგორც რეალთი შოუებსა და კომედიურ სატელევიზიო გადაცემებში, ასევე ცნობილი ადამიანების მეტყველებებში მალაპროპიზმის არაერთი მაგალითია მოცემული. ჯორჯ ბუში მალაპროპიზმების დიდოსტატად ითვლება. მაგ:

(6) "We cannot let terrorists and rogue nations hold this nation **hostile** or hold our allies **hostile**." (George W. Bush, 2000)

მან ნაცვლად სიტყვისა **hostage** (მძევალი), გამოიყენა სიტყვა **hostile** (მტრული, არაკეთილგანწყობილი). რა თქმა უნდა იცვლება წინადადების აზრიც. მითუმეტეს, როდესაც მეტყველებისას, მსგავს შეცდომას საჯარო მოხელე უშვებს ან განაცხადით გამოდის საზოგადოების წინაშე.

(7) "We need to change that attitude about how **prolific** we can be with the people's money." -

- George W. Bush, Mar. 16, 2001.

ნაცვლად სიტყვისა **profligate** (უყაირათო, არამომჭირნე), გამოიყენა სიტყვა **prolific** (პროდუქტიული, ნაყოფიერი).

(8) "Anyway, I'm so thankful, and so **gracious** - I'm **gracious** that my brother Jeb is concerned about the hemisphere as well." (George W. Bush 2001)

ნაცვლად სიტყვის **grateful** (მადლიერი), გამოიყენა სიტყვა **gracious** (ღმობიერად; გრაციოზულად).

ანალოგიური უხერხულობა შეიძლება შეიქმნას განხილული მაგალითების ან სხვა მსგავსი შემთხვევების დროსაც.

გამომდინარე იქიდან, რომ მალაპროპიზმებს იყენებენ მხატვრულ და ანიმაციურ ფილმებში, ასევე უამრავ კომედიურ სატელევიზიო გადაცემაში, შესაძლოა მათი განხილვა ინტენციურობის, ისევე როგორც არაინტენციურობის თვალსაზრისით, თუმცა, მისი პრაგმატიკული ფუნქცია, განზრახ გამოყენების შემთხვევაში არის დამაბნეველი, გაურკვეველი, აბსურდული, სახალისო და იუმორისტული სიტუაციის შექმნა.

რაც შეეხება მალაპროპიზმის კოლოკიური მეტყველების დროს გამოყენებას, იგი არაინტენციურია ანუ ასეთ შემთხვევაში, მალაპროპიზმი უბრალოდ, მცდარი მეტყველების ფორმაა.

ნაშრომის პირველი თავის ქვეთავში 1.1 - **სიტყვათა თამაში ფონეტიკური - გრაფოლოგიური და მორფოლოგიური თვალსაზრისით**, განვიხილეთ შემდეგი ლინგვისტური ერთეულები: მონდეგრინი, ონომატოპეა, სპუნერიზმი, ანაგრამა, მალაპროპიზმი, პალინდრომი.

გამოიკვეთა, რომ ანაგრამა არ განიხილება არაინტენციურობის კრიტერიუმზე დაყრდნობით, რადგან მათი შექმნის აუცილებელი ტექნიკაა ასოების გადასმა სიტყვებში, ფრაზებსა თუ ტექსტებში. სხვა დანარჩენი განხილული ლინგვისტური ერთეულები (მონდეგრინი, ონომატოპეა, სპუნერიზმი, მალაპროპიზმი) შეიძლება იყოს, როგორც წინასწარ განზრახული, ისე არაინტენციური ანუ იხმარება როგორც გამიზნულად, ისე შეიძლება შეიქმნას უნებლიედ, კონტექსტში.

აღნიშნული ტერმინების პრაგმატიკული ფუნქცია სხვადასხვა ჟანრში, მათი სახალისო, იუმორისტული, აბსურდული, დამაბნეველი ან სხვა ეფექტის შექმნაა.

12. სიტყვათა თამაში ლექსიკური, სინტაქსური და სემანტიკური თვალსაზრისით

ამ კატეგორიაში დავახასიათებთ სიტყვათა თამაშის სახეებს ლექსიკური, სინტაქსური და სემანტიკური თვალსაზრისით. ასევე, მათ ქვეკატეგორიებს ასეთის არსებობის შემთხვევაში. კერძოდ, განვიხილავთ კალამბურს და მის სახეობებს სხვადასხვა მკვლევართა კლასიფიკაციების მიხედვით. სიტყვათა თამაშის ლექსიკური, სინტაქსური და სემანტიკური თვალსაზრისით განიხილება ასევე ველერიზმი (ტომ სვიფტი), ოქსიმორონი და სიტყვათა თამაშის სხვა სახეები.

ტერმინი **კალამბური** არის ფრანგული სიტყვიდან (calembour) წარმოქმნილი ერთეული, რომელიც ნიშნავს სიტყვათა თამაშს, ორაზროვან გამოთქმას, ხუმრობას, რომელიც ემყარება სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვებისა და გამოთქმების ბგერითი მსგავსების კომიკურ ინტერპრეტაციას, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება ომონიმას; ამავე დატვირთვას შეიცავს კალამბურული რითმა, რომელიც სიტყვათა მოულოდნელი შეხამებითაა წარმოქმნილი. კალამბური ასევე განიმარტება, როგორც მეტყველების თამაშის ფორმა, სიტყვის ან ფრაზის სახალისოდ გამოყენება, რომელიც დამოკიდებულია ბგერათა მსგავსებასა და მნიშვნელობის სხვადასხვაობაზე. (Oxford Dictionary 1995: 1375).

კალამბური სიტყვათა თამაშის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. მისი როლი და გამოყენება ლიტერატურაში ძალიან დიდია და ათასობით წელს ითვლის. ამ ფაქტს ისიც მოწმობს, რომ კალამბურს იყენებდნენ მაიას ტომები იეროგლიფურ დამწერლობაში. (Danien 1992:45); ასევე, უძველეს ეგვიპტურ მითებში, სიზმრების ასახსნელად (Pinch 1995:56).

ჩინეთში შენ ტაომ, ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე 300 წელს, გამოიყენა პოლისემიური სიტყვა "shih", რომელსაც ჰქონდა ორი სხვადასხვა მნიშვნელობა „ძალაუფლება და პოზიცია/მდგომარეობა“, რათა გამოეხატა, რომ ძალაუფლება მეფის ხელშია მისი პოზიციის, ანუ „მეფობის“ გამო. ამგვარად, მან პოლისემიური სიტყვის საშუალებით გამოხატა სხვადასხვა სათქმელი. (Waley 1982: 81).

ყველა ზემოთხსენებული ფაქტი კიდევ ერთხელ მოწმობს თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და აქტუალურია კალამბური, როგორც სიტყვათა თამაშის სახეობა.

სამუელ ჯონსონი კალამბურს იუმორის ყველაზე დაბალ საფეხურს და ნაირსახეობას უწოდებს – “the lowest form of humour”.

ინგლისელი პოეტი და დრამატურგი ჯონ დრაიდენი თავის ცნობილ ფრთიან ციტატებს შორის, კალამბურს იუმორისტულად განმარტავს: „კალამბური არის ერთი საწყალი სიტყვის, ათასგვარად წამება”. “Punning is to torture one poor word ten thousand ways.” (Dryden John).

(<http://www.workinghumor.com/puns/words.shtml>)

ამგვარად, განმარტებების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კალამბური არის პოლისემიური სიტყვებისა და ომოფონების იუმორისტულად, ან სხარტულის შექმნის მიზნით გამოყენება, აზრის გამოსატვის რიტორიკული საშუალება, სადაც ადამიანები, სუბიექტურად თუ ობიექტურად იყენებენ ენის პოლისემიურ, ომონიმურ და ლოგიკურ კავშირებს, რათა სიტყვამ, წინადადება ან დისკურსმა შეიძინოს ორი ან მეტი სხვადასხვა მნიშვნელობა.

განსხვავებულია სხვადასხვა მკვლევრის შეხედულება კალამბურის რაობის შესახებ. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად დელაბასტიტა და გოტლიბი კალამბურსა და სიტყვათა თამაშს განიხილავენ, როგორც ერთიანი კონცეპტის აღმნიშვნელ ორ სხვადასხვა სიტყვას (Delabastita 1996; Gottlieb 2005). თუმცა, დ. კიარო კალამბურს განმარტავს, როგორც „სიტყვათა თამაშის“ ქვეკატეგორიას და მიიჩნევს, რომ ტერმინი, *სიტყვათა თამაში*, გულისხმობს ბევრად უფრო მეტს, რომელიც კლასიფიცირდება შემდეგნაირად – კალამბურებიდან და სპუნერიზმიდან დაწყებული, ხუმრობითი ნათქვამი ან ენამოსწრებული შენიშვნით და კომიკური ამბით დამთავრებული (Chiaro 1992:4). კიაროს განმარტება სწორედ იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ კალამბური არის სიტყვათა თამაშის ტიპოლოგია, მისი ქვეკატეგორია, რომელიც დაკავშირებულია ორაზროვნებასთან (Chiaro 1992:4).

ლეპიჰალმე კალამბურს ასევე განმარტავს, როგორც სიტყვათა თამაშის ცალკეულ ქვეკატეგორიას. იგი ამბობს, რომ რთულია ისეთი ნიუანსირებული

ფენომენის ზუსტად განსაზღვრა, როგორცაა სიტყვათა თამაში. (Leppihalme 1997: 141–143).

ამგვარად, კალამბურის მისეული განმარტება ემთხვევა დ. კიაროს აზრს. გარკვეულწილად ანალოგიურ აზრს გამოთქვამს დელაბასტიცაც. მისი განმარტების მიხედვით, სიტყვათა თამაში არის სხვადასხვა ტექსტობრივი ფენომენის ზოგადი სახელწოდება, რომელშიც მოცემული ენის (ენათა) სტრუქტურული მახასიათებლები გამოყენებულია იმისათვის, რომ გამოიწვიოს ორი ან ორზე მეტი ლინგვისტური სტრუქტურის კომუნიკაციურად მნიშვნელოვანი კონფონტაცია, მეტ-ნაკლებად მსგავს ფორმებსა და განსხვავებულ მნიშვნელობებში. (Delabastita 1996:128).

ინგლისელი მწერლის რედფერნის თვალსაზრისით, „კალამბური“ (სიტყვათა თამაში) ყველა ენისთვისაა დამახასიათებელი. მისი განმარტებით, კალამბურის წარმოთქმა იგივეა, რაც ომონიმების გასინონიმება, ანუ სინონიმებად გადაქცევა. (Redfern 1985 : 234). ("To pun is to treat homonyms as synonyms").

ეს განმარტება ნაწილობრივ უნდა იყოს ჭეშმარიტი, რადგან, როგორც კვლევამ დაადასტურა, ყველა კალამბური არ არის სინონიმებისაგან შემდგარი.

ზემოთ მოყვანილი განმარტებების საფუძველზე, წარმოვიდგინოთ კალამბურის დაზუსტებულ განმარტებას. კალამბურს მივიჩნევთ, როგორც სიტყვათა თამაშის ქვეკატეგორიას ანუ ერთ-ერთ სახეობას, რომელიც წარმოიქმნება სიტყვების პოლისემიის, ომონიმია - ომოფონიის საფუძველზე შექმნილი ორაზროვნების შედეგად, რასაც, ხშირად თან სდევს კომიკური ეფექტი. ჩვენი აზრით, ეს მიდგომა დასაბუთებულად გვეჩვენება, რადგან სიტყვათა თამაში, გარდა ომონიმებით, ომოფონებითა და პოლისემიით გამოწვეული ორაზროვნებისა, ასევე გულისხმობს სხვა ლინგვისტურ ერთეულებსაც და რამდენიმე მათგანი უკვე განვიხილეთ კიდევ, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ კალამბური არის სიტყვათა თამაშის ერთ-ერთი სახეობა და არა მისი სინონიმური ერთეული.

წინამდებარე ქვეთავში განვიხილავთ კალამბურის ტიპოლოგიას, სხვადასხვა მკვლევართა კლასიფიკაციების მიხედვით და შემოგთავაზებთ ჩვენეულ კლასიფიკაციას.

1.3. კალამბურის ტიპოლოგია

როგორც ზემოთ განვიხილეთ, ცნობილია სიტყვათა თამაშისა და კალამბურის სხვადასხვაგვარი განმარტება. ზემოთ მოცემულის საფუძველზე ზოგიერთი მკვლევარი კალამბურს განმარტავს, როგორც სიტყვათა თამაშის ცალკეულ ქვეკატეგორიას, მაშინ როცა სხვანი ზემოთხსენებულ ტერმინებს თვლიან უბრალოდ ურთიერთჩანაცვლებად, სინონიმურ სიტყვებად.

სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ არსებობს კალამბურისა და სიტყვათა თამაშის სხვადასხვა განმარტება, განსხვავებულია მათი კლასიფიკაცია და ტიპოლოგიაც. ქვემოთ განვიხილავთ სხვადასხვა მკვლევართა კლასიფიკაციებს და შესაბამისად მოვიყვანთ მაგალითებს.

დელაბასტიტას კლასიფიკაციის მიხედვით, არსებობს სიტყვათა თამაშის, იგივე კალამბურის (როგორც ვთქვით, დელაბასტიტას მიხედვით კალამბური და სიტყვათა თამაში ერთი და იმავე კონცეპტის აღმნიშვნელი ორი სხვადასხვა სიტყვაა) ოთხი ძირითადი ტიპი (Delabastita 1996 :128).

1. **ომონიმები** (იდენტური ჟღერადობა და ორთოგრაფია),
2. **ომოფონები** (იდენტური ჟღერადობა და სხვადასხვაგვარი ორთოგრაფია),
3. **ომოგრაფები** (სხვადასხვაგვარი ჟღერადობა და იდენტური ორთოგრაფია)
4. **პარონიმები** (უმნიშვნელო განსხვავება ჟღერადობასა და ორთოგრაფიას შორის).

გოტლიბის (Gottlieb 2005 : 56) მიერ ჩამოყალიბებული სიტყვათა თამაშის ტიპოლოგია თითქმის მსგავსია დელაბასტიტას (Delabastita 1996) კლასიფიკაციისა, თუმცა მისი ტიპოლოგია უფრო დეტალურია, რადგან იგი

გამოყოფს ომონიმის სამ ქვეკატეგორიას სემანტიკურ-სინტაქსურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

1. ლექსიკური ომონიმები
2. კოლოკაციური (collocational) ომონიმები
3. ფრაზული ომონიმები

ლექსიკური ომონიმის შემთხვევაში ცენტრალური მახასიათებელია ცალკეული სიტყვის ორაზროვნება, რაც იმას ნიშნავს რომ ორ მსგავს სიტყვას გააჩნია ორი სხვადასხვა მნიშვნელობა. (Gottlieb 2005:56).

კოლოკაციური ომონიმი არის ომონიმის სახე, სადაც ცენტრალური მახასიათებელია „სიტყვა-კონტექსტში“ ორაზროვნება, რაც თავისთავად იმას გულისხმობს, რომ კონტექსტის საფუძველზე გამოთქმას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მნიშვნელობა. (Gottlieb 2005:56).

ომონიმის მესამე ტიპი, გოტლიბის მიხედვით, არის **ფრაზული ომონიმი**, სადაც ცენტრალური მახასიათებელია რთული წინადადების შემადგენელი ნაწილის ორაზროვნება. (Gottlieb 2005:56).

გოტლიბისა და დელაბასტიტას მიხედვით სიტყვათა თამაში და კალამბური ერთდამავე კონცეპტის აღმნიშვნელი ორი სხვადასხვა სიტყვაა, ანუ სინონიმურ ერთეულებად მოიაზრება.

განსხვავებულია ჩინელი ლინგვისტის იუან ჩუანდაოს კლასიფიკაცია. მისი განმარტებით, კალამბური არის მეტყველების ფორმა, რიტორიკული ორაზროვნება. ინგლისურად მოსაუბრე ადამიანები და არა მარტო ისინი, ხშირად იყენებენ ენის მახასიათებლებს, რათა შექმნან უამრავი საოცარი კალამბური. კალამბურის ფუნქცია ნათელია განსხვავებულ კონტექსტებში – ირონია და სატირა იუმორის გამოსახატად; ქარაგმული სიტყვების გამოყენება დაძაბული სიტუაციის შესაქმნელად; იმპლიკაცია და ლაკონურობა კომპლექსური, ურთიერთსაწინააღმდეგო კავშირების გამოსახატად; მხატვრული სახის შექმნა; ზედაპირული მნიშვნელობის სიღრმისეულთან და კონკრეტული კონცეპტის აბსტრაქტულთან გაერთიანება, რათა წინადადება გამდიდრდეს მნიშვნელობებით.

იუან ჩუანდაოს აზრით, კალამბური დაკავშირებულია არა მხოლოდ სიტყვის მნიშვნელობასა და ომოფონიასთან, არამედ კონტექსტთან, მეტყველების ფორმასა და ლოგიკასთან. სწორედ ამიტომ, ინგლისური კალამბურის ზოგადი კვლევისას, იგი განსაზღვრავს მას, როგორც ინგლისური ენის და ზოგადად ენის გამოყენების სხვადასხვა ფორმას.

იუან ჩუანდაო გამოყოფს კალამბურის ხუთ სახეობას. ესენია:

ომონიმური (Homonymic)

2. **ლექსიკური მნიშვნელობის (Lexical meaning)** ანუ გულისხმობს სიტყვის პოლისემიას

3. **მისახვედრი /ადვილად გასაშიფრი (understanding)** (კონტექსტში ან კონტექსტის დახმარებით ვხვდებით ნაგულისხმევ მნიშვნელობას)

4. **გადატანითი მნიშვნელობის მქონე (ქარაგმული, Figurative)**

5. **ლოგიკური კალამბური (Logical).** ლოგიკური კალამბური არის რიტორიკული ხერხი, როდესაც მოსაუბრე მსმენელისაგან ინფორმაციის მიღების დროს, იყენებს განსაკუთრებულ კონტექსტს თემის იმპლიციტურად შეცვლისათვის, რათა მიაღწიოს საკუთარ კომუნიკაციურ მიზნებს. ლოგიკის თვალსაზრისით, ეს არის თემის ფარულად შეცვლის მეთოდი გარკვეული გრძნობებისა და ემოციების გამოსახატად.

(<http://www.languageinindia.com/april2005/englishpun1.html>)

დაკვირვებისა და ზემოაღნიშნული კლასიფიკაციების საფუძველზე არსებობს ასევე **ორენოვანი** (სადაც ხდება ენათაშორის უმნიშვნელო სემანტიკური დამთხვევა (Delabastita 1993), **რთული, რეკურსიული, ტრანსპოზიციური, შედგენილი** და სხვა სახის კალამბურები.

სხვადასხვა მკვლევართა მიერ შედგენილი კლასიფიკაციების მიხედვით, მოვიყვანოთ შესაბამისი მაგალითები და განვიხილოთ თითოეული სახეობა ცალ-ცალკე.

ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულ კლასიფიკაციას მოგვიანებით განვიხილავთ ამავე თავში.

დელაბასტიტას კლასიფიკაცია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დელაბასტიტა სიტყვათა თამაშსა და კალამბურს სინონიმურ ერთეულებად მიიჩნევს. იგი გამოყოფს ოთხი ძირითად ტიპს (Delabastita 1996 : 128).

1. **ომონიმები** (იდენტური ჟღერადობა და ორთოგრაფია),
2. **ომოფონები** (იდენტური ჟღერადობა და სხვადასხვაგვარი ორთოგრაფია),
3. **ომოგრაფები** (სხვადასხვაგვარი ჟღერადობა და იდენტური ორთოგრაფია)
4. **პარონიმები** (უმნიშვნელო განსხვავება ჟღერადობასა და ორთოგრაფიას შორის).

ომონიმურ კალამბურებში კომიკური ეფექტი ომონიმების (სიტყვები, რომელთაც ერთნაირი ორთოგრაფია და ჟღერადობა აქვთ, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობა) გამოყენების ხარჯზე მიიღწევა, მაგ:

(1) “Being in politics is just like playing golf: you are trapped in one bad **lie** after another”.

Lie – ტყუილი (არსებითი სახელი); **to lie** – წოლა; დება (ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ყოფნა). (ზმნა). **Lie - to lie** – არის კონვერსიული წყვილი.

ომონიმური სიტყვის გამოყენება წინადადებაში გვაძლევს ორგვარი, ორაზროვანი თარგმანის საშუალებას, რაც თავისთავად ცვლის წინადადების აზრს და კალამბურული ეფექტიც ამ სახით მიიღწევა.

(2) - What happened to him?

- He is **broke**.

მოცემულ შემთხვევაში, ომონიმური სიტყვაა **broke**, რომელიც ნიშნავს **დამტვრევას** და **გაკოტრებას**. შესაბამისად, მივიღებთ სხვადასხვაგვარ თარგმანს.

ომოფონური კალამბურები ანუ (polyptoton) – აღნიშნავს ერთნაირი ელერადობის (სხვადასხვა მნიშვნელობისა და ორთოგრაფიის) სიტყვათა წყვილებს ანუ ომოფონებს, რომლებიც სინონიმები არ არიან. მაგ:

(1) “Atheism is a non-**prophet** institution” (George Garlin).

„ათეიზმი არაწინასწარმეტყველური ინსტიტუტია“.

აქ სიტყვა **prophet** (წინასწარმეტყველი), ჩანაცვლებულია მისი ომოფონით **profit** (სარგებელი, ხეირი), ფრაზაში non-profit institution.

მოცემულია მაგალითის სიტყვასიტყვითი თარგმანი, თუმცა შინაარსობრივად იგულისხმება სხვა რამ. ათეიზმი არამომგებიანია, იმ მიზნით რომ უსარგებლოა. ამ შემთხვევაში ქართულ თარგმანში კალამბურის ეფექტი იკარგება. ვიღებთ ორ სრულიად განსხვავებულ ინტერპრეტაციას.

(2) 'Seven days without laughter makes one **weak**'.

„შვიდი დღე სიცილის გარეშე ასუსტებს“.

მაგალითში მოცემულია ომოფონური სიტყვების (**week-week**) თამაში. ამ შემთხვევაშიც ვიღებთ ორ განსხვავებულ თარგმანს. თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სიცილი სიცოცხლეს ახანგრძლივებს და აჯანსაღებს, შესაბამისად სიცილის გარეშე ყოფნა ერთი კვირის განმავლობაში (ანუ ხანგრძლივად) ასუსტებს, ასე რომ, „კალამბურული წინადადების“ თარგმანიც დასრულებულ, აზრიან წინადადებად შეიძლება ჩაითვალოს.

(3) “Doctors need plenty of **patience/patients**”.

ექიმებს სჭირდებათ დიდი მოთმინება/ბევრი პაციენტი.

ამ წინადადების აღქმა სხვადასხვაგვარად შეიძლება. იგი დამოკიდებულია როგორც ადამიანის განწყობაზე, ასევე საზოგადოების სოციო-კულტურულ მდგომარეობაზე. მაგ: რა თქმა უნდა, რაც უფრო მეტია პაციენტი, შესაბამისად საჭიროა ექიმის მეტი მოთმინება. მეტი მოთმინებაა საჭირო, სანამ პაციენტების რაოდენობა მოიმატებს. ექიმობა თავისთავად გულისხმობს პაციენტის მკურნალობის პროცესს, რაც სერიოზულ მოთმინებას მოითხოვს, პაციენტთა სიმრავლე კი მზარდ შემოსავალს განაპირობებს. (patience – მოთმინება,

სულგრძელობა / patients – პაციენტები). ნებისმიერი თარგმანი, აზრობრივ შესაბამისობაშია ექიმის პროფესიასთან.

განხილულ მაგალითებში (1), (2), (3) სიტყვათა თამაში იგივე კალამბური დელაბასტიტას მიხედვით, იქმნება ომოფონიის საფუძველზე.

ომოგრაფიული კალამბურის შემთხვევაში, საქმე გვაქვს სხვადასხვა მნიშვნელობის, ან სხვადასხვაგვარი გამოთქმის, მაგრამ ერთნაირი ორთოგრაფიის მქონე სიტყვებთან. ასეთი სახის კალამბურებს ასევე უწოდებენ ჰეტერონიმულ კალამბურს. ომოგრაფიულ კალამბურებს, სხვა სახის კალამბურების მსგავსად, ფართოდ იყენებენ „სლოგანებში“. მათი ბუნების გამო, ასეთი სახის კალამბურების გამოყენება თვალნათლივ ჩანს წერით დისკურსში ომოფონებისაგან განსხვავებით, სადაც უფრო მნიშვნელოვანია სმენითი მხარე, ვიდრე ვიზუალური. მაგ:

(1) "You can **tune a** guitar, but you can't **tuna** fish. Unless of course, you play **bass**".

თქვენ შეგიძლიათ ააწყოთ გიტარა, მაგრამ არა თევზი თინუსი. თუ რა თქმა უნდა, არ უკრავთ ბას გიტარას (ან თამაშობთ ქორჭილათი (თევზის სახეობა).

ინგლისელი მწერლის, დრამატურგისა და მუსიკოსის, დაგლას ნოელ ადამსის (Douglas Noel Adams) ეს წინადადება, ომოფონურ და ომოგრაფულ კალამბურებსა და სიტყვის პოლისემიაზეა აგებული. ფრაზაში გამოყენებულია ომოფონური მახასიათებლები "**tune a**" და "**tuna**", ისევე როგორც ომოგრაფული კალამბური სიტყვისა "**bass**", სადაც ორაზროვნებას ქმნის მისი იდენტური ორთოგრაფია. /'beɪs/ (მუსიკალური ინსტრუმენტი) და /'bæs/ (თევზის სახეობა).

პარონიმი - პარონიმებს უწოდებენ ისეთ სიტყვებს, რომლებიც ფორმობრივად (ბგერითი ან მორფოლოგიური აგებულებით) ახლოს დგანან ერთმანეთთან, რაც მიზეზი ხდება აღრევისა – ისინი გაუმართლებლად მონაცვლეობენ ზეპირი თუ წერითი მეტყველების დროს. აქედან გამომდინარე, პარონიმის საფუძველი არ შეიძლება მხოლოდ ორი სიტყვის გარეგნული მსგავსება იყოს; აუცილებელია მათ შორის აღრევის შემთხვევებიც დასტურდებოდეს.

(1) My mom must **accept** that my brother likes all vegetables **except** for turnips.

accept (verb) – მიღება

except (preposition) – გარდა

პარონიმების აღრევით, იცვლება წინადადების შინაარსი.

გოტლიბის კლასიფიკაცია გოტლიბის (Gottlieb 2005 :56) დელაბასტიტას კლასიფიკაციის მსგავსია, იმ გამსხვავებით, რომ დელაბასტიტას კლასიფიკაციაში შემავალ ერთეულებთან ერთად, იგი გამოყოფს ომონიმის სამ ქვეკატეგორიას სემანტიკურ-სინტაქსურ კრიტერიუმზე დაყრდნობით:

1. ლექსიკური ომონიმები
2. კოლოკეიური (collocational) ომონიმები
3. ფრაზული ომონიმები

1. ლექსიკური ომონიმის შემთხვევაში ცენტრალური მახასიათებელია ცალკეული სიტყვის ორაზროვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ორ მსგავს სიტყვას გააჩნია ორი სხვადასხვა მნიშვნელობა (Gottlieb 2005 :56).

(1) "A tailor guarantees to give each of his customers a perfect **fit**."

იუმორი აგებულია სიტყვის **fit** ომონიმის საფუძველზე.

fit - 1. კარგად მორგებული ტანსაცმელი

2. პაროქსიზმი, ნერვული სპაზმა

2. კოლოკეიური ომონიმი არის ომონიმის სახე, სადაც ცენტრალური მახასიათებელია „სიტყვა-კონტექსტში“ ორაზროვნება, რაც თავისთავად იმას გულისხმობს, რომ კონტექსტის საფუძველზე გამოთქმას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მნიშვნელობა (Gottlieb 2005 :56).

მაგალითი მოვიყვანოთ პოპულარული, ამერიკული სერიალიდან „სექსი დიდ ქალაქში“. (Sex and the City, season 3, episode 2).

(1) Samantha: The country runs better with a good-looking man in the White House. I mean, look at what happened to Nixon. No one wanted **to fuck** him, so he **fucked** everyone.

მაგალითში, ოთხი ქალბატონი ბჭობენ სასიამოვნო გარეგნობის პოლიტიკოსებზე. კალამბურულ სიტყვათა თამაშს ქმნის სიტყვა **‘fuck’** მისი სხვადასხვა მნიშვნელობის გამოყენების არეალით. ამ შემთხვევაში **‘No one wanted to fuck him’**, ზმნა გამოყენებულია ლიტერატურული მნიშვნელობით (ინტიმური კავშირის ქონა), ხოლო წინადადების მეორე ნაწილში, **‘so he fucked everyone’** აშკარად ჩანს სიტყვათა თამაში.

აღნიშნულ შემთხვევაში კოლოკაცია ორაზროვანია და შეიძლება მისი სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაცია. 1. პირდაპირი მნიშვნელობით გაგება (სექსუალური ურთიერთობის ქონა). 2. გადატანითი მნიშვნელობით (დალატი, მოტყუება, უსამართლოდ მოქცევა).

4. ომონიმის მესამე ტიპი, გოტლიბის მიხედვით არის **ფრაზული ომონიმი**, სადაც ცენტრალური მახასიათებელია რთული წინადადების შემადგენელი ნაწილის ორაზროვნება (Gottlieb 2005 :56).

ფრაზული ომონიმია გამოყენებული შემდეგ მაგალითში, სადაც, ერთი დამავე ფრაზას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს.

(1) I wondered why the tennis ball was getting bigger, then **it hit me**.

It hit me – 1. მომხვდა (პირდაპირი მნიშვნელობით).

2. უეცრად გამახსენდა, თავში მომივიდა, გაგაანალიზე.

იუან ჩუანდაოს კლასიფიკაცია განსხვავებულია. იგი გამოყოფს კალამბურის ხუთ სახეობას. ესენია:

1. **ომონიმური (Homonymic)**

2. **ლექსიკური მნიშვნელობის (Lexical meaning)** ანუ გულისხმობს სიტყვის პოლისემიას

3. **მისახვედრი /ადვილად გასაშიფრი (understanding)** (კონტექსტში ან კონტექსტის დახმარებით ვხვდებით ნაგულისხმევ მნიშვნელობას)

4. **გადატანითი მნიშვნელობის (ქარაგმული, Figurative)**

5. **ლოგიკური კალამბური (Logic).** ლოგიკური კალამბური არის რიტორიკული ხერხი, როდესაც მოსაუბრე მსმენელისაგან ინფორმაციის მიღების დროს, იყენებს განსაკუთრებულ კონტექსტს თემის იმპლიციტურად შეცვლისათვის, რათა მიაღწიოს საკუთარ კომუნიკაციურ მიზნებს. ლოგიკის თვალსაზრისით, ეს არის თემის ფარულად შეცვლის მეთოდი ვინმეს გრძნობების გამოსახატად.

1. **ომონიმებს** განიხილავს სამივე მკვლევარი (დელაბასტიტა, გოტლიბი, იუან ჩუანდაო) კალამბურის შემთხვევაში. ჩვენც ვემხრობით მათ მოსაზრებას, რადგან კალამბურის შექმნის ერთერთი აუცილებელი პირობა არის ბგერითი იგივეობა (ომონიმია).

მაგალითისთვის განვიხილოთ თავად ჩუანდაოს კვლევისას განხილული მაგალითი შექსპირის ტრაგედიიდან „იულიუს კეისარი“ (მოქმედება 1, სცენა1). თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც მის მიერ განხილული მაგალითიდან ჩანს, დელაბასტიტასგან განსხვავებით, იგი ცალკე კატეგორიად არ განიხილავს ომოფონებს და მათაც ომონიმების კატეგორიაში მოაქცევს.

(1) Cit: A trade, sir, that, I hope, I may use with a safe conscience; which is, indeed, sir, a mender of bad soles.

Mar: What trade, thou knave? Thou naughty knave, what trade?

მოცემულ მაგალითში, შექსპირი ოსტატურად იყენებს ომოფონებს “**mender of bad soles**” და “**mender of bad souls**”. ომოფონების საშუალებით, იგი (მეორე მოქალაქე) მეწადის უკმაყოფილებას გამოხატავს მარულოს მიმართ. უფრო მეტიც, მის ნათქვამში, სიტყვებით თამაშით გამოიხატება და იგრძნობა იუმორის ქონის ნიჭიც.

2. ლექსიკური მნიშვნელობის კალამბურად იუან ჩუანდაო, პოლისემიისა და ომონიმიის ფონზე შექმნილ სიტყვათა თამაშს მიიჩნევს. სიტყვას, ჩვეულებრივ რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, რაც ინგლისური ენის ლექსიკისათვის უნივერსალური ფენომენია. როდესაც პირველად სიტყვა გაჩნდა, მას ჰქონდა საწყისი მნიშვნელობა. საზოგადოებისა და ენის განვითარებასთან ერთად, მან ახალი მნიშვნელობები შეიძინა და გახდა პოლისემიური. სწორედ ესაა ენათა განვითარების უნივერსალური კანონი, აღნიშნავს იგი.

მისი განმარტებით ლექსიკური მნიშვნელობის კალამბური არის, გამოთქმის ექსპრესიული საშუალება, როდესაც სიტყვათა პოლისემიას ვიყენებთ, რათა წინადადებას ჰქონდეს ორგვარი ინტერპრეტაცია. იგი არის ასევე რიტორიკული ხერხი, რომელშიც განსაკუთრებული გრძნობებია გადმოცემული. (იუან ჩიუანდაო).

მაგალითს განიხილავს ჩარლზ დიკენსის ნაწარმოებიდან “The Old Curiosity Shop”.

(1) Perhaps from some vague rumour of his college honours, which had been whispered abroad on his first arrival, perhaps because he was an unmarried, unencumbered gentleman, he had been called **the Bachelor**.

მაგალითში, სიტყვას **Bachelor** აქვს ორი სხვადასხვა მნიშვნელობა.

Bachelor – 1. ბაკალავრის ხარისხი; 2. უცოლო, დაუქორწინებელი

სწორედ, ამ სიტყვის ორი განსხვავებული მნიშვნელობა წარმოადგენს კალამბურს, რომელსაც მკვლევარი ლექსიკური მნიშვნელობის კალამბურს უწოდებს.

3. „მისახვედრი /ადვილად გასაშიფრი კალამბური“ მისი კლასიფიკაციის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია „კალამბურული წინადადება“ საერთოდ არ შეიცავდეს „კალამბურულ სიტყვას“. ნაცვლად ამისა, განსაკუთრებულ კონტექსტში და ამ კონტექსტის დახმარებით ვხვდებით წინადადების ნაგულისხმებ მნიშვნელობას. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი ტიპის კალამბურს იუან ჩუანდაო „ადვილად გასაშიფრ კალამბურს“

უწოდებს. კალამბური, რომლის დეკოდირებაც კონტექსტის საფუძველზეა შესაძლებელი.

(1) My sister Mrs. Joe Gargery, was more than twenty years older than I, and had established a great reputation with herself and the neighbours because she had **brought me up “by hand”**. Having at that time to find out for myself what the expression meant, and knowing her to have a hard and heavy hand, and to be much in the habit of laying it upon her husband as well as upon me, I supposed that Joe Gargery and I were both **brought up by hand**. (Charles Dickens, Great Expectations).

აქ იდიომს bring up by hand მხოლოდ გამოკვების, ჭმევის მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ობოლი ბავშვისა. თავად იდიომი არ არის პოლისემიური, თუმცა კონტექსტში, როდესაც საუბარია იმაზე, რომ ქალბატონ გარგერს უყვარს სხვების ცემა. ბავშვის მიერ ნათქვამი სიტყვები, კონტექსტზე დაყრდნობით, შეიძლება ორნაირად გავიგოთ. ერთ შემთხვევაში, როგორც „ობლის გამოკვება“ და მეორე შემთხვევაში, როგორც „ცემა“. (გაზრდის პროცესში გამუდმებით ცემა). სწორედ ამიტომ ითვლება იგი კალამბურად მოცემულ სიტუაციაში.

4. (ხატოვანი) კალამბური - გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული კალამბური. ინგლისურში, კალამბურს შეიძლება ჰქონდეს სტილისტური შედარების ან მეტაფორის მნიშვნელობა, ასევე ფიქსირებული ფრაზის მნიშვნელობა, როგორც მისი ზედაპირული მნიშვნელობა და გადატანითი მნიშვნელობა, როგორც მისი სიღრმისეული მნიშვნელობა. ეს მეტყველების ფორმა პირდაპირ გამოიყენება წინადადებაში ან კონტექსტში. მაგ:

(1) In reply, Dr. Zunin would claim that a practice can help us feel comfortable about changing our social habits. We can **become accustomed to any changes** we choose to make in our personality. “It’s like **getting used to a new car**. It may be unfamiliar at first, but it goes much better than the old one”.

დოქტორი ზუნინი აღნიშნავს, რომ უმნიშვნელო პრაქტიკასაც კი შეუძლია შეცვალოს ჩვენი სოციალური ჩვევები და ვიგრძნოთ თავი უფრო კომფორტულად. თავისუფლად შეიძლება შევეჩვიოთ ნებისმიერ პერსონალურ

ცვლილებას. „ეს, ახალ მანქანაზე შეჩვევის პროცესს ჰგავს, თავდაპირველად უცნაური გვეჩვენება, ხოლო შემდეგ კი გაცილებით უკეთესი, ვიდრე წინა“.

მაგალითში, სტილისტურად შედარებულია ორი წინადადება **“becoming accustomed to any changes in our social habits”** და **“getting used to a new car”**, რაც ხაზს უსვამს მასში ნაგულისხმებ, სიდრმისეულ მნიშვნელობას.

განხილული მაგალითის შემთხვევაში, არ ვეთანხმებით იუან ჩუანდაოს მოსაზრებას, იმ მიზეზით, რომ საყოველთაოდ მიღებული განმარტებების საფუძველზე, კალამბურის აუცილებელი პირობაა ორაზროვნების შექმნა ომონიმიასა და პოლისემიაზე დაყრდნობით. თუმცა, მეორე მხრივ, გასაგებია მისი მიდგომა. იგი აზრთა იდენტობის საფუძველზე განიხილავს და თვლის აღნიშნულ მაგალითს კალამბურად.

5. ლოგიკური კალამბური - იუან ჩუანდაოს კლასიფიკაციის თანახმად, არის რიტორიკული ხერხი, სადაც მოსაუბრე, მსმენელისაგან ინფორმაციის მიღების დროს, იყენებს განსაკუთრებულ კონტექსტს თემის იმპლიციტურად შეცვლისათვის, რათა მიაღწიოს საკუთარ კომუნიკაციურ მიზნებს. ლოგიკის თვალსაზრისით, ეს არის თემის ფარულად შეცვლის მეთოდი გრძნობების გამოსახატად. შესაძლოა ეს მსმენელმა ვერ იგრძნოს, თუმცა ამას მკითხველი აუცილებლად მიხვდება. დიალოგში არცერთ სიტყვას არ აქვს ორი მნიშვნელობა, მაგრამ სხვადასხვა როლი მასში აშკარად სხვადასხვა რამეს გულისხმობს სიტყვებში. მაშასადამე, ორმაგი იმპლიკაცია ყალიბდება მსმენელის გონებაში. შემდეგ კი ეს ქმნის ლოგიკური კალამბურის ჯაჭვს. იუან ჩუანდაო მაგალითს განიხილავს შექსპირის ტრაგედიიდან „რომეო და ჯულიეტა“.

(1) Lady Capulet: ... Some grief shows much of love;

But much of grief shows still some want of wit.

Juliet: Yet let me weep for such a feeling loss.

La Cap: So shall you **feel the loss**, but not the **friend**.

Which you weep for.

Juliet: **Feeling so the loss.**

I cannot choose but ever weep the friend.

La Cap: Well, girl, thou weep'st not so much for this death,

As that the villain lives which slaughter'd him.

Juliet: What villain, madam?

La Cap: That same villain, Romeo.

Juliet: Villain and he are many miles asunder. God pardon him! I do with all my heart;

And yet no man like he doth grieve my heart.

La Cap: That is, because the traitor murderer lives.

Juliet: Ah, madam, from the reach of these my hands.

'Woule, none but I might venge my cousin's death!

La Cap: We will have vengeance for it, fear thou not:

Then weep no more. I'll send to one in Mantua, --

Where that same banish'd runagate doth live, --

Shall give him such an unaccustom'd dram,

That he shall soon keep Tybalt company:

სიტყვათა თამაში ლექსიკური, სინტაქსური და სემანტიკური თვალსაზრისით: კალამბური, ველერიზმი (ტომ სვიფტი), ოქსიმორონი.

სიტყვათა თამაში გრაფოლოგიურ – გრაფიკულ – ტექსტობრივი თვალსაზრისით: აკროსტიქი (ჰორიზონტალური, ვერტიკალური, *შუამდებარე, ორმაგი, მარცვლოვანი*), ანაგრამული პოეზია, გრაფიკული პოეზია, გრაფიკულ-პალინდრომული ლექსი (მაგიური კვადრატები).

კვლევის მასალაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა კალამბურის ქვეკატეგორიები, მისი სხვადასხვა სახეობა. კერძოდ: ომონიმური, ომოფონური, ორენოვანი (ენათაშორისი), პოლისემიური, მისახვედრი/ადვილად გასაშიფრი, რთული, ხატოვანი და სხვ.

რაც შეეხება აღნიშნული ტერმინების ინტენციურობა - არაინტენციურობის თვალსაზრისით განხილვას, კვლევის საფუძველზე ნათელია, რომ ჩვენს მიერ განხილული ყველა ტერმინი, გარდა ველერიზმისა (ტომ სვიფტი), ანაგრამის, ოქსიმორონის, ანაგრამული პოეზიის, აკროსტიქის, გრაფიკული პოეზიისა და გრაფიკულ პალინდრომული ლექსისა ორივე თვალსაზრისით განიხილება ანუ არის, როგორც წინასწარი განზრახვით შექმნილი, ისე შეიძლება წარმოიშვას სპონტანურადაც.

ველერიზმი (ტომ სვიფტი), ანაგრამა, ანაგრამული პოეზია, აკროსტიქი და გრაფიკული პოეზია, პალინდრომული ლექსი (მაგიური კვადრატები) კი, მხოლოდ ინტენციურია, მათი გრაფიკული ფორმის, აგებულებისა და სტრუქტურის გამო. არაინტენციურობის კრიტერიუმზე დაყრდნობით განხილულ სიტყვათა თამაშის

სახეობების შექმნა, აბსოლუტურად დამოკიდებულია ავტორის სურვილსა და ფანტაზიაზე, მის შემოქმედებით ნიჭსა და უნარზე.

აღნიშნული ტერმინების პრაგმატიკული ფუნქცია სხვადასხვა ჟანრში, მათი სახალისო, იუმორისტული, აბსურდული, დამაბნეველი ან სხვა ეფექტის შექმნაა. ეფექტურია მათი გამოყენება მეთოდოლოგიაშიც, სწავლებისა და სწავლის პროცესის სახალისოდ წარმართვისათვის.

თავი 2

იუმორის თეორიები და მისი შექმნის გზები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგადად სიტყვათა თამაში არის ენამახვილობა, მოსწრებული სიტყვა, რომელიც ეყრდნობა მისი გამოყენების ეფექტს ენის სხვადასხვა დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ სამუელ ჯონსონი კალამბურს იუმორის უმდაბლეს ფორმად თვლიდა, იგი კვლავ ძირითად წყაროდ გვევლინება ანექლოტებისა და შოუების შესაქმნელად. რადგან, როგორც კვლევამ გვაჩვენა კალამბური არის საკმაოდ მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იუმორისა და ხუმრობის, ანექლოტისა. შესაბამისად, გადავწყვიტეთ ჩვენი ნაშრომის ეს თავი მიგვეძღვნა კალამბურის, როგორც ანექლოტის შემქმნელი ერთეულის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის.

ფსიქოლოგიურმა და სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ იუმორს ხშირად ახასიათებს სერიოზული ემოციური, კოგნიტიური და სოციალური გავლენა ინდივიდსა და საზოგადოებაზე. თუმცა, მარტინის კვლევის თანახმად, იუმორისაკენ ან სიცილისაკენ მიდრეკილება თანდაყოლილია, უნივერსალურია. (Martin 2007).

კლარკისა და პროვინის მიხედვით, იუმორის თემას ხშირად უგულვებელყოფდნენ წარსულში, რადგან არ მიიჩნეოდნენ კვლევის სერიოზულ საგნად (Clark 2008).

კლარკის აზრით, იუმორის სოციალური ასპექტის არსებობა და იმის აღიარება, რომ სიცილი გადამდებია, არ ნიშნავს, რომ იუმორის ძირითადი ფუნქციაა სოციალური გავლენის მოხდენა, ისევე, როგორც ამას მრავალი თეორიტიკოსი მიიჩნევს. “the existence of a social aspect to humour, and even the potential for laughter to be contagious , does not necessarily imply, as has been presumed by many theorists, that humor's principal function is social” (Clark 2008 : 64).

კლარკი თვლის, რომ „იუმორი არის შინაგანი პროცესი, რომელიც განზრახულია არა კომუნიკაციისათვის, არამედ (აღამიანის) კოგნიტიური განვითარებისათვის. “humour is an internal process, not primarily intended for communication, but for cognitive development (Clark 2008 : 64).

თითქოს, ერთი შეხედვით, კლარკი იმ მოსაზრებას უჭერს მხარს, რომ, ზოგადად, ადამიანები იუმორის თანდაყოლილი მექანიზმით იბადებიან და შემდეგ ეს მექანიზმი ვლინდება სოციალური გამოცდილების ფონზე. მაშასადამე, სხვადასხვა ერებსა და შესაბამისად, სხვადასხვა კულტურების ენებში იუმორისტული და სასაცილო ფრაზების აღქმა განსხვავებულია, რასაც ამ ერების კულტურათა ინდივიდუალურობა განაპირობებს ანუ იუმორი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კულტუროლოგიულ-სპეციფიკურ და ფონურ ცოდნაზე.

რასაკვირველია, იუმორი მსოფლიოს ბევრ სხვადასხვა კულტურაში ვლინდება (Lefcourt 2001). თუმცა, სხვადასხვა კულტურას მისი გამოყენების სხვადასხვა მიმართულება და ნორმა ახასიათებს.

ერთი ერის სხვადასხვა კუთხისთვისაც კი დამახასიათებელია იუმორის განსხვავებული გამოხატვა და რეაქცია. მაგალითისათვის საკმარისია გავისენოთ გურული (გონებამხვილური) და სვანური (უხეში, ულოგიკო), მეგრული, კახური (არათავაზიანი და ამავე დროს ენაკვიმატური) და ა.შ იუმორი. ამ უკანასკნელს განსაზღვრავს როგორც წინადადებათა სტრუქტურა და დიალექტი, ასევე ამა თუ იმ კუთხის წარმომადგენელთათვის დამახასიათებელი იუმორის გადმოცემის მანერა - ინტონაცია, კილო, შინაარსი და სხვ. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, განსხვავებულია იუმორისა და სახუმარო სიტუაციის აღქმაც.

საინტერესოა, თუ რა ქმნის იუმორს? რა ხდის სიტუაციას კომიკურს? რთულია იმის განსაზღვრა, თუ რა იწვევს სიცილს. იუმორის თეორიები მეტნაკლებად წყვეტს ამ პრობლემას. არსებობს იუმორის ასზე მეტი „თეორია“ (Schmidt & Williams 1971). ეს მოსაზრებები მოიცავს ზოგად თეორიებს იუმორისა თუ სიცილის შესახებ. გარემოებებს, სადაც შესაძლოა იუმორი წარმოიშვას და სხვ. მნიშვნელოვანია პ. კ. შპიგელის მიერ შექმნილი ტიპოლოგია – იუმორის თეორიის რვა კატეგორია: (ბიოლოგიური, უპირატესობის, შეუსაბამობის, გაოცების, ამბივალენტობის, განმუხტვის, კონფიგურაციისა და ფსიქონალიტიკური თეორიები). აქედან კი გამოიყო სამი ძირითადი ჯგუფი:

1. უპირატესობის (აღმატებულობის) თეორია (Superiority theory)
2. შეუსაბამობის თეორია (Incongruity theory)
3. განმუხტვის (ენერჯის გათავისუფლების) თეორია (Relief theory) (Keith-Spiegel 1972).

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

2.1. უპირატესობის (აღმატებულობის) თეორია (superiority theory)

უპირატესობის თეორია, ერთერთი უძველეს თეორიათაგანია იუმორის თეორიებს შორის. თარიღდება პლატონისა და არისტოტელეს დროით. არისტოტელე ამტკიცებს, რომ „სიცილი სისუსტისა და სიმახინჯის” საპასუხოდ წარმოიქმნება, ანუ, ხშირად გვეცინება ადამიანებზე, მათ დეფექტებსა და უარყოფით თვისებებზე; მეორე მხრივ, გვეცინება მათ უიღბლობაზეც. ძუნწი, ღორმუცელა, ღოთი – კომედიის საყრდენი ფიგურები არიან. ასევეა ცოლის მიერ დაჯაბნული ქმარი ან ზოგადად, ქალის მიერ ნაჯობნი კაცი. გვეცინება შეცდომებზეც, მტირალა ბიჭებზე, არასწორ გამოთქმაზე, ცუდ გრამატიკაზე. თუმცა ყველაზე გამჭრიახი იუმორი შესაძლოა სწორედ ამგვარი სიტუაციებიდან განვითარდეს; „ამგვარად, იუმორს ქმნის აღმატებულობის შეგრძნება, რომელიც წარმოიშობა საკომუნიკაციო აქტის მონაწილე პირში სხვა პიროვნების არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩენის გამო”. (Martin 1998).

მაგ: Police were called to a daycare, where a three-year-old was resisting **a rest**.

სიტყვათა თამაშს ქმნის სიტყვის **a rest** მსგავსი ჟღერადობის სიტყვა **arrest**, მინიშნება წინადადების დასაწყისშივეა მოცემული. თამაში ხოციელდება ვერბალურ დონეზე.

2.2. შეუსაბამობის თეორია (incongruity theory)

მარტინის სახელმძღვანელოში (Martin 1998), ფსიქონალიტიკური თეორიის საპირისპიროდ, რომელიც ემოციებსა და მასტიმულირებელ ფაქტორებს უსვამს ხაზს, შეუსაბამობის თეორია ორიენტირებულია იუმორის კოგნიტიურ ელემენტებზე. მარტინის თანახმად, იუმორი გულისხმობს ორი სრულიად შეუსაბამო იდეის, კონცეპტისა თუ სიტუაციის ერთმანეთთან დაკავშირებას მოულოდნელობისა და გაოცების ეფექტის შექმნის თვალსაზრისით, ანუ, შეუსაბამობას ნათქვამსა და ნაგულისხმევს შორის.

არტურ კოსტლერი (Koestler 1989) უფრო დეტალურად განიხილავს ამ მიდგომას: იგი ხუმრობის პლანების შეუთავსებლობის აღსანიშნავად ხმარობს ტერმინს ბისოციაცია (bisociation).

„ხუმრობის აღქმის სირთულეს ქმნის ამ მცირე ფორმაში ორი პარალელური, განსხვავებულ განზომილებაში მოთავსებული რეფერენციული ჩარჩოს თანაარსებობა, რომელიც თანადროულად ორ ასოციაციურ (ანუ, ბისოციაციურ) კონტექსტთან არის დაკავშირებული“. მაგ:

A man at the dinner table dipped his hands in the mayonnaise and then ran them through his hair. When his neighbour looked astonished, the man apologized: "I'm so sorry. I thought it was spinach."

წინამდებარე მაგალითში, შეუსაბამობა ჩანს პასუხში, როდესაც რეციპიენტი ანეკდოტის მთავარი პერსონაჟისაგან, ბოდიშის მოხდის შემდეგ სულ სხვა პასუხს ელოდება, ის კი ამბობს: „უკაცრავად, ისპანახი მეგონა“. ადგილი აქვს შეუსაბამობას, გაცრუებული მოლოდინის ეფექტს, რაც იწვევს სასურველ შედეგს, ღიმილს.

2.3. განმუხტვის თეორია (relief theory)

განმუხტვის თეორია უპირველესად იუმორის ფსიქოლოგიური თეორიაა და უკავშირდება ზიგმუნდ ფროიდს. ფროიდის მიხედვით, იუმორი არის ერთგვარი თავდაცვის მექანიზმი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავუმკლავდეთ რთულ სიტუაციას უარყოფითი ემოციით დატვირთვის გარეშე. ფროიდის ფსიქონალიტიკური თეორიის ძირითადი მტკიცებულება – იუმორი, ერთგვარი თავდაცვის მექანიზმი, გვეხმარება ნეგატიური, არასასიამოვნო ემოციის, შიშის, მწუხარებისა თუ სევდის დაძლევაში. (Martin 1998).

"A conclusion is the place where you got tired of thinking." (Steven Wright).

ციტატა აბსურდს ამტკიცებს, იუმორულ სიტუაციას კი, სწორედ ეს აბსურდული დაბოლოება იწვევს. ანალოგიურად განიხილება შემდეგი მაგალითიც. წინადადება სახალისოა მხოლოდ მისი არაადეკვატური დაბოლოების გამო.

"Some people think of the glass as half full. Some people think of the glass as half empty. I think of the glass as too big." – (George Carlin).

ასე რომ, იუმორის რაობის შესახებ, სხვადასხვა მკვლევრის მიერ მოცემული განმარტებებისა და აღნიშნული „იუმორის თეორიების“ მიხედვით, იუმორი სხვადასხვა მიზეზით იქმნება.

იუმორით ჩვენი დაინტერესება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ, რასკინის მიხედვით, სიტყვათა თამაშის ერთ-ერთი სახე, კალამბური შეიძლება ანეკდოტის ან ხუმრობის ნაირსახეობად ჩაითვალოს, რადგან მისი სემანტიკური სტრუქტურა ორი მსგავსი, თუმცა ურთიერთდაპირისპირებული სკრიპტის თანაარსებობით ხასიათდება. როგორც კვლევამ დაგვარწმუნა ასეთივე აგებულება აქვს ანეკდოტს.

2.4. ანეკლოტის რაობა და მისი პარემიული ფორმა

ანეკლოტი არის ერთ-ერთი, მოკლე, მცირე პარემიული ფორმა. (რუსიეშვილი 2005) არსებობს აზრთა სხვადასხვაობა პარემიის რაობასა და მისი შემსწავლელი მეცნიერების დარგის - პარემიოლოგიის ობიექტის შესახებ. ერთი თვალსაზრისის მიხედვით, პარემიოლოგია ანდაზის შემსწავლელი დარგია და, აქედან გამომდინარე, პარემიად მხოლოდ ანდაზა შეიძლება ჩაითვალოს (Brunvand 1963).

განსხვავებული თვალსაზრისის მქონენი მკაცრ ზღვარს არ ავლებენ ფოლკლორულ და პარემიულ ფორმებს შორის და, შესაბამისად, არ განასხვავებენ პარემიოლოგიისა და ფოლკლორის კვლევის ობიექტს.

მკვლევარები აკონკრეტებენ პარემიულ ფორმებს და გამოყოფენ შემდეგ ჯგუფებს:

1. აფორიზმი, სურვილის ფორმულები, წყევლა, დალოცვა, შელოცვა და ა.შ.
2. ანდაზები, წინასწარმეტყველური ნიშნების ამსახველი ფორმები, საკანონმდებლო გამონათქვამები და ა.შ.
3. თავშესაქცევი ამბები, “ერთმომენტის” ანეკლოტები და ა.შ.
4. გამოცანები, ამოცანები, “გამოსაჭერი კითხვები და ა.შ. (Пермяков 1972).

ამგვარად, პარემია არის მცირე ზომის ხალხური ფორმა, რომლის ძირითადი ფორმებია: აფორიზმი, ანდაზა, ანეკლოტი, წინასწარმეტყველური ნიშანი და გამოცანა. ასე, რომ აღნიშნულიდან გამომდინარე ანეკლოტი შეიძლება მივიჩნიოთ პარემიოლოგიის ერთ-ერთ გამოვლინებად/სახედ.

ანეკლოტში ასახულია ადამიანისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი თვისებები, წარმოჩენილია საზოგადოებაში ყველაზე მეტად გავრცელებული ნაკლოვანებები თუ დადებითი მხარეები, სტერეოტიპული სიტუაციები. მიუხედავად იმისა, რომ ანეკლოტს მცირე ფორმა აქვს, ზოგ შემთხვევაში კი მხოლოდ ერთი წინადადებისაგან შედგება, იგი მაინც სრულყოფილად გამოხატავს თავის სათქმელს და იწვევს სასურველ შედეგს: ღიმილს.

წინამდებარე თავში შევეცადეთ პასუხი გაგვეცა კითხვაზე, თუ რა საშუალებებით ხორციელდება ღიმილის ეფექტი ანეკდოტში, რატომ ეცინებათ ან არ ეცინებათ ადამიანებს ანეკდოტის აღქმის დროს. რა ეტაპებს შეიცავს ანეკდოტის აღქმა, რის შესახებ იქმნება და ვრცელდება ანეკდოტები სხვადასხვა საზოგადოებაში.

ამ თავში განხილულია, თუ როგორ შეესაბამება მცირე ფორმის მქონე ვერბალური იუმორი ადამიანის ცნობიერებაში მოვლენებისა და საგნების შესახებ არსებულ სტერეოტიპულ ფრეიმებსა და სკრიპტებს, რა ეფექტს იწვევს მათი ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა.

არსებობს კვლევები, რომლებიც (ქებურია 2003) ანეკდოტს განიხილავს, როგორც მცირე ფორმას, ტექსტისათვის დამახასიათებელი შემადგენელი ერთეულების მთელი კომპლექსით. თუმცა, ჩვენი ინტერესის სფეროს არ წარმოადგენს ამგვარი კვლევა და დაკონცენტრირდებით კალამბურზე, როგორც იუმორის შექმნის ერთ-ერთ ფორმაზე.

ითვლება, რომ ანეკდოტს აქვს ტექსტისათვის დამახასიათებელი ყველა კატეგორია. მიუხედავად მისი მცირე ფორმისა, ანეკდოტი სრულად შეიცავს ტექსტის მახასიათებლებს და მასში წარმოდგენილი ინფორმაცია, ერთი შეხედვით, სრულიად შეესაბამება სიუჟეტის მქონე მოთხრობაში ჩადებულ ინფორმაციას. ვნახოთ, თუ რა ნაწილებისაგან შედგება ჩვეულებრივი სიუჟეტის მქონე მოთხრობა:

1. შესავალი, საწყისი სიტუაცია. იწყება ამბის თხრობა;
2. კონფლიქტი, პრობლემა – მიზანი, რომელიც ამოძრავებს მთავარ გმირს;
3. გართულება – წინააღმდეგობანი, რომელიც მთავარმა გმირმა უნდა გადალახოს;
4. მოთხრობის უმაღლესი წერტილი, ყველაზე საინტერესო მოვლენა ამბავში;
5. რა ხდება მაშინ, როდესაც გმირი გადალახავს/ვერ გადალახავს დასახულ წინააღმდეგობას;
6. დასკვნა. შედეგი, დასასრული;

ანეკდოტში ჩადებულია ფაქტუალური ინფორმაცია. მისი საგანი (თემა) აუცილებლად ხდება რაღაც კონკრეტული ფაქტი, პროცესი, ხდომილება. განსაკუთრებული კი ის არის, რომ ანეკდოტი როგორც წესი, აქტუალურ, პრობლემატურ და ტიპიურად დამახასიათებელ ფაქტუალურ ინფორმაციას ირჩევს თემად/საგნად. მისთვის ის არის მთავარი, რაც საზოგადოებაში ფართოდ არის გავრცელებული, რაც ხშირად ხდება. იგი, სიუჟეტის მქონე მოთხრობისაგან განსხვავებით, არ ქმნის ახალ ამბავს, არამედ, უკვე არსებულ ამბავს აშარჟებს და აქცევს იუმორის საგნად.

მაგ: ეპიზოდი, რომელიც ეხება ერთ-ერთ ეთნიკურ ჯგუფს, სიტუაცია, რომელსაც ადგილი აქვს სამსახურში, სასტუმროში, საავადმყოფოში. კონკრეტული ადამიანების, ფაქტების მიმართ არსებული დამოკიდებულება და მრავალი სხვა.

რაც შეეხება ანეკდოტში არსებულ კონცეპტუალურ ინფორმაციას, ერთის მხრივ ეს ინფორმაცია დამოკიდებულია ავტორისეულ ჩანაფიქრზე, მის განზრახვაზე, თუ რომელი ნაკლოვანება წარმოაჩინოს, თუ რაზე სურს დაამყაროს იუმორი. ხოლო მეორეს მხრივ, დამოკიდებულია ავტორის ირგვლივ არსებულ საზოგადოებაში გავრცელებულ სტერეოტიპებზე, ნაკლოვანებებზე, ყველაფერზე, რაც შეიძლება ხუმრობის საგანი გახდეს. კონცეპტუალური ინფორმაცია იქმნება ავტორის მიერ სუბიექტურად შერჩეული სტილისტური ხერხების, ენობრივი საშუალებების მეშვეობით.

ანეკდოტში არსებულ ქვეტექსტურ ინფორმაციას თავისებური დატვირთვა აქვს. ხშირად ქვეტექსტურად აღწერილია ის, რისი ღიად ჩვენებაც არ არის მიზანშეწონილი. მაგალითად, ანეკდოტით გამოხატული ეთნიკური დაპირისპირება.

იუმორი ამსუბუქებს ადამიანებს შორის დაპირისპირებას. იგი ყოველთვის ობიექტურად ასახავს დავის/წინააღმდეგობის საგანს, მაგრამ ანიჭებს მას ნაკლებად დაძაბულ შეფერილობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ანეკდოტი შეიცავს ყველა საჭირო სახის ინფორმაციას, რომ მასში ასახულია მოვლენები, რომლებიც ერთ ამბავს მოგვითხრობენ, იგი მცირე ფორმის სიუჟეტიან მოთხრობად მაინც ვერ ჩაითვლება. იგი არის მცირე ზომის,

გასართობი სასაცილო ამბავი. ამბავი არის უბრალო მონათხრობი მოვლენათა და მათი თანმიმდევრულობის შესახებ. ანეკდოტში აღწერილია უბრალო ხდომილება და სიტუაცია, ანუ ამბავი, რომელიც ჩვენს ღიმილს იწვევს (ქებურია 2003).

მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ანეკდოტი იქმნება, მკაცრი ფორმითა და სიზუსტით ხასიათდება. შესაძლოა სწორედაც რომ მცირე ფორმის გამო, ანეკდოტი არ იძლევა სტრუქტურული ვარიანტების, პერეფრაზირების საშუალებას. წინადადებების წყობა მკაცრი სიზუსტით განლაგებას მოითხოვს, რათა აღმქმელის ყურადღება საჭირო სიტყვებსა თუ გამონათქვამებზე იქნას მიმართული.

„კომიკურად დატვირთულ სიტყვას“ თავისი ადგილი აქვს ანეკდოტში და მის გადაადგილებას, ჩანაცვლებას ან რაიმე სხვა სახის ვარიანტებს, შედეგად მოაქვს არაეფექტური ანეკდოტი.

ანეკდოტებში ძირითადად გამოყენებულია რეალური (ობიექტური) დრო, რომელსაც ახლავს საკუთარი ნიშნები: ტოპოლოგიური ერთგანზომილებიანობა, უწყვეტობა, სწორხაზოვნება.

2.5. კალამბურული ანეკდოტი და მ. მინსკის ფრეიმების თეორია

ანეკდოტები კარგად ასახავენ ადამიანის ცხოვრებას, სტერეოტიპულ სიტუაციებს, ხასიათის ყველაზე მეტად მნიშვნელოვან შტრიხებს. ეფექტი, ღიმილი, გამოწვეულია რამდენიმე მიზეზით: ადამიანის მიერ ანეკდოტში ასახული სიტუაცია ამოიცნობა, ინფორმაციის მიმღების გონებაში დევს მსგავსი სიტუაცია, გარემო, ადამიანის ხასიათი, დამახასიათებელი თვისებები. გარდა ამისა, მის ცოდნაში დევს ის სიტყვები, რომლის მეშვეობითაც მიიღწევა იუმორი. როდესაც მოხრობელი იწევს ანეკდოტის მოყოლას, აღქმელის გონებაში ამოტივტივდება ის ცოდნა, რაც მან საკუთარი გამოცდილებიდან, მსოფლიოს აღქმიდან მიიღო. ასევე ამოტივტივდება კონცეპტები, ფრეიმები, სკრიპტები და მიმდინარეობს ინფორმაციის გაშიფვრა, დეკოდირება.

თუ ინფორმაციის მიმღები წაიკითხავს/გაიგებს ისეთ ანეკდოტს, რომელიც მის კულტურასთან, მის ირგვლივ მყოფ ადამიანებთან და მის გამოცდილებასთან ახლოს არ დგას, ლოგიკურად მოსალოდნელია, რომ მისთვის ეს ინფორმაცია არაფერის მოქმელი იყოს და შედეგად სასურველი შედეგი, ღიმილი ვერ გამოიწვიოს. ამით, კიდევ ერთხელ დასტურდება ის ფაქტი, რომ ანეკდოტი კულტუროლოგიურ-სოციალურ, სპეციფიკურ-ფონურ თავისებურებებზეა დამოკიდებული.

როგორც აღვნიშნეთ, ანეკდოტი თემად ირჩევს ყველაზე საინტერესო, ყველაზე მეტად ტიპიურ და გავრცელებულ შტრიხს. ასეთ ტიპიურ სიტუაციას მ. მინსკი ფრეიმს უწოდებს და მასზე მეტად საინტერესო თეორიას ანვითარებს. ანეკდოტი, თავისი შემადგენლობით, სტრუქტურით ექვმდებარება მ. მინსკის თეორიას ფრეიმების შესახებ და უფორ მეტიც, აღნიშნული თეორიის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ანეკდოტის ანალიზი.

ფრეიმების თეორიის არსი შემდეგში მდგომარეობს: როდესაც ადამიანი წააწყდება ახალ სიტუაციას (ან შეიტანს ძირეულ ცვლილებას თავის შეხედულებაში), იგი თავისი მესხიერებიდან არჩევს სტრუქტურას, რომელსაც ფრეიმი ეწოდება. ეს არის დამახსოვრებული ჩარჩო, რომელიც უნდა მიესადაგოს რეალობას საჭიროებისამებრ გარკვეული ცვლილებების შეტანის გზით.

ფრეიმული თეორიის ფუძემდებელი მ. მინსკი განსაზღვრავს „ფრეიმს“, როგორც მონაცემთა სტრუქტურას, რომლის დანიშნულებაა წარმოადგინოს სტერეოტიპული სიტუაციები” (Minsky 1979 :7). სიტუაცია აქ ფართო გაგებით არის გამოყენებული, იგი შეიძლება იყოს მოქმედება, განსჯა, სანახაობა, თხრობა. მ. მინსკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სანახაობას, რომელიც წარმოადგენს აზრით ანუ მნიშვნელობით წარმოდგენას, ობიექტის ან სიტუაციის თავისებურ სტერეოტიპს.

ფრეიმებს შეუძლიათ აღწერონ და განსაზღვრონ, თუ რა წარმოადგენს „დამახასიათებელსა” თუ ტიპობრივს მოცემული საზოგადოებისათვის. ეს განსაკუთრებით ეხება სოციალური ქმედების ზოგიერთ ფორმას, როგორცაა, კინოთეატრში სიარული, მატარებლით მგზავრობა, რესტორანში სადილობა და სხვა.

ანეკდოტებს ფრეიმების თეორიასთან მრავალი რამ აქვთ საერთო. როდესაც საქმე გვაქვს გავრცობილ ტექსტთან, მოთხრობასთან ან ვრცელ მხატვრულ ნაწარმოებთან, ფრეიმების თეორია არც თუ ისე აშკარად არის გამოკვეთილი. ანეკდოტი კი, თავისი მცირე ფორმიდან და ლაკონურობიდან გამომდინარე, კონკრეტულ, სტერეოტიპულ ქმედებას აღწერს, მაგალითად: ანეკდოტების სერიის თემაა **ბარში შესვლა**. ეს არის ზოგადი ფრეიმი, რომელიც ანეკდოტში ხდება უფრო კონკრეტული, მიესადაგება რაღაც კონკრეტულ სიტუაციას და სრულდება მოულოდნელად.

კონცეპტუალური ფრეიმები გარკვეული სახით ორგანიზებას უკეთებენ ჩვენს ქცევებს. მათი მიხედვით, ვიცით, თუ როგორ მოვიქცეთ ჩვენს სამუშაო ოფისში. როდესაც ვკითხულობთ/ვისმენთ ანეკდოტს, რომელიც ვითარდება ჩვენს სამუშაო ოფისში, მოველით მასში მოვლენების განვითარებას ჩვენთვის ნაცნობი და გააზრებული ფრეიმის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ როგორც წესი, ანეკდოტის დასაწყისში, ანუ მანამდე, სანამ თავს იჩენს მოულოდნელობა, მოვლენები სწორედ ისე ვითარდება, როგორც შესაბამის ფრეიმში. სწორედ ამ თვისების გამო არის ანეკდოტი რეალობასთან ახლოს მყოფი, ცოცხალი ფორმა.

(1) I work for a very good company. They let me work from home and they gave me a company car. Of course because I work from home, they gave me a car, that doesn't work.

მე ვმუშაობ ძალიან კარგ კომპანიაში. ისინი ნებას მრთავენ, სახლიდან ვიმუშაო და მომცეს კომპანიის მანქანა. რადგან სახლიდან ვმუშაობ, მათ გაფუჭებული მანქანა მომცეს.

წინამდებარე ანეკდოტი გავყოთ ორ ნაწილად: პირველი – ჩვეულებრივი სიტუაცია, რომლის შესახებაც ხშირად გვსმენია და მეორე – მოულოდნელობა და კონტრასტი.

ზოგადად ანეკდოტის იდეალური შესატყვისობა ფრეიმებთან იმაში მდგომარეობს, რომ როგორც მოცემული მაგალითიდან ნათლად დავინახეთ (**I work for a very good company. They let me work from home and they gave me a company car**), ანეკდოტმა ერთ-ერთი ჩვეულებრივი გარემო აირჩია თემად, დაეყრდნო ფრეიმის უზოგადეს მახასიათებელს – სტერეოტიპულობას, რითაც შეინარჩუნა აქტუალობა.

ფრეიმები ერთმანეთს ფრეიმ-სისტემებით უკავშირდებიან. ისინი განსხვავებულ სცენებს ანალიზს სხვადასხვა კუთხით უკეთებენ. ერთი ფრეიმიდან მეორეში გარდაქმნა მოძრაობის ეფექტს ახდენს.

ანეკდოტისათვის მოძრაობის ეფექტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. მაგალითისთვის რომ ავიღოთ თუნდაც ზემოთ განხილული ფრეიმი (I work for a very good company), რომელსაც მოულოდნელად საპირისპირო ფრეიმი მოსდევს (they gave me a car, that doesn't work) მსგავსი კონტრასტებითა და მონაცვლეობით მიიღწევა დინამიკა, მოძრაობის ეფექტი და, რაც მთავარია, ღიმილი.

მ. მინსკი წერს, რომ ყველა სახის იუმორის საერთო ელემენტს წარმოადგენს ფრეიმთა მოულოდნელი ცვლა: თავიდან სცენის აღწერა ხდება ერთი თვალთახედვით, შემდეგ კი მოულოდნელად იგი წარმოგვიდგება სხვა რაკურსით. კომიკურობის ეფექტი ჩნდება არა მხოლოდ ფრეიმთა მოულოდნელი ცვლის საფუძველზე, არამედ ავტორის სახით მათი სხვადასხვა ხერხით წარმოდგენის გზით. ასევე დამოკიდებულია მსმენელისა თუ მკითხველის ფსიქოლოგიურ განწყობაზე, კომუნიკაციური აქტის ადგილსა და სიტუაციაზე.

იმისათვის, რომ ინფორმაციის მიმწოდებელი ადეკვატურად იქნეს გაგებული, აუცილებელია იგი ემყარებოდეს თავისსა და მკითხველის/მსმენელის

საერთო ცოდნას სამყაროს შესახებ. ამაში მას ეხმარება ყურადღების მომართვა, დაბაბვა, რომელიც აძლევს საშუალებას, განსაზღვროს სამყაროს შესახებ ზოგადი ცოდნის ის სფერო, რომელიც მოსაუბრებმა უნდა გამოიყენონ მიმდინარე მომენტში ერთმანეთის მეტყველების გასაგებად. ამ ცოდნასთან ერთად, ავტორმა უნდა გაითვალისწინოს ამა თუ იმ მოვლენის შესახებ მკითხველის შეხედულება, აზრი. მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ სხვადასხვა ინდივიდუალური გამოცდილებისა და ფრეიმისადმი არაერთგვაროვანი შეფასების გამო ადამიანებისათვის ერთსა და იმავე ფრეიმს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვა. ანეკდოტის შემთხვევაში, ინფორმაციის მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს მსმენელის დამოკიდებულება ხუმრობის საგნის მიმართ, აგრეთვე უნდა გაითვალისწინოს ის, თუ როგორ შეიძლება აღიქვას მსმენელმა ესა თუ ის ამბავი, აქვს თუ არა მსმენელს ის კულტუროლოგიური გამოცდილება, რომლის საფუძველზეც ესა თუ ის ანეკდოტი მასში ღიმილს გამოიწვევს და არა სრულიად საპირისპირო რეაქციას.

ადამიანს ცოდნა გარკვეული საგნისა თუ მოვლენის შესახებ საშუალებას აძლევს წინასწარ განსაზღვროს მოვლენა თუ საგანი გარკვეულ სიტუაციაში. მაგალითად, **ქორწილზე** საუბრისას, გვაქვს **ქორწილის ფრეიმი** და ის გამოცდილება, ცოდნა, რაც ჩვენს გონებაში დაგროვდა აღნიშნულ სიტყვასთან დაკავშირებით საშუალებას გვაძლევს, ვიქონიოთ მოლოდინი.

როგორც კი იწყება ფრეიმის საშუალებით სიტუაციის წარდგენა, ე.წ. “შეხამების პროცესი”- შესატყვისობის პროცესი ცდილობს, მიუსადაგოს ყოველი ფრეიმის ტერმინალს ღირებულებები.

არის შემთხვევა, როდესაც ტერმინალი არ მიესადაგება რეალურ სიტუაციას და ამ დროს საჭირო ხდება შესაბამისი ტერმინალის მოძიება სხვა ფრეიმში და მისი ჩანაცვლება. ინტერფრეიმული სტრუქტურები შესაძლებლობას იძლევა, რომ მრავალი განსხვავებული გზით გამოვხატოთ ცოდნა ფაქტების, ანალოგიების, სხვა ინფორმაციის შესახებ.

მინსკი მიიჩნევს, რომ სიცილი ფლობს განსაკუთრებულ ფუნქციას, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ტვინთან. მისი აზრით, ანეკდოტები და სიცილი არის ტვინის მექანიზმი, რომელიც სწავლობს ნონსენსს. ამიტომაც აღარ გვეჩვენება ანეკდოტი სასაცილოდ რამოდენიმეჯერ მოსმენის შემდეგ.

მ. მინსკის ფრეიმების თეორიასთან ახლოს დგას რასკინის ე.წ. “სკრიპტების” (სცენარების) თეორია, რომლის შესახებაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ მოგახსენებთ.

2.6. კალამბურული ანეკდოტი ვიქტორ რასკინის სკრიპტების თეორიის მიხედვით

როგორც აღვნიშნეთ, ანეკდოტი შედგება ფრეიმისაგან, სტერეოტიპული სიტუაციისაგან. ღიმილს იწვევს სტერეოტიპული სიტუაციების მორგება მოულოდნელ შედეგთან; მცირე ფორმის ნარატივს ლოგიკური დასასრული არ აქვს.

ანეკდოტების მიერ ეფექტის წარმოქმნა ორი ურთიერთდამყოილებული ეტაპისაგან/ნაწილისაგან შედგება: ენისა და კულტუროლოგიური ფონისაგან (გამოცდილებისაგან) ანუ ერთი მხრივ, ეს არის გამონათქვამის ორგანიზაციის სპეციფიკა, შიდატექსტობრივი მიმართებები, ფორმა, რომელიც ქმნის ეფექტის წარმოშობის საფუძველს. მეორე მხრივ კი ინფორმაციის მიმწოდებლის მიერ ჩამოყალიბებული გამონათქვამის სწორი აღქმა, რის გარეშეც გამონათქვამის ეფექტი მიულწვევლი რჩება. აღქმის საფუძველს კი ადამიანს მის გარშემო არსებული სამყარო აძლევს, სხვა ადამიანები, კულტურული და საზოგადოებრივი გამოცდილება, ცოდნა.

გარდა ამისა, ანეკდოტის ეფექტს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სტილისტური ოპოზიციები, კონტრასტი კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენებულ ენობრივ ელემენტებს შორის. ტრადიციული ნორმების ვარირება, ნორმების გადაადგილება, რომელსაც დამატებითი ინფორმაცია მოაქვს. არსებობს წინადადების წევრების ტრადიციული წყობა, რომელიც უშვებს მის შეცვლას, ინვერსიას, რასაც ახალი კონოტაცია მოჰყვება. იქმნება წინააღმდეგობა ტრადიციულად აღმნიშვნელსა და სიტუაციურად აღმნიშვნელს შორის. ეს

წინააღმდეგობა იწვევს ემოციურ/შეფასებით კრიტიკას, დაცინვას, მხილებას, გამასხარავებას.

ამ მხრივ, საინტერესოა რასკინის მოსაზრება ანეკდოტის აგებულებასა და ეფექტთან დაკავშირებით. იგი გარკვეულწილად ეხმაურება მ. მინსკის ფრეიმების თეორიას.

რასკინის მიხედვით, ანეკდოტი შედგება ორი ერთმანეთის დამფარავი სკრიპტისაგან/სცენარისაგან, რომელთაგანაც მხოლოდ ერთ-ერთი ჩანს ანეკდოტის დასაწყისში; ანეკდოტი იწყება ისე, თითქოს იგი მოგვითხრობს რეალური ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებიდან გარკვეულ მონაკვეთს.

რასკინის სკრიპტი არის „სემანტიკური ინფორმაციის ნაწილი, კოგნიტიური სტრუქტურა, რომელიც გულისხმობს მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ადამიანის ცოდნას გარკვეული სამყაროს შესახებ. ყოველ მოსაუბრეს აქვს გარკვეული სკრიპტი თავის ცნობიერებაში და ცოდნაში, რომელიც ეხება ძირითად მოვლენებს, სიტუაციებს, სტანდარტულ პროცედურებს, და ა.შ.”

რასკინის აზრით, ზოგიერთი ტექსტი სასაცილოა და ზოგი კი – არა. ღიმილს იწვევს გარკვეული ლინგვისტურ თვისებები. იმისათვის, რომ ტექსტის წაკითხვამ შედეგად გამოიწვიოს ღიმილი, აუცილებელია საჭირო ლინგვისტური გარემო. ამისათვის არსებობს ორი პირობა:

1. ტექსტი უნდა იყოს სრულად ან ნაწილობრივ გაგრცობილი და ორი განსხვავებული სკრიპტის მქონე.
2. ორი სკრიპტი, რომელსაც ტექსტი შეიცავს, უნდა იყოს დაპირისპირებული;

რასკინის მიხედვით, შესაძლოა ტექსტის ორმა სკრიპტმა ერთმანეთი გადაფაროს სრულად ან ნაწილობრივ. მსმენელის/მკითხველის მიერ აღქმული ტექსტი შემდგენიარად შეიძლება განიმარტოს: მკითხველი/მსმენელი იღებს ტექსტს და მისი აღქმის დროს იგი შეარჩევს ყველაზე ჩვეულებრივ, მოსალოდნელ, არაგანსხვავებულ სკრიპტს ტექსტის ყოველი ელემენტისათვის. თუმცადა, (როგორც წესი) მაშინ, როდესაც თხრობა უახლოვდება დასასრულს, ჩნდება ელემენტი, რომელიც აღქმულ სკრიპტებს მოულოდნელად არ შეესაბამება. რასკინი ამ მომენტს უწოდებს: **“Script-switch trigger”**. ამრიგად,

შემოდის ახალი სკრიპტი, რომელიც ნათქვამს/წაკითხულს ახალ ინტერპრეტაციას აძლევს და მთლიან ტექსტს ახალ ფორმაში სვამს. იწყება ახალი კომუნიკაცია, რომელსაც რასკინი უწოდებს **“non- bona fide”**-ს და სწორედ ამ კომუნიკაციის დროს იქმნება ანეკდოტი.

(Bona-fide კომუნიკაციაში მთქმელის მიერ მსმენელს მიეწოდება წარმოთქმულის ერთი მნიშვნელობა).

აღსანიშნავია, რომ რასკინის კლასიფიკაციაში ვერ ჯდება **არარეალური ანეკდოტი**, ე.წ. „სპილოს ანეკდოტები“, რომლებსაც აბსურდული ანეკდოტების სახელწოდებითაც მოიხსენიებენ. ასეთი ტიპის ანეკდოტები ძირითადად კითხვა პასუხის სტილითაა აგებული. მაგ:

- Why is that elephant wearing red socks?

- His yellow ones are in the wash.

თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ასეთი აბსურდული ანეკდოტის რასკინის თეორიისათვის მისადაგება შეუძლებელი არ არის.

იმისათვის, რომ აღნიშნული არარეალური ანეკდოტი გარდავქმნათ რეალურად საჭიროა შევქმნათ პირობითი სკრიპტი/ სცენარი:

On a visit to the Zoological Gardens in Dublin, Mrs. O’Riley noticed that one of the elephants was wearing red socks. “Tell me , Brendan, “she said to Mr. Behan, the keeper of the elephant house, “Why is that elephant wearing red socks?”

“Well, replied Mr. Behan, “you see, his yellow ones are in the wash.”

ეს უკვე რეალური ანეკდოტია, რომელშიც იწყება თხრობა. დუბლინში არსებობს ზოოპარკი; ისიც დასაშვებია, რომ სპილოს მოუქსოვონ წინდები, რადგან დუბლინში ინდოეთისაგან განსხვავებული კლიმატია. ქალბატონმა ო’რილიმ დასვა კითხვა წინდებთან დაკავშირებით, ხოლო მოპასუხე ვერ მიუხვდა მას, მოხდა კითხვის არასწორი აღქმა და მან ყურადღება გადაიტანა წინდის ფერზე. ყოველივე ამან გამოიწვია მკითხველის/ მსმენელის ღიმილი.

მოხდა არარეალური ანეკდოტის გარდაქმნა, რეალურ სამყაროში მტკიცედ დაფუძნება, იგი გააქტიურდა მხატვრული ეთნიკური სცენარიოტ/სკრიპტით.

რასკინი იუმორს ხსნის, როგორც ორ საწინააღმდეგო სკრიპტს, რომელიც ერთად არის ჩადებული დისკურსში. ერთ-ერთი მათგანი ჩანს, ხოლო მეორე კი დაფარულია, მკითხველისთვის საინტერესო მომენტამდე. როდესაც დაფარული სცენარი მოულოდნელად ამოტივდივდება, იუმორიც მუშავდება.

რაც შეეხება ფრეიმის თეორიიდან გამომდინარე დასკვნას: ანეკდოტი ასახავს მისთვის დამახასიათებელ სტერეოტიპულ სიტუაციას. აღმქმელი იღებს ინფორმაციას, შიფრავს მას და მოულოდნელად მოცემული ფრეიმი არ სრულდება ლოგიკურად. ეს სრულად ეხება კალამბურულ ანეკდოტსაც.

ტომას შულცი მოულოდნელობას განმარტავს, როგორც: „კონფლიქტი მოსალოდნელსა და სინამდვილეს შორის ანეკდოტში“ (Shultz 1976). განვიხილოთ მაგალითი:

Two guys walked into a **bar**. The third one **ducked**.

ეს კალამბურული ანეკდოტი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას გვაძლევს:

1. ორი ყმაწვილი შეეჯახა ბარიერს, მესამე დაიხარა/დაიკუზა.
2. ორი ყმაწვილი შეეჯახა ბარიერს, მესამე აითესა.
3. ორი ყმაწვილი შევიდა ბარში, მესამე დაიხარა/დაიკუზა.
4. ორი ყმაწვილი შევიდა ბარში, მესამე ჩუმად გაიპარა (აითესა).

მოცემულ ანეკდოტში ღიმილი გამოწვეულია სიტყვის **bar** პოლისემიური გამოყენებით. პირველი წინადადება, გვარწმუნებს, რომ **bar** არის ადგილი, სადაც ადამიანები მიდიან განტვირთვისა და დასვენებისთვის, დასაღვეად, ხოლო მეორე წინადადებას კი შემოაქვს აღნიშნული სიტყვის სხვაგვარი ინტერპრეტაცია: კერძოდ, **bar** – გისოსი, ბარიერი. ასევე ორაზროვნებას ქმნის სიტყვის **duck** პოლისემია. **duck** – დახრა, დაკუზვა; გაპარვა, ათესვა (სასაუბროში).

საინტერესოა, რომ ორივე თეორიას მიყვაროთ ერთსა და იმავე დასკვნამდე: ანეკდოტში (და კალამბურულ ანეკდოტშიც) იუმორისტული ეფექტი გამოწვეულია **მოულოდნელი დასასრულის** მეშვეობით, სიტყვათა პოლისემიისა და ომონიმის საფუძველზე, რაც თავის მხრივ იწვევს ორაზროვნებას და ხდება სიტყვების მნიშვნელობებით თამაში. აღმქმელამდე მიდის ინფორმაცია, რომელიც მისთვის არის კარგად ნაცნობი, იგი შიფრავს მას საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ანაწევრებს ინფორმაციას შემადგენელ ნაწილებად (ამ ნაწილებს შესაძლოა ვუწოდოთ როგორც ტერმინალები, ასევე ე.წ. “სკრიპტები”) და ქვეცნობიერად ცდილობს გამოიცნოს, რა შეიძლება იყოს მომდევნო მოქმედება/სიტუაცია.

Two guys walked into a bar. The third one ducked.

თუ ამ ანეკდოტს ფრემის თეორიის მიხედვით გავარჩევთ, ვნახავთ, რომ როდესაც აღმქმელი იღებს ინფორმაციას, რომ **Two guys walked into a bar**, იგი იხსენებს ბარის ფრემს: მის გონებაში იშიფრება ბარის დანიშნულება, ის თუ რისთვის შედიან ადამიანები ბარში და ა.შ.

თუმცაღა აღმოჩნდება, რომ ფრემი არ შეიცავს მოსალოდნელ ტერმინალებს, როგორც შეიძლება იყოს: გართობა, დაღევა, სასმელები, მუსიკა და ა.შ. **The third one ducked** – წინადადებას შემოაქვს წინა ფრაზასთან შეუსაბამო მნიშვნელობა.

იგივე ანეკდოტის განხილვა სკრიპტების თეორიის მიხედვით კვლავ მოულოდნელობაზე მიგვითითებს: წარმოდგენილია ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული სცენარი: ადამიანების ბარში შესვლა და მესამე ადამიანის მიერ თავის არიდება.

ამრიგად, ორივე თეორია ამტკიცებს, რომ ანეკდოტში ღიმილს იწვევს სწორედ **მოულოდნელობის ეფექტი**, რომელიც ჩვენს მიერ განხილულ მაგალითში გამოხატული იყო კალამბურით.

შემდეგ ანეკდოტში გაცრელებული მოლოდინის ეფექტი გამოიწვია სიტყვამ **Second** თავისი ორი მნიშვნელობის გამო. იგი ნიშნავს მეორეს და წამს.

Teacher: ‘Can anyone tell me how many **seconds** there are in a year?’

Pupil: ‘Twelve. The second of January, the second of February...’

როდესაც აღმქმელს მიეწოდება ინფორმაცია, მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება: რამდენი წამია (მეორეა) წელიწადში? მისი გონება ავტომატურად გადაერთვება მათემატიკურ გამოთვლაზე. მას ახსენდება წელიწადის ფრეიმი (გნებათ, სკრიპტი, სადაც ასახულია სიტუაცია, თუ როგორ გამოითვლის მოსწავლე წელიწადში შემავალ წამებს).

მოსწავლის პასუხი კი სრულიად მოულოდნელია. სწორედ ამ მოულოდნელობის გამო, ანეკდოტის აღმქმელს ეღიმიება.

ფრეიმებისა და სკრიპტების თეორიებს შორის განსხვავება შემდეგნაირია: ფრეიმის შემთხვევაში მოულოდნელობას იწვევს შეუსაბამო ტერმინალი, ხოლო სკრიპტის შემთხვევაში კი – მეორე სცენარი თავისი მეორე ინტერპრეტაციით. როგორც აღვნიშნეთ, მკვეთრი განსხვავება ამ ორ თეორიას შორის არ არის. ჩვენ მათ ვიყენებთ არა იმიტომ, რომ დავადგინოთ ერთ-ერთის ჭეშმარიტი კავშირი ანეკდოტთან, არამედ იმიტომ, რომ ორი სხვადასხვა მხრიდან მოვახდინოთ კალამბურული ანეკდოტის ანალიზი.

2.7. ანეკდოტის სწორად ფორმირება

იმისათვის რომ უკეთ გავიგოთ, თუ როგორ ყალიბდება ანეკდოტი და რა შემთხვევაში შეგვიძლია იუმორისტულ ტექსტს ანეკდოტი ვუწოდოთ, საჭიროა იგი კოგნიტიური კუთხით განვიხილოთ.

ანეკდოტის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი – მოულოდნელობის ეფექტი გამომდინარეობს სემანტიკური ორაზროვნებიდან, რომელსაც ანეკდოტში ორი დაპირისპირებული ”სკრიპტი” ქმნის. მაგ:

Can you tell me **how long cows** should be milked?

They should be **milked the same as short ones**, of course. (Giora 1991).

სწორად ფორმირებულ ანეკდოტს მკითხველის გონება გადააქვს მეორე, არამარკირებული (unmarked - არააღნიშნული) ინტერპრეტაციისაკენ, მეორე (unmarked - არააღნიშნული) პროტოტიპისაკენ.

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, თუ სად გვხვდება ყველაზე მეტად ეფექტური (ჩვენს შემთხვევაში - სასაცილო) სიტყვა, სად ყალიბდება ანეკდოტი, წარმოვიდგინოთ ე.წ. ინფორმატიულობის ღერძი, რომელზეც განვალაგებთ მთლიანად ტექსტს. ვნახოთ, თუ როგორ არის მასზე განლაგებული სიტყვები თუ მნიშვნელობები.

როგორც წესი, ანეკდოტს ნაკლებად მნიშვნელოვანი სიტყვა ხსნის და აზოგადებს ინფორმაციას. ინფორმატიულობის ღერძზე ტექსტის ბოლოსკენ ყოველი მესიჯი მეტად და მეტად მნიშვნელოვანი ხდება. ტექსტი სრულდება ინფორმატიულად ყველაზე მეტად დატვირთული სიტყვით. თავად ინფორმატიულობას განსაზღვრავს ინფორმაციის კლასიკური თეორია (Shannon 1951).

ინფორმატიულობის ცნებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ზოგადად იუმორისტული ტექსტისათვის, და განსაკუთრებით კი ანეკდოტისათვის.

აღნიშნული ცნებისა და მის შესახებ არსებული თეორიის მიხედვით, საკითხს შესაძლოა პასუხი რამოდენიმე კუთხით გავცეს. ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნებისმიერი დასმული კითხვისთვის არსებობს პასუხის გაცემის

რამოდენიმე თანასწორი ვარიანტი. შესაბამისად, ინფორმაციის ორაზროვნება და ინტერპრეტაცია დამოკიდებულია შესაძლო პასუხების რაოდენობაზე. რაც უფრო ორაზროვანია ტექსტი, რაც უფრო მეტი ვარიანტით შეიძლება მისი ინტერპრეტირება, მით მეტი შეხედულება და პასუხი ყალიბდება მის შესახებ.

როგორც ვიცით, ზოგადად, ტექსტი შედგება ინფორმატიულად თანაბარი ერთეულებისაგან. ხოლო რაც შეეხება ინფორმატიულად დატვირთულ ენობრივ ერთეულს, იგი ყველაზე მოულოდნელია და ანეკდოტის შემთხვევაში ღიმილი სწორედ მისგან გამომდინარეობს (**marked informativeness**) მარკირებული ინფორმატიულობა.

ინფორმატიულობის ღერძზე განლაგებული ანეკდოტის ბოლო, ყველაზე მეტად დატვირთული ენობრივი ერთეული შორსაა (საერთო თვისებების რაოდენობის მიხედვით) მისი წინამორბედი ერთეულებისაგან. მიმდინარეობს ყველაზე ნაკლებად ინფორმატიული სიტყვიდან (ან ნაწყვეტიდან) უეცარი, მოულოდნელი აზრის შეწყვეტა. საბოლოო გამონათქვამი კოგნიტიური თვალსაზრისით ყველაზე მეტად დაშორებულია მთლიან აზრს, ინაწილებს რა ყველაზე მცირედონ საერთო თვისებებს წინამორბედი ფრაზებისა. ამ დროს მკითხველი/აღმკმელი გონებაში ამუშავებს ინფორმაციას და წინა პლანზე გამოაქვს მეორე ინტერპრეტაცია.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თუკი სტრუქტურულად ამ პრინციპით არის აგებული ანეკდოტი, იგი თავის მთავარ ფუნქციას – ღიმილის გამოწვევას აუცილებლად შეასრულებს.

ანეკდოტის სტრუქტურაზე საუბრისას, საინტერესოა რასკინისა და ზილბერშტეინის მიერ განხილული მაგალითის მოყვანა (Raskin & Zilberstein 1986):

“Did you **take a bath**?” a man asked his friend who had just returned from a resort place.

“No,” his friend replied, “only towels, is there one missing?”

მოცემულია ორი ინტერპრეტაცია. თუმცადა ანეკდოტის ჩამოსაყალიბებლად, ეს ბოლომდე საკმარისი არ არის. სიტყვა, რომელზეც ძირითადი აქცენტი კეთდება (ამ შემთხვევაში **Take a bath**) უნდა იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ აღმკმელის გონება გადავიდეს ერთი მნიშვნელობიდან, ერთი ინტერპრეტაციიდან მეორეზე, ორივე მნიშვნელობას სემანტიკურად

განსხვავებული ინფორმატიულობა უნდა ჰქონდეს. ვინაიდან, როდესაც გვაქვს ორი თანაბარი ინტერპრეტაციის მქონე მნიშვნელობა, ტექსტი სასაცილო აღარ არის. მაგ:

Hanna and Jacob sat down for dinner. Hanna hoped from the bottom of her heart that Jacob would enjoy the dinner as it was his birthday. She could tell he liked the candle on the table and the table cloth. But when the waiter appeared ... (Zilberstein).

მოცემული ტექსტი ვერ იქნება ანეკდოტი, რადგან მისი ორი წევრის წინასწარ განსაზღვრა თანაბრად არის შესაძლებელი (სადილი სახლში და სადილი რესტორანში) მოცემულ მონაკვეთში.

ასე რომ, ტექსტის ბუნდოვანება არ არის საკმარისი. ანეკდოტისათვის უმთავრესია, რომ ორი შემადგენელი ნაწილი იმგვარად იქნას შერჩეული და განლაგებული, რომ ინტერპრეტაცია, რომელიც ანეკდოტს ასრულებს, იყოს მეორე, დამატებითი მნიშვნელობის მატარებელი. აქვე, აღსანიშნავია, რომ რასკინის ურთიერთდაპირისპირებულ „სკრიფტების თეორიაშიც“ კი, თუკი ორივე „სკრიპტი“ თანაბარია, და ერთ-ერთი მათგანი მეორე მნიშვნელობას არ ატარებს, ეფექტი მიუღწეველი რჩება.

როგორც აღვნიშნეთ, ანეკდოტის პერფორაზირება, მისი ჩარჩოებისა და მკაცრი სტრუქტურის დარღვევა, შედეგად ნაკლებად სასაცილო ტექსტს გვაძლევს. რაც უფრო მცირე ფორმით არის გამოხატული ანეკდოტი, მით უფრო ეფექტურია იგი. ამის დასადასტურებლად განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

(1) - “Is the doctor at home?” the patient asked.

- “No,” the doctor’s young and pretty wife whispered “come in”.

- „ექიმი სახლშია?“ იკითხა პაციენტმა

- „არა“, ჩურჩულით უთხრა ექიმის ახალგაზრდა და ლამაზმა მეუღლემ. „მობრძანდით“.

(2) - “Is the doctor at home?” the patient asked in his bronchical whisper.

- “No,” the doctor’s young and pretty wife whispered in reply. “But you are such a handsome man, I guess I can be of some help. Don’t you fancy me? Come right in”

„ექიმი სახლშია?“ იკითხა პაციენტმა ჩახლეჩილი ხმით.

„არა“ ჩურჩულით უთხრა ექიმის ახალგაზრდა და ღამაზმა მეუღლემ. „მაგრამ თქვენ ისეთი სიმპათიური მამაკაცი ხართ, რომ ვფიქრობ შემიძლია დაგეხმაროთ. არ მოგწონვართ? შემობრძანდით“.

ორივე ტექსტი (1) და (2) ინარჩუნებს თავიანთ ძირითად სათქმელს, მაგრამ მეორე ტექსტში ჩნდება მანძილი პირველ და მეორე სკრიპტს შორის, რომელსაც ნელ-ნელა ავსებს ინფორმაცია. ანეკდოტის ტექსტი კი რაც შეიძლება მალე უნდა გადავიდეს ერთი მნიშვნელობიდან მეორეზე, იგი უნდა იყოს სხარტი. ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითი ამის ნათელი დადასტურებაა. აშკარაა, რომ მიუხედავად ორივე ანეკდოტში გატარებული საერთო აზრისა, მეორე ანეკდოტი ნაკლებად ეფექტურია.

ტექსტის აღქმისას, თითოეული ჩვენგანი გონებაში აყალიბებს, თუ რა არის მართებული და რა არა, ქვეცნობიერად ვამუშავებთ სიტუაციებს დაბნეულობის თავიდან აცილების მიზნით. ადამიანები ამას სხვადასხვაგვარად ახერხებენ და ამიტომაც არის, რომ ზოგს მეტად ეცინება, ზოგს ნაკლებად, ზოგს კი ტექსტი სასაცილოდ საერთოდ არ მიაჩნია.

პიროვნება, რომელსაც დაგროვილი აქვს ცოდნა მრავალ სფეროში, საგნების მრავალგვარი ინტერპრეტირების უნარს ფლობს. ეს არის გონების ძლიერი იარაღი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ ერთი რამ, მოვისმინოთ ერთი იდეა, მაგრამ მრავალი კუთხით გავაანალიზოთ იგი. ვახერხებთ პრობლემის ერთი განზომილებიდან მეორეში გადაწყვეტას. აღსანიშნავია, რომ ყოველ ადამიანს შემუშავებული აქვს კავშირების გაშიფვრის ინდივიდუალური საშუალება.

ფროიდს აბსურდული ანეკდოტის შესანიშნავი მაგალითი მოჰყავს:

"A man at the dinner table dipped his hands in the mayonnaise and then ran them through his hair. When his neighbor looked astonished, the man apologized: "I'm so sorry. I thought it was spinach."

სადილის სუფრასთან მეოფი კაცი ხელს ჩადებს მაიონეზში და შემდეგ თმებში ისვამს. როდესაც მეზობელი გაოცებული შეჰყურებს მას, კაცი პასუხობს: „უკაცრავად, მაპატიეთ, ისპანახი მეგონა“.

ზოგიერთ შემთხვევაში წარმოდგენელია მოვლენათა ლოგიკურად აღქმა და შეცდომების გამოსწორება. მიუხედავად მისი ფართო შესაძლებლობებისა, ამის საშუალებას ხშირად იუმორიც კი არ იძლევა. პარადოქსულია, რომ მიუხედავად ყოველგვარი შეუსაბამობისა, ადამიანებს აუცილებლად გაეცინებათ ზემოთ აღნიშნულ ანეკდოტზე.

ამგვარად, იუმორი იყენებს მრავალი სახის მექანიზმს. მას არ გააჩნია მკვეთრი ბუნებრივი საზღვრები. ამიტომ, რთულია იმის განსაზღვრა, თუ რატომ გეცინება ზოგიერთ არალოგიკურ და შეუსაბამო ანეკდოტზე.

2.8. კალამბურული ანეკდოტისადმი კოგნიტიური მიდგომა

კოგნიტიურ ლინგვისტიკას საფუძველი XX საუკუნის 80-90 წლების მიჯნაზე ჩაეყარა. იგი შეისწავლის ენის შექმნას, მის შესწავლას, გამოყენებას. კოგნიტიური ლინგვისტიკის თეორიის მიხედვით, ენის შესწავლა მოჰყვება მის გამოყენებას, ამ ენაზე მოსაუბრე ადამიანის ირგვლივ არსებულ გარემოსა და კონკრეტულ კულტურათა სპეციფიკას.

ენისადმი კოგნიტიური მიდგომის მიზანია შექმნას ისეთი მოდელები, სადაც წარმოდგენილი იქნება ინფორმაციის გადამუშავების სისტემა: ენის გადამუშავების მექანიზმები, მოდელების აგება. კოგნიტიური ლინგვისტიკისათვის საინტერესო საკითხები შემდეგში მდგომარეობს:

- ბუნებრივი ენების კატეგორიზაციის სტრუქტურული მახასიათებლები (როგორც არის პროტოტიპიურობა, კოგნიტიური მოდელები, მეტაფორები, და წარმოსახვა) ;
- ლინგვისტური ორგანიზების ფუნქციონალური პრინციპები;
- სინტაქსისა და სემანტიკის კონცეპტუალური ურთიერთდამოკიდებულება;
- ენისა და აზროვნების ურთიერთდამოკიდებულება;

- აქტიური (გამოყენებადი, ცოცხალი) ენის გამოცდილების ფონი, კულტურული ფონის, დისკურსის კონტექსტისა და ფსიქოლოგიური გარემოს ჩათვლით, კოგნიტიური ლინგვისტიკა ენას შეისწავლის ყველა იმ კოგნიტიურ ასპექტთან ერთად, რომელიც ადამიანის გონებაშია ჩაბეჭდილი.

ენისადმი კოგნიტიური მიდგომის ერთ-ერთ ძირითად პრობლემად ითვლება ცოდნის სხვადასხვა სტრუქტურათა წარმოდგენა. ადამიანი სამყაროს, უმთავრესად თავისი ფიზიკური გამოცდილების საფუძველზე შეიცნობს.

ადამიანის მიერ აღქმული ახალი მონაცემები მუშავდება მის გონებაში არსებული ძველი მონაცემების საფუძველზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის სიტუაციური მოდელები, რომელთა მეშვეობითაც ხდება სტანდარტული სიტუაციების ადეკვატური კოგნიტიური დამუშავება. ინფორმაციის მიმღებისათვის კარგად ნაცნობი უნდა იყოს ბუნებრივ ენაში არსებული მეტაფორები, სტილისტური ხერხები, სიტყვათა პოლისემიური მნიშვნელობები, რათა მისთვის ანეკდოტი აღსაქმელი გახდეს.

ჩვენს შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ ანეკდოტებში გამოიკვეთება უამრავი სიტუაციური მოდელი. ადამიანის მიერ ამ მოდელების აღქმა რამოდენიმე ასპექტზეა დამოკიდებული, ესაა სოციალური, კულტუროლოგიური გამოცდილება და აგრეთვე ლინგვისტური ფონი.

როგორც აღვნიშნეთ, კოგნიტიურ ასპექტებში კულტურულ და სოციალურ გამოცდილებასთან ერთად ლინგვისტური ერთეულებიც შედის. ხშირ შემთხვევაში ანეკდოტის მთელი ხიბლი იმაში მდგომარეობს, თუ როგორ არის იგი ლინგვისტურად გადმოცემული. სასურველ შედეგს - ღიმილს, ხშირად სტილისტური ერთეულები იწვევს. გარდა ამისა მნიშვნელოვანია სინტაქსისა და სემანტიკის კონცეპტუალური ურთიერთდამოკიდებულება.

მომდევნო თავში განვიხილავთ კალამბურის ლინგვისტურ თავისებურებებს და ჩვენს მიერ შექმნილ კლასიფიკაციას.

მეორე თავის დასკვნა

შევეცადეთ პასუხი გაგვეცა შემდეგ კითხვებზე - რა ქმნის იუმორს? რა ხდის კომუნიკაციურ სიტუაციას კომიკურს? რა იწვევს სიცილს? თუმცა, იუმორის თეორიები მეტნაკლებად წყვეტს ამ პრობლემას. კვლევის შედეგად გამოიკვეთა სამი ძირითადი ჯგუფი:

1. უპირატესობის (აღმატებულობის) თეორია (superiority theory)
2. შეუსაბამობის თეორია (incongruity theory)
3. განმუხტვის (ენერჯის გათავისუფლების) თეორია (relief theory)

კვლევამ გვაჩვენა, რომ ანეკდოტში ეფექტს პირველ რიგში მოულოდნელობა ქმნის. მოულოდნელობა შესაძლოა იყოს დაპირისპირებული სკრიპტი, ფრეიმის ტერმინალების გადაადგილება, ჩანაცვლება ან საერთოდ გამოტოვება.

გარდა ამისა, უდიდეს როლს თამაშობს სტილისტური ხერხების გამოყენება, ლინგვისტური მახასიათებლები და მნიშვნელობები.

აგრეთვე ნათლად დავინახეთ, რომ სწორად ჩამოყალიბებული ანეკდოტი სტრუქტურათა ზუსტ დაცვას მოითხოვს, რომ მისი მცირე ფორმა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. იგი არ იძლევა ვარიანტებსა და კომიკურად დატვირთული სიტყვის გადაადგილების საშუალებას.

ანეკდოტი ნებისმიერი კულტურისა და საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. იგი არის მეტად ცოცხალი, დინამიური მცირე ფორმის ვერბალური იუმორი, რომელიც იცვლება მოვლენების განვითარებასთან ერთად, ვრცელდება მოვლენათა გავრცელებასთან ერთად და ყოველთვის შეესაბამება საზოგადოების მოთხოვნებს.

თავი 3

კალამბურის ლინგვისტური თავისებურებები და მათი ტიპოლოგია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რასკინის აზრით, ზოგიერთი ტექსტი სასაცილოა და ზოგი კი – არა, ღიმილს იწვევს გარკვეული ლინგვისტური თავისებურებები. აქედან გამომდინარე, ლინგვისტური ორაზროვნების საფუძველზე განვიხილავთ კალამბურებს იუმორში. კერძოდ, (ანეკდოტში, გამოცანებში, გამონათქვამებსა და კოლოკვიურ მეტყველებაში) შემდეგი კლასიფიკაციით:

1. ლექსიკურ – სემანტიკური კალამბური
2. სტრუქტურულ – სინტაქსური კალამბური
3. სტრუქტურულ - სემანტიკური კალამბური

3.1. ლექსიკურ – სემანტიკური კალამბური

საედის მიხედვით, ორაზროვნება იქმნება მაშინ, როდესაც ერთ ლექსემას აქვს ორი ან მეტი განსხვავებული მნიშვნელობა (აზრი) ანუ ლექსიკური ორაზროვნება გულისხმობს პოლისემიურობას ან ომონიმიას (Saeed 1997: 60-61). მაგ: სიტყვა **ball** (ბურთი; სამეჯლისო დარბაზი). ორივე შემთხვევაში სიტყვის წერითი ვარიანტი და წარმოთქმა იდენტურია, თუმცა მნიშვნელობა სხვადასხვა. ასევე **bank** – 1. ფინანსური მომსახურების ორგანიზაცია და 2. მდინარის ნაპირი. (ცალკე აღებული პოლისემიური სიტყვები არ ქმნის კალამბურს. საგულისხმოა, რომ, სიტყვათა თამაში იქმნება კონტექსტში).

წინამდებარე ქვეთავში, განვიხილავთ ლექსიკურ – სემანტიკური ორაზროვნების ფონზე შექმნილ კალამბურებს. განვიხილოთ მაგალითები:

1. Teacher: ‘Can anyone tell me how many **seconds** there are in a year?’ Pupil: ‘Twelve. The second of January, the second of February...’

ანეკდოტში ორაზროვნებას ქმნის და გაცრუებული მოლოდინის ეგექტს იწვევს სიტყვა **Second** თავისი ორი მნიშვნელობის გამო. იგი ნიშნავს **მეორეს** და **წამს**. რამდენადაც მოსწავლის პასუხი სრულიად მოულოდნელია, ეს მოულოდნელობა იწვევს ანეკდოტის აღმქმელში სიცილს. კალამბური იქმნება სიტყვის **Second** პოლისემიურობის საფუძველზე.

2. - "When does the baker follow his trade?"

- "Whenever he **kneads the dough**."

მაგალითის წაკითხვისას თუ მოსმენისას, მკითხველის/მსმენელის ცნობიერებაში იქმნება მცხოვრებთან დაკავშირებული ფრეიმები, ასოცირდება მის მიერ შესრულებულ სხვადასხვა საქმიანობასთან. პასუხშიც არაფერია უჩვეულო, რადგან დასმულ კითხვას, არა ამომწურავად, მაგრამ მაინც პასუხობს.

- „როდის აქვს მეპურეს კარგი ვაჭრობა?“

- „როდესაც **ცომს მოზელს**“.

მაგალითში, სიტყვას **dough** აქვს ორი სხვადასხვა მნიშვნელობა: 1.ცომი 2. ფული

ომოფონია ჩანს შემდეგ სიტყვებში: **knead** (ცომის მოზელა) და **need** (საჭიროება). ორაზროვნებას წინადადებაში, სწორედ ეს ორი ომოფონური სიტყვა წარმოქმნის, რაც სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ერთ შემთხვევაში, როდესაც სიტყვას **dough** განვიხილავთ ცომის მნიშვნელობით, ანუ კარგი ვაჭრობა მაშინ აქვს, როცა პურს გამოაცხობს (ე.ი. ცომს მოზელს) და მეორე შემთხვევაში, როცა სიტყვა **dough** ნიშნავს ფულს და **need** საჭიროებას ანუ კარგი ვაჭრობა მაშინ აქვს, როცა აქვს ფული, რადგან ფული საჭიროა ინგრედიენტების შესაძენად, რასაც შემდეგში მოაქვს შემოსავალი.

აღსანიშნავია, რომ განხილულ მაგალითში, ერთმანეთს კვეთს ომონიმურ - ომოფონური სიტყვათა თამაში.

როგორც მაგალითის თარგმანიდან ჩანს, კალამბურული ორაზროვნება ქართულ თარგმანში არ ფიქსირდება.

3. –What makes a tree noisy?

– Its **bark**.

–რა ხდის ხეს ხმაურიანს?

–მისი მერქანი.

მოცემულ მაგალითში ორაზროვნებას ქმნის სიტყვის **bark** პოლისემიურობა, მრავალმნიშვნელობა. **bark** - 1) მერქანი, ქერქი (ხისა); 2) ყეფა; გასროლის ხმა; {სალ} ხველა, ხველება;

აღნიშნულ მაგალითში შეიძლება სიტყვის ორგვარად ინტერპრეტაცია: **bark** – როგორც მერქანი, ხის ქერქი და **bark** – როგორც ყეფა. კალამბურული ანეკდოტი იქმნება სკრიპტების ტერმინალების გადართვისა და პოლისემიურობის საფუძველზე.

4. I like **kids**, but I don't think I could eat a whole one.

სიტყვათა თამაშს ქმნის სიტყვის **kid** პოლისემიურობა.

Kid - 1) ბავშვი 2) თიკანი.

ანეკდოტის პირველი ნაწილის გაცნობისთანავე, ჩნდება ფრეიმი, (ბავშვი, საყვარელი პატარა არსება), ანეკდოტის ბოლო ნაწილში კი, ხდება ფრეიმის გადანაცვლება და იქმნება კალამბურულ – პოლისემიური სიტყვათა თამაში, სწორედ აქ ზუსტდება სკრიპტების გადართვის მომენტი.

შემდეგი მაგალითი მოყვანილია ჰენრი ვოტონის ციტატებიდან (Henry Wotton).

5. An ambassador is a person who **lies** abroad for the good of his country.

კალამბურს ქმნის სიტყვის **lie** პოლისემიურობა

Lie (v.) – 1. წოლა; 2. ტყუილის თქმა.

მოცემულ შემთხვევაში, დასაშვებია, რომ რამდენიმე ტერმინალი თანადროულად ამოტივტივდეს ადამიანის გონებაში. მისი დეკოდირება აბსოლუტურად დამოკიდებულია მკითხველისა თუ მსმენელის განწყობაზე,

ფონურ ცოდნასა და გარემოებაზე. როდესაც ვსაუბრობთ სიტყვის **to lie** ომონიმიაზე, ამ შემთხვევაში ხდება ორი თანადროული სკრიპტის აქტუალიზაცია, განსხვავებული ინტერპრეტაციით. თუმცა, სავსებით შესაძლებელია, რომ გაჩნდეს მესამე ტერმინალიც, რომელიც ასოცირდება ან უკავშირდება სექსუალურ კონოტაციას. ეს ტერმინალი გაჩნდება მხოლოდ იმ ადამიანის გონებაში, რომელმაც იცის ფრაზის “Lie Back and Think of England” მნიშვნელობა.

6. Teacher: If “can’t” is short for “cannot”, what is “don’t” short for?

მოსწავლის პასუხში, კალამბურული სიტყვების თამაშს ქმნის სიტყვების ომოფონია. **“don’t”** და **Doughnut**. თამაში განხორციელდება მხოლოდ ვერბალურ დონეზე.

7. – Let’s talk about **rights** and **lefts**.

–You’re **right**, so I **left**.

კალამბურს ქმნის სიტყვების ომოფონია. Right – მარჯვენა; მართალი, სწორი; left – 1. მარცხენა; 2. დატოვება ზმნის წარსული ფორმა. შესაძლოა ასეთ შემთხვევაში, რადგან თამაში ხორციელდება კონვერსიის საფუძველზე, ასეთი ტიპის კალამბურს ვუწოდოთ *კონვერსიული კალამბური*.

ამ სახის კალამბურულ სიტყვათა თამაშს არ განვიხილავთ, სტრუქტურულ-სინტაქსურ კლასიფიკაციაში, რადგან ფრაზის, **so I left** გრამატიკული სტრუქტურა გაუმართავია.

8. შემდეგ მაგალითს წარმოადგენს ჯესი ლუის ჯეკსონის სიტყვები, სადაც სიტყვათა თამაში დაფუძნებულია ომოფონიაზე.


"Your children need your **presence** more than your **presents**."

presence – დასწრება, ყოფნა; presents – საჩუქრები

თამაში ხორციელდება ვერბალურ დონეზე, სწრაფი მეტყველების დროს შესაძლოა სრულიად საპირისპირო აზრი მივიღოთ.

1. „ბავშვებს თქვენთან ურთიერთობა მეტად სჭირდებათ, ვიდრე თქვენი საჩუქრები“.
2. „ბავშვებს თქვენი საჩუქრები მეტად სჭირდებათ, ვიდრე თქვენთან ურთიერთობა“.

ასეთი სახის სიტყვათა თამაშს ჩვენ შეიძლება ჯვარედინი კალამბური ვუწოდოთ.



9. ‘Yes, the leopard changes its spots, whenever it goes from one spot to another.

მოცემულ მაგალითში, კალამბურული სიტყვათა თამაში იქმნება სიტყვების ომონიმის საფუძველზე. **Spot** –1. ადგილი 2. ლაქა

შეიძლება წინადადების ორგვარად თარგმნა, თუმცა კალამბურული ეფექტი ქართულში იკარგება.


1. ლეოპარდი იცვლის ტყავზე ლაქებს, როცა ადგილს იცვლის.
2. ლეოპარდი იცვლის ადგილებს (გადადის სხვა ადგილას), როცა იცვლის ლაქებს.

10. Teacher trains the mind; a guard minds the train.

კალამბურს ქმნის სიტყვების ომონიმია და ამავე დროს მათი კონვერსია.

Train – მატარებელი; წვროვნა. **Mind** – გონება; ყურადღების მიქცევა.

რადგან აღნიშნულ მაგალითში ხდება სიტყვების ჯვარედინი თამაში, კონვერსიისა და ომონიმის საფუძველზე, შესაძლოა ამ მაგალითში მოცემულ სიტყვათა თამაშს, ვუწოდოთ *კონვერსიულ - ჯვარედინი კალამბური*.



11. ინგლისელი მწერლის, მსახიობისა და კომიკოსის, ტიმოთი მარკ ვაინის მიერ მოწოდებულ იუმორში, ლექსიკურ კალამბურს ქმნის სიტყვის პოლისემია.

"You know, somebody actually complimented me on my driving today. They left a little note on the windscreen; it said, '**Parking Fine**.'" So that was nice."

ფრაზა "**Parking Fine**" ორაზროვანია, შეიძლება მისი სხვადასხვაგვარად გაგება.

1. - პარკირების ჯარიმა;
2. - მშვენივრადაა „პარკირებული“ (გაჩერებული).

კალამბურული სიტყვათა თამაში იქმნება ერთი ტერმინალიდან მეორეზე გადასვლის შედეგად, რასაც თან სდევს შეპარვითი ირონია.

12. – Where do you find giant snails?

– On the ends of giants' fingers.

სწრაფი მეტყველებისას **giant snails** – გიგანტური ლოკოკინები უდერს, როგორც **giant's nails** – გოლიათის ფრჩხილები, რაც წარმოადგენს ომოფონურ ორაზროვნებას, რომლის შედეგადაც იქმნება კალამბურული ეფექტი. სიტყვათა თამაში ხორციელდება ვერბალურ დონეზე.

13. The friendly gardener had a lot of thyme for the woman!

იუმორში მოცემულია რთული კალამბურული ფორმა. იგი შეიცავს იდიომს **to have time for someone** (ვინმესთვის დროის გამონახვა), თუმცა იუმორში გამოყენებულ იდიომში გვაქვს სიტყვის **time** ომოფონი **thyme** (ბოტ: ბეგქონდარა). სწორედ ეს „ომოფონური იდიომი“ ქმნის იუმორულ ეფექტს და იწვევს სიცილს. ამ შემთხვევაში ფიქსირდება ლექსიკურ – სემანტიკური ორაზროვნება. თუ სიტყვას **thyme** ადვიკვამთ როგორც მის ომოფონს **time**, შეიძლება მოცემული წინადადება შემდეგნაირადაც ითარგმნოს.

1. კეთილგანწყობილ მებაღეს ჰქონდა უამრავი დრო ქალისათვის.
2. კეთილგანწყობილ მებაღეს ჰქონდა უამრავი ბეგქონდარა ქალისათვის!

3.2. სტრუქტურულ - სინტაქსური კალამბური

სხვადასხვა მეკლევარი სხვადასხვაგვარად განმარტავს სინტაქსურ ორაზროვნებას. სინტაქსური ანეკდოტები დამოკიდებულია „სემანტიკური ინტერპრეტაციის ორმხრივობაზე, რომელსაც ქმნიან ენის სისტემის სტრუქტურული მოდელები“ ექსპლიციტურ ანუ ზედაპირულ დონეზე (Lew 1996 :128).

ატარდოს აზრით კი, წინადადება სტრუქტურულად ბუნდოვანია არა იმიტომ, რომ იგი შეიცავს ცალკეულ ლექსემას, რომელსაც რამდენიმე განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, არამედ თვითონ წინადადების სინტაქსური (გრამატიკული) სტრუქტურა იძლევა მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას.

რანდოლფისა და გრინბაუმის მიხედვით, კონვერსია დერივაციული პროცესია, როდესაც ხდება ერთი მეტყველების ნაწილის სხვა მეტყველების ნაწილად გარდაქმნა აფიქსების გამოყენების გარეშე. ("Conversion is the derivational process whereby an item changes its word-class without the addition of an affix") (Randolph & Greenbaum 1987: 441).

ამგვარად, სიტყვების მსგავსი ფორმაცვალება, კონტექსტში ქმნის ორაზროვნებას წინადადების სტრუქტურის შეუცვლელად. ამიტომ მსგავსი ტიპის შემთხვევებს განვიხილავთ სტრუქტურულ - სინტაქსური ორაზროვნების კლასიფიკაციით.

როგორც მარჩანდი განიხილავს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს პროცესი (კონვერსია) ვითარდება ყველა ომოფონის შემთხვევაში (Marchand 1972 :225).

თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ კლარკის მაგალითი:

1. Man in Restaurant: I'll have two lamb chops, and make them **lean**, please.

Waiter: To which side, sir? (Clark 1968: 191).

ორაზროვნებას ქმნის სიტყვის **lean** სხვადასხვა მნიშვნელობა.

Lean – 1. მჭლე, გამხდარი; (როგორც ზედსართავი სახელი) 2. დახრა (როგორც ზმნა).

მაგალითში, სიტყვის **lean** სხვა მეტყველების ნაწილად (ამ შემთხვევაში ზედსართავი სახელი) განხილვა წინადადებაში, ცვლის მის სტრუქტურას და იძლევა ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას, მოაცალოს ხორცს მსუქანი ნაწილი ანუ დატოვოს მჭლე და/ან ხორცი ლანგარზე მოათავსოს დახრილ პოზიციაში.

თუ რასკინის სკრიპტებისა და მინსკის ფრეიმების მიხედვით განვიხილავთ მოცემულ მაგალითს, მკითხველისა თუ მსმენელის წარმოსახვაში ჩნდება რესტორნის ფრეიმი, მომხმარებლის მიერ დასმული კითხვის მიხედვით სიტყვა **lean** უკავშირდება მის მნიშვნელობას, როგორც – მჭლე, გამხდარი. ოფიციალტის პასუხში კი ხდება ტერმინალის გადართვა და გვაქვს სრულიად შეუსაბამო პასუხი, გაცრეუბული მოლოდინის ეფექტი - „რომელ მხარეს, რა პოზიციაში“.

3. Teacher: Sally, you're pretty dirty.

Sally: Yes, and I'm even prettier when I'm clean.

აქ ორაზროვნება იქმნება სინტაქსურ დონეზე. **Pretty** (საკმაოდ) – როგორც ზმნიზედა, მასწავლებლის კითხვაში და **pretty** (მშვენიერი) – როგორც ზედსართავი სახელი, რომლის შედარებით ხარისხსაც სალი იყენებს პასუხში. სწორედ ასეთი ბუნდოვანება ქმნის სიტუაციას კომიკურს და იწვევს ღიმილს. საგულისხმოა, რომ ორაზროვნება მაგალითის კითხვაშივეა მოცემული.

4. - Have your eyes ever been checked?

- No, they've always been blue.

იუმორი ორგვარი ინტერპრეტაციის საშუალებს გვაძლევს, ორი განსხვავებული გრამატიკული ერთეულის საფუძველზე. **Checked** – როგორც ნამყოს მიმღეობა მნიშვნელობით „შემოწმება“, გამოყენებული ვნებით გვარში და **checked** – როგორც ზედსართავი სახელი მნიშვნელობით „კუბოკრული“. ანუ, პიროვნება, რომელიც კითხვას სვამს, გულისხმობს ვნებით გვარს, ხოლო რომელიც პასუხს სცემს – ზედსართავ სახელს. სწორედ ეს, ბუნდოვანება ქმნის სიტუაციას სასაცილოს სინტაქსურ/მორფოლოგიური თვალსაზრისით.

მაგალითში ნათლად ჩანს ტერმინალების გადართვა, განსხვავებული სკრიპტების არსებობის გამო.

3.3. სტრუქტურულ - სემანტიკური კალამბური

სემანტიკური ორაზროვნებას იწვევს ფიქსირებული ფრაზის ან წინადადების სხვადასხვაგვარი გაგება ერთ კონტექსტში, ყოველგვარი ლექსიკური თუ სტრუქტურული ორაზროვნების არსებობის გარეშე. ძირითადად ეს ეხება იდიომებს, რომელთა განმარტებებიც ან კარგად არ არის ცნობილი, ან არასწორადაა განმარტებული. კონტექსტში მათი სწორად გაგება დიდი განსჯის საგანი ხდება. მაგ: "John and Mary are married." (To be married) მაგალითი მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ჩნდება კითხვები. დაქორწინებულნი არიან ერთმანეთზე თუ ცალ-ცალკე?

ანეკდოტის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი – მოულოდნელობის ეფექტი (surprise effect) გამომდინარეობს მისი სემანტიკური ორაზროვნებიდან, რომელსაც ანეკდოტში ორი დაპირისპირებული „სკრიპტი“ ქმნის. მაგ:

1. – Can you tell me how long cows should be milked?

– They should be milked the same as short ones, of course.

მოცემულ მაგალითში ეფექტი ფიქსირდება ფრაზაზე **how long**.

ამ შემთხვევაში, შესაძლოა კითხვას რამდენიმე პასუხი ჰქონდეს. ეს დამოკიდებულია თუ როგორ გაიგებს მკითხველი/მსმენელი შეკითხვას. შესაბამისად განსხვავებული იქნება მისი დეკოდირებაც.

კითხვა ასეთია: – რამდენი ხანი იწვევებიან ძროხები? თუმცა, გაცემული პასუხის საფუძველზე (რამდენი ხანიც შეიძლება მოიწველოს პატარა ძროხა), აშკარაა რომ, შესაძლოა კითხვაში გამოყენებული ფრაზის ორგვარი ინტერპრეტაცია. **how long** – ერთ შემთხვევაში შეიძლება გავიგოთ, როგორც **რამდენ ხანს?** ხოლო, მოცემულ მაგალითში კი კითხვა სხვაგვარადაა გაგებული. ადგილი აქვს სკრიპტების გადანაცვლებას, აქცენტი გაკეთებულია ძროხის ზომაზე (გრძელი ძროხები), რამაც გამოიწვია სასურველი შედეგი – სიცილი.

კალამბურულ სიტყვათა თამაშს ქმნის ფრაზის სტრუქტურულ – სემანტიკური თამაშით გამოწვეული ორაზროვნება.

2. “Did you take a bath?” a man asked his friend who had just returned from a resort place.

“No,” his friend replied, “only towels, is there one missing?”

take a bath – როგორც ფიქსირებული ფრაზული ნათქვამი, რაც ნიშნავს შხაპის მიღებას და პირდაპირ, სიტყვასიტყვით თარგმანით – აბაზანის აღება/წადება. სწორედ ეს ორგვარი აღქმა, ინტერპრეტაცია ქმნის ბუნდოვანებას და იწვევს სიცილს. აღნიშნულ შემთხვევაში ტერმინალის გადართვა ხდება პასუხში.

3. - Where are you going?

- I wanna see John.

John – ამერიკულ სლენგზე ნიშნავს საპირფარეშოს. მოცემულ მაგალითში გვაქვს ფიქსირებული ფრაზა **I wanna see John**, რაც საპირფარეშოში წასვლას ნიშნავს. ფრეიმების მიხედვით, ადამიანს ექმნება ასოციაცია, ვინმე კონკრეტულ პიროვნებასთან შეხვედრისა, რომლის სახელია ჯონი. მოულოდნელობის ეფექტს კი იწვევს წინადადების სხვაგვარი ინტერპრეტაცია, რომელიც ანეკდოტის „ორი დაპირისპირებული სკრიპტიდან იქმნება“.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ორაზროვნების მისახვედრად გარკვეული ფონური ცოდნაა საჭირო. თუ პიროვნებას გააჩნია ეს ფონური/კულტუროლოგიური ცოდნა და იცის ფრაზის გადატანითი მნიშვნელობა, მოულოდნელობის ეფექტი (ამ კონკრეტულ შემთხვევაში) არ შეიქმნება და არ გამოიწვევს სიცილს. თუ, მკითხველი/მსმენელი წარმოიდგენს პიროვნებას, რომლის სახელია ჯონი, რა თქმა უნდა არც ამგვარი სიტუაცია იქნება სასაცილო. კომიკური ეფექტის მისაღწევად აუცილებელი პირობაა განსხვავებული სკრიპტების დაპირისპირება. გასათვალისწინებელია კონტექსტი და/ან სიტუაცია დიალოგის დროს.

3. I promise I’ll give you a ring tomorrow.

Give someone a ring ფრაზული ნათქვამია და ნიშნავს ტელეფონზე დარეკვას. ასევე, ამ ფრაზის სიტყვასიტყვით თარგმნა რადიკალურად ცვლის წინადადების შინაარსს, რომ ხვალ გადასცემს ბეჭედს, ერთგვარ სამკაულს.

აშკარაა, რომ თუ არ გვაქვს შესაბამისი ცოდნა და არ ვიცით იდიომის ან ფიქსირებული ფრაზის ზუსტი მნიშვნელობა, ან არ ვიცით, მოცემული სიტუაციის წინა პირობა, შეიძლება მსგავსმა წინადადებამ შეცდომაში შეგვიყვანოს და არასწორად აღვიქვათ მოვლენა. კალამბურული სიტყვების თამაში გამომდინარეობს სემანტიკური ორაზროვნებიდან, რომელსაც დიალოგში ორი დაპირისპირებული, ორი სხვადასხვა სკრიპტი ქმნის.

5. My girlfriend criticised my apartment, so I **knocked her flat**.

წინამდებარე მაგალითში, **To knock someone flat** – ფიქსირებული ფრაზაა და ნიშნავს, ვინმეს დამარცხებას, დაცემას, წაქცევას, მიწაზე დანარცხებას. გარდა ამისა, კალამბურული სიტყვათა თამაში ხორციელდება ომონიმისა და სინონიმების საფუძველზე. სიტყვაში flat ნაგულისხმეია apartment – ბინა. ხოლო **knock** – (ამერ;სალ) - გაკრიტიკება. ერთი მხრივ **criticised apartment** და **knocked flat** სინონიმური მნიშვნელობის მქონე ფრაზებია.

სიტყვები ქარაგმულადაა გამოყენებული. ასევე შესაძლებელია აღნიშნული მაგალითის სხვანაირი ანალიზი, რადგან აღნიშნული წინადადება შეიძლება გავიგოთ ან ითარგმნოს სხვადასხვაგვარად:

- ა) ჩემმა მეგობარმა გოგონამ გააკრიტიკა ჩემი ბინა, მე კი მისი ბინა გავაკრიტიკე.
- ბ) ჩემმა მეგობარმა გოგონამ გააკრიტიკა ჩემი ბინა, მე კი ის დავამარცხე (წავაქციე).

წინამდებარე ქვეთავში, განვიხილეთ კალამბურის ლინგვისტური თავისებურებები და მათი ტიპოლოგია ანეკდოტების მაგალითზე, ჩვენეული კლასიფიკაციის მიხედვით, გამოვყავით, შემდეგი სახის კალამბურები:

1. ლექსიკურ – სემანტიკური კალამბური
2. სტრუქტურულ – სინტაქსური კალამბური
3. სტრუქტურულ - სემანტიკური კალამბური

შემდეგ ქვეთავში, ანალოგიური კლასიფიკაციით განვიხილავთ მაგალითებს ლიტერატურიდან.

3.4. კალამბურული სიტყვათა თამაში ლიტერატურაში

ლიტერატურული ტექსტი არის ბგერითი ან წერითი ნიშნების თანმიმდევრობა, რომელიც დაფიქსირებულია, ხატოვანი ენითაა შესრულებული და ფიქციურია. არალიტერატურული ტექსტებისგან განსხვავებით, ლიტერატურულ ტექსტებს განსაკუთრებული ჟღერადობა, უჩვეულო ლექსიკა და წინადადების თავისუფალი წყობა აქვთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლიტერატურული ტექსტის სტილი განირჩევა ენობრივი სირთულითა (კომპლექსურობით) და ახლებურობით.

სიტყვათა თამაში, როგორც ლიტერატურული ტექნიკა თითქმის ყველა მწერლის შემოქმედებისთვისაა დამახასიათებელი, ისინი ამ „ლინგვისტურ ხერხს“ შეგნებულად იყენებს შემოქმედებაში. როგორცაა გონებამახვილური, რიტორიკული ექსკურსი, უცნაურად აგებული წინადადებები, სიტყვათა ბუნდოვანი მნიშვნელობა, პერსონაჟთა სახელების გამოყენება და ა.შ. რაც გულისხმობს სიტყვათა თამაშის ფართო გაგებით განხილვას. რა საკვირველია, მწერლები იყენებენ სიტყვათა თამაშს ვიწრო გაგებითაც, რაც თავისთავად გულისხმობს კალამბურს.

ზემოთმოცემული ჩვენეული კლასიფიკაციის მიხედვით, განვიხილოთ კალამბურული სიტყვათა თამაშის მაგალითები ლიტერატურული ნაწარმოებებიდან.

1. ლექსიკურ – სემანტიკური კალამბური

ლექსიკური მნიშვნელობის კალამბური არის გამოთქმის ექსპრესიული საშუალება, როდესაც სიტყვათა პოლისემიას ვიყენებთ, რათა წინადადებას ჰქონდეს ორგვარი ინტერპრეტაცია. იგი არის ასევე რიტორიკული ხერხი, რომელშიც განსაკუთრებული გრძნობებია გადმოცემული.

1. ...for they **pray** continually to their saint, the commonwealth; or, rather, not **pray** to her, but **prey** on her; for they ride up and down on her, and make her their boots.

(W. Shakespeare, Henry IV, Act1, Scene 4).

როგორც ომოფონები, შექსპირი სრულიად განსხვავებული მნიშვნელობით იყენებს სიტყვებს:

pray – ლოცვა, ვედრება

prey – ნადავლი; ვისიმე ხარჯზე სარგებელის ნახვა

ავტორი ასეთი სახის სიტყვათა თამაშით გამოხატავს სატირას ქურდის მიმართ, რომელიც ვითომ ლოცულობს და ევედრება ღმერთს ქვეყნის კეთილდღეობისათვის, არადა რეალურად სხვების ხარჯზე ნახულობს სარგებელს, ექსპლუატაციას უწევს ადამიანებს, რაც გაცილებით უარესია, ვიდრე ქურდობა.

2. Romeo: Give me a torch: I am not for this ambling; being but heavy, I will bear the light.

Mercutio: Nay, gentle Romeo, we must have you dance.

Romeo: Not I, believe me: you have dancing shoes with nimbler **soles**; I have a **soul** of **lead** so stake me the ground I cannot move.

(W. Shakespeare, Romeo and Juliet, Act 1, Scene 4).

რომეო: მე ეგ ლამპარი მომაწოდეთ: სული დამძიმდა და აღარ ძალმიძს ვისტუნავო. ლამპარს დავიჭერ.

მერკუციო: არა, ძმობილო, უსათუოდ უნდა გაცეკვოთ.

რომეო: არა, მე არა, დამერწმუნეთ. თქვენ საცეკვაოდ თხელლანჩიანი წაღები გაქვთ. ჩემი სული კი, ვით მძიმე ტყვია, ისე მაგრად მაჯაჭვებს მიწას, განძრევაც მიძიმს.

(მთარგმნელი ვახტანგ ჭელიძე).

მოცემულ მაგალითში, შექსპირი იყენებს ომოფონებს **soles** - ფეხის გული; ფეხსაცმლის ლანჩა და **soul** - სული. ამგვარი სიტყვების თამაშით, ავტორი შესაბამისად აღწერს რომეოს რთულ, ემოციურ მდგომარეობას მასკარადზე. მოცემულ ნაწყვეტში, სიტყვა **lead** არ არის გამოყენებული, როგორც ზმნა, მნიშვნელობით – წაყვანა, გაძლოდა, არამედ გამოყენებულია, როგორც

არსებითი სახელი მნიშვნელობით **ტყვია**, რომელიც კონტექსტში ითარგმნება, როგორც ტყვიასავით დამძიმებული სული, რაც რომეოს მძიმე სულიერ, ემოციურ მდგომარეობას გამოხატავს მასკარადზე. რაც შეეხება სიტყვას **soles**, რომელიც ისევე გამოითქმის როგორც **soul**, სიტყვასთან **nimbler** კავშირში ითარგმნება, როგორც მსუბუქი სული, რაც სრულიად საპირისპიროა რომეოს ტყვიასავით დამძიმებული სულისაგან, თუმცა წერილობითი სახით თხელძირიან, მსუბუქ, ფეხსაცმლის ლანჩას უკავშირდება.

შემდეგი მაგალითი ასევე რომეო და ჯულიეტადანაა.

3. Mercutio: ...ask for me tomorrow and you shall find me a **grave man**.

(W. Shakespeare, Romeo and Juliet, Act 3, Scene 1).

მაგალითში, სიტყვების თამაში ტრაგიკულ ეფექტს ქმნის და აღწერს ტრაგიკულ სცენარს. თუმცა, ამ ყველაფერს ავტორი შეპარვით, პოლისემიური სიტყვის საშუალებით აღწევს. ხდება ტერმინალების გადართვა. როგორც არსებითი სახელი **grave** ნიშნავს **საფლავს, სამარხს**. ხოლო, როგორც ზედსართავი სახელი - **მნიშვნელოვანს, გავლენიანს, ავტორიტეტულ და სერიოზულ ადამიანს**. სწორედ ეს სიტყვები უთხრა მერკუციომ მის მეგობარ რომეოს, რომელიც საშინლად დაშავდა ბრძოლაში. ეს სიტყვები ასახავდა როგორც მის ოპტიმისტურ ხასიათს, ასევე იგრძნობოდა ტრაგიკული ტონიც.

თამაში ხორციელდება პოლისემიური სიტყვის (grave) საფუძველზე. a grave man შეიძლება ასევე ითარგმნოს, როგორც დასამარებული, განადგურებული ადამიანი.

4. King: ...my cousin Hamlet, and my **son**...how is it that the clouds still hang on you?

Hamlet: Not so, my lord, I am too much in the **sun**.

Shakespeare, Hamlet, act 1, scene 2).

ხ ე ლ მ წ ი ფ ე : .. ახლა შენ, ჰამლეტ, ჩემო ძმის ძე და ჩემო ძეო... აბა რად გაკრავს შუბლზე კიდევ ჭმუნვის ღრუბელი?

ჰ ა მ ლ ე ტ: მაგას რად ბრძანებთ, მე მზე მეტად ნათლად მინათებს.

(თარგმანი ივანე მაჩაბელისა).

მოცემულ მაგალითში, **son** (ვაჟიშვილი), ომოფონია სიტყვისა **sun** (მზე). ავტორი კალამბურულ სიტყვათა თამაშის გამოყენების ხერხს მიმართავს. ჰამლეტი სწორედ კალამბურის საშუალებით გამოხატავს თავის გულისწყრომასა და ტაქტიან აღშფოთებას. მეფემ თითქოს სიყვარული გამოხატა, როდესაც ჰამლეტს შვილოთი მიმართა (**son**). თუმცა, ჰამლეტის რეაქცია სხვა იყო. მისთვის მეტად მისაღები იყო აღნიშნული სიტყვის ომოფონი **sun**, რაც მის დადებით განწყობას გულისხმობდა. ასეთი ტიპის სიტყვათა თამაშით, ავტორი გამოხატავს გმირის ღრმა ფსიქოლოგიურ მდგომარეობას.

5. The Cuckoo then, on every tree

Mocks married men: for thus sings he 'Cuckoo Cuckoo, Cuckoo'.

Oh word of fear,

Unpleasing to a married ear!

(Shakespeare, When Daisies Died)

ამ ნაწყვეტის დაახლოებითი შინაარსი ასეთია: „მაშინ, გუგული ყველა ხიდან თავისი გუგუს დახილით დასცინის ცოლის მიერ მოტყუებულ ყველა მამაკაცს. გეშინოდეთ გუგუს დახილის, რაც ამ მდგომარეობაში მყოფი მამაკაცის ყურისათვის უსიამოვნო მოსასმენია“.

სიტყვა **Cuckoo** გუგულის გუ-გუ-ს დახილს ჰგავს. ასევე, შეიძლება ნიშნავდეს რეგვენს, ჩერჩეტს. კაცი, რომელსაც ცოლი გამუდმებით დალატობს.

თარგმანი შეიძლება ორნაირად გავიგოთ. დატვირთვა მოდის სიტყვაზე **Cuckoo**. ერთი მხრივ გუგული და მისი გუგუ-ს დახილი, რომელიც თითქმის ყველა ხიდან ისმის, რაც ადამიანის ყურისთვის უსიამოვნო მოსასმენია. მეორე მხრივ, იგივე სიტყვა სხვა მნიშვნელობით - რეგვენი/ჩერჩეტი კაცი, რომელსაც ცოლი დალატობს, რაც ასევე უსიამოვნო მოსასმენია.

მაგალითში ერთმანეთს კვეთს ორი სახის სიტყვათა თამაში, *ონომატოპეა* და *ლექსიკური კალამბური*, რომელიც პოლისემიური სიტყვის საშუალებით მიიღწევა.

6. ომოფონური კალამბურის მაგალითი შექსპირის მაკბეტიდან.

Lady Macbeth: Infirm of purpose!

Give me the daggers: the sleeping and the dead

Are but as pictures: 'tis the eye of childhood

That fears a painted devil. If he do bleed,

I'll **gild** the faces of the grooms withal;

For it must seem their **guilt**.

(Shakespeare, Macbeth, Act 2, Scene 2).

ამ ნაწივეტის წინაპირობა ასეთია. როდესაც მაკბეტი მოკლავს ღუნკანს და მკვლელობის იარაღს სახელში წაიღებს, ქალბატონი მაკბეტი მოითხოვს ნივთის (იარაღის) უკან დაბრუნებას. მაკბეტი ვერ ბედავს იარაღის უკან დაბრუნებას და ამის შემდეგ, ქალბატონი მაკბეტის საუბარს მოჰყვება წინამდებარე ნაწივეტი. სიტყვებს **Gild** და **guilt** აქვთ მსგავსი ჟღერადობა და სხვადასხვა მნიშვნელობა.

Gild – მოოქროვება, ოქროთი მოვარაყება

Guilt – ბრალი, დანაშაული, დამნაშავეობა

ცხადია, ადგილი აქვს სიტყვათა ომოფონურ თამაშს. ამგვარი ორაზროვნებით, ავტორი ხაზს უსვამს ქალბატონი მაკბეტის დემონურ ხასიათს, სიყალბეს და დანაშაულის სხვაზე გადაბრალების უბადლო ნიჭს. იგი „ავარაყებს“ ე. ი. ნიღბავს საკუთარ დანაშაულს.

შექსპირის შემოქმედებიდან განხილული მაგალითების საფუძველზე, ნათელია, რომ სიტყვათა თამაშის ფუნქცია (ამ შემთხვევაში კალამბურის) არ არის მხოლოდ იუმორისტული ეფექტის შექმნა. კალამბური გამოყენებულია, ირონიული, სატირული და სარკასტული დატვირთვითაც. ავტორი, ამგვარი კალამბურული სიტყვათა თამაშით თავისი პერსონაჟების მანკიერ სახეებს ამხელს.

7. შემდეგი მაგალითი მოყვანილია ჩარლზ დიკენსის ნაწარმოებიდან “The Old Curiosity Shop“.

Perhaps from some vague rumour of his college honours, which had been whispered abroad on his first arrival, perhaps because he was an unmarried, unencumbered gentleman, he had been called the Bachelor.

სიტყვა **bachelor** პოლისემიურია და აქვს ოთხი მნიშვნელობა:

1. დასაქორწინებელი კაცი,
2. ბაკალავრის ხარისხის მფლობელი (პირველი საუნივერსიტეტო ხარისხი),
3. რაინდი
4. ზღვის კატა (ზღვის ლომი).

სწორედ ამიტომ, იგი ქმნის *ლექსიკური მნიშვნელობის* კალამბურს ომონიმისა და პოლისემიის საფუძველზე და იწვევს ლექსიკურ ორაზროვნებას. თუმცა მწერალი თვითონ განმარტავს ამ კალამბურული ორაზროვნების ორივე შესაძლო ვარიანტს.

ნაწარმოებში **Bachelor** (ბაჩელორი) არის მღვდლის მეგობარი, იმ სოფლის ეკლესიაში, სადაც ნელმა (Nell) და მისმა ბაბუამ დაასრულეს მოგზაურობა. იგი ყოველგვარ ღონეს მიმართავს, დაეხმაროს კონკრეტულ პიროვნებას ძმის პოვნაში, რომელიც ნაწარმოებში უცოლო კაცის (Single Gentleman) სახელითაა ცნობილი. მოგვიანებით, შემთხვევით აღმოჩნდება, რომ Single Gentleman (უცოლო კაცი) არის ბატონი გარლენდის (Mr Garland) ანუ ნელის ბაბუის ძმა.

მეორე მხრივ, კალამბურულ სიტყვათა თამაშად შეიძლება განვიხილოთ პერსონაჟთა საკუთარი სახელებიც. **Bachelor**, რომელიც ცდილობს დაეხმაროს **Single** –ს. ამ ორი სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა სინონიმურია. (ჩვენი აზრით, ავტორი ირონიულად იყენებს, საკუთარ სახელს); რადგან თავად **Bachelor** ცდილობს დაეხმაროს **Single** –ს. (ორივე სიტყვის თარგმანი, მოცემულ შემთხვევაში საკუთარი სახელების, არის უცოლო, მარტოსედა).

ცხადია, რომ ავტორმა ტყუილუბრად არ გამოიყენა მსგავსი სიტყვათა თამაში, მისი მიზანი სწორედ მკითხველის დაინტერესება და ნაწარმოებისათვის მეტი მხატვრულობის შექმნა იყო.

8. ოსკარ უაილდი ცნობილია სიტყვათა თამაშის გამოყენების დიდი ტექნიკით. განვიხილავთ მის ნაწარმოებს “The Importance of Being Earnest” (1895).

იგი მთელ ნაწარმოებში იყენებს სიტყვათა თამაშის მთელ კასკადს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი მისი კალამბურული სათაურია, რომელიც აგებულია სიტყვების - **earnest** და **Ernest** თამაშზე. **Earnest** - როგორც ზედსართავი სახელი, რაც ნიშნავს პატიოსანს, გულწრფელს და **Ernest**, როგორც მამაკაცის საკუთარი სახელი ერნესტი ანუ ვერბალური თამაში ხორციელდება მამაკაცის საკუთარ სახელზეც.

ერთი მხრივ, სათაური მიანიშნებს პატიოსნებისა და გულწრფელობის ღირებულებაზე, ხოლო მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია სახელი ერნესტი (**Ernest**), რადგან ვიქტორიანული ეპოქის ქალების აკვიტებაა იქორწინონ მამაკაცზე, რომლის სახელიც იქნება სწორედ ერნესტი (**Ernest**).

ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟის გვენდოლენის (Gwendolen) სურვილიც ესაა. თუმცა, იგი არ ფიქრობს, ნამდვილად ექნება თუ არა ამ ადამიანს პატიოსნებისათვის დამახასიათებელი თვისებები. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი ჯეკი (Jack) ორმაგი ცხოვრებით ცხოვრობს. მას სოფელში ჯეკს ეძახიან, ხოლო ლონდონში ერნესტად იცნობენ.

ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი თემაა წარმოსახვა რეალობის წინააღმდეგ. თითქმის პიესის ბოლომდე, ყველა მოქმედი პირი ცდილობს დაუმტკიცოს ერთმანეთს თუ რა დიდსულოვნები, დიდი მორალის მქონე და საზოგადოებისათვის დაფასებული პიროვნებები არიან. ავტორი კი მათ ინტერესებსა და ეთიკურ იდეებს სასაცილოსა და ტრივიალურს ხდის. უაილდი დვარძლიანი სატირის საგნად აქცევს საზოგადოებრივ ელიტას, აზვიადებს მისი წარმომადგენლების იდეალებსა და უსარგებლო ცხოვრების სტილს. სწორედ ასეთი კალამბურული სიტყვათა თამაშით დასცინის ავტორი ვიქტორიანულ საზოგადოებას. გაურკვეველი და შენიღბული თვითმყოფადობა ნაწარმოების

დასაწყისშივე ჩანს. ჯეკს თითქმის ნაწარმოების ბოლომდე უხდება ტყუილის თქმა, რათა იქორწინოს თავისი მეგობრის ბიძაშვილ გვენდოლენზე. პიესის დასასრულს კი აღმოჩნდება, რომ ორივეს ამართლებს – **earnest/Ernest**. (პატიოსანი/ერნესტი) (ომოფონური კალამბურის სახე).

ამგვარად, უაილდის ვერბალური ირონია ხაზს უსვამს სარკაზმსა და სატირას, რაც სწორედ კალამბურის საშუალებითაა გადმოცემული.

ნაწარმოებში სხვა პერსონაჟთა სახელებიც არ უნდა იყოს შემთხვევით შერჩეული. თუ საკუთარ სახელს გვენდოლენს (**Gwendolen**) გავმიფრავთ, იგი უელსური სიტყვებიდანაა შექმნილი "**gwen**" და "**dolen**". ორივე სიტყვა პოლისემიურია. **gwen** ნიშნავს „თეთრს, მშვენიერს და ბედნიერს“. სიტყვა "**dolen**" კი „ბეჭედსა და ბაფთას“. ამგვარად, კომბინაციის მიხედვით **gwendolen** შეიძლება იყოს „მშვენიერი ბეჭედი, თეთრი ბაფთა ან სხვ.“ პერსონაჟის სახელი შეესაბამება თვითონ გმირის სურვილებსა და ხასიათს – იგი ელეგანტურია, სურს იქორწინოს.

ამგვარად, შეიძლება ითქვას რომ, ავტორს პერსონაჟთა სახელები შემთხვევით არა აქვს შერჩეული. ვფიქრობთ, რომ ყველა საკუთარ სახელს ნაწარმოებში კონკრეტული დატვირთა აქვს.

9. შემდეგი მაგალითი მოყვანილია ირლანდიელი დრამატურგის, ჯორჯ ბერნანდ შოუს (1856–1950) პიესიდან “Augustus Does His Bit” (1916). დიალოგი პერსონაჟებს შორის:

THE CLERK. Are you engaged?

AUGUSTUS. What business is that of yours? However, if you will take the trouble to read the society papers for this week, you will see that I am engaged to the Honorable Lucy Popham, youngest daughter of—

THE CLERK. That ain't what I mean. Can you see a female?

AUGUSTUS. Of course I can see a female as easily as a male. Do you suppose I'm blind?

THE CLERK. You don't seem to follow me, somehow. There's a female downstairs: what you might call a lady. She wants to know can you see her if I let her up.

აუგუსტუსი გახლდათ ადამიანი, რომელიც ყველაფერში სიამოვნებას ეძებდა. როდესაც კლარკმა ჰკითხა, შეძლებდა თუ არა სტუმარი ქალბატონის მიღებას, მან სიტყვა **engage** სხვა მნიშვნელობით გაიგო. (Are you engaged? – დაქორწინებული ხართ?).

engage პოლისემიური სიტყვაა და ნიშნავს - 1. დაკავებული, მოუცლელი; 2. დანიშნული, რათა დაქორწინდეს.

მან ჩვეული სიუხეშით უპასუხა კლარკს, რომ მიაჩნდა, რომ იგი ცხვირს სხვის საქმეში ყოფდა და თუ მაინცდამაინც აინტერესებდა, შეეძლო წაეკითხა გაზეთებში. კლარკი ახლა სხვაგვარად უსვამს კითხვას, შეუძლია თუ არა ქალბატონის ნახვა, რომელიც ქვედა სართულზე ელოდება. **“Can you see a female?”**. აუგუსტუსი ისევ სხვა მნიშვნელობით იგებს, პირდაპირი გაგებით, რომ მას შეუძლია, როგორც მდებრობითი ისე მამრობითი სქესის ადამიანის დანახვა, რადგან იგი ბრმა არ არის. **See** არის მოქმედების და მდგომარეობის გამომხატველი ზმნა, რომელიც ნიშნავს – დანახვას და ასევე შეხვედრას.

კალამბურული სიტყვათა თამაშის ასეთი ფორმით გამოყენება ლიტერატურულ ნაწარმოებში მისი სხვადასხვაგვარად გაგებისა და თარგმნის საშუალებას იძლევა, რაც ნაწარმოებს ირონიულსა და კომიკურ ხიბლს მატებს.

10. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი, ლუის კაროლის ნაწარმოებიდან „ალისა საოცრებათა ქვეყანაში” :

(a) ‘How is bread made?’

‘I know that!’ Alice cried eagerly. ‘You take some **flour**...’

‘Where do you pick the **flower?**’ the White Queen asked, ‘In a garden, or in the hedges?’

‘Well, it isn’t picked at all,’ Alice explained: ‘It’s **ground**...’

‘How many acres of **ground?**’ said the White Queen.

(Lewis Carrol, Alice’s Adventures in Wonderland)

სიტყვების **flour** - ფქვილი და **flower** – ყვავილი მსგავსი უღერადობა და **ground** პირველ შემთხვევაში (**grind** -ს ნამყოს მიმღობა – დაფქვა, დაფქვილი) გამოყენებულია, როგორც პრედიკატივი და მეორე შემთხვევაში **ground**, როგორც მიწა, ნიადაგი. მოცემული სიტყვები ქმნის სიტუაციას კომიკურს წინამდებარე მაგალითში. სკრიპტების გადართვა და სხვადასხვა ფრემის გაჩენა ხდება თანდათან, დიალოგის მსვლელობისას, კითხვა პასუხის თანმიმდევრულად.

მოცემულ შემთხვევაში, კალამბურული სიტყვათა თამაში ქმნის სახუმარო, კომიკურ განწყობას.

11. (b) Mine is a long and sad **tale!**' said the Mouse, turning to Alice, and sighing.

“It is a long **tail**, certainly,' said Alice, looking down with wonder at the Mouse's tail; 'but why do you call it sad?’”

(Lewis Carroll, Alice's Adventures in Wonderland)

„ჩემი ამბავი გრძელი და მოსაწყენია! დაიწყო თავგმა, მიუბრუნდა რა ალისას და ამოიხრა. „დიახ, კუდი მართლაც გრძელია” თქვა ალისამ დახედა რა გაოცებით თავის კუდს, მაგრამ რატომ უწოდებთ მას ნაღველიანს?”

კალამბურული სიტყვათა თამაში იქმნება სიტყვების ომოფონიის (**Tail** – კუდი, ბოლო; **tale** – ზღაპარი, ნაამბობი) საშუალებით.

12. (c)“And how many hours a day did you do **lessons?**” said Alice, in a hurry to change the subject.

“Ten hours the first day,” said the Mock Turtle, “nine the next, and so on.”

“What a curious plan!” exclaimed Alice.

“That's the reason they're called **lessons**,” the Gryphon remarked: “because they **lessen** from day to day.”

„და დღეში რამდენ საათს უთმობთ მეცადინეობას?” იკითხა ალისამ აჩქარებით, რომ შეეცვალა საუბრის თემა. „პირველ დღეს ათი საათი”, უპასუხა მოქ

თერთელმა, „მომდევნო დღეს ცხრა საათს და ასე შემდეგ...“ „რა უცნაური გეგმაა“, წამოიძახა ალისამ გაოცებით. „სწორედ ამიტომაც უწოდებენ მათ გაკვეთილებს“ შენიშნა გრიფონმა, რადგან დღითიდღე მცირდება“.

მოცემულ მაგალითში, კალამბურული სიტყვათა თამაში იქმნება ომოფონიის საფუძველზე.

1. **lesson (n.)** – გაკვეთილი. 2. **Lessen (v.)** – შემცირება, შემცირებულად წარმოდგენა.

სიტყვები, რომლებსაც ერთნაირი უღერადობა, მაგრამ სხვადასხვაგვარი დამწერლობა აქვთ. იუმორული ეფექტი ფიქსირდება მხოლოდ ინგლისურ ვარიანტში. ქართულში არ ჩანს.

13. მაგალითისთვის განვიხილავთ ნაწყვეტს, ტომას ჰუდის (Thomas Hood 1799-1845) ბალადიდან.

His death, which happen'd in his **berth**,

At forty-odd befell:

They went and **told** the sexton,

and The sexton **toll'd** the bell.

(From 'Faithless Sally Brown', by Thomas Hood).

აღნიშნული ნაწყვეტის შინაარსი ასეთია: „გარდაცვალება, რომელიც დაემთხვა მის დაბადებას ორმოცი წლის ასაკში – უცნაური დამთხვევაა. ისინი წავიდნენ და აუწყეს ეკლესიის მნათეს და მნათემ ეკლესიის ზარები დარეკა“.

მოცემულია ომოფონურ სიტყვათა თამაში.

1. Birth – დაბადება 2. Berth – ღუზასადგომი, საწოლი;

Told – მოყოლა; "toll'd" (tolled) – ზარების რეკვა

თამაში განიხილება მხოლოდ ვერბალურ დონეზე. წერით ვარიანტში ორაზროვნება არ ჩანს.

14. Yung and easily freudened - ფრაზა, მოყვანილია ირლანდიელი მწერლის ჯეიმს ჯოისის (1882–1941) კომიკური ჟანრის რომანიდან „ფინეგანის ქელეხი“ (Finnegans Wake).

ნაწარმოები დაწერილია სტანდარტული ინგლისურისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულების, ნეოლოგიზმებისა (ახალი ან სხვა ენებიდან შემოსული გამოთქმები) და მრავალენობრივი კალამბურების გამოყენებით. ფრაზა **they were yung and easily freudened** აღწერს შიზოფრენიით დაავადებულ გოგონას. იგი აშკარად ატარებს სხვა მნიშვნელობასაც – **young and easily frightened**, რაც ერთი შეხედვით ადვილი მისახვედრია; ჯოისმა გამოიყენა კალამბურული სიტყვათა თამაში. **yung** ნაცვლად სიტყვისა **young** (ახალგაზრდა) და **freudened** ნაცვლად სიტყვისა **frightened** (შეშინებული).

ამ ფრაზაში, სხვაგვარი სიტყვების თამაშიცაა, **yung** და **freudened** ცნობილი ფსიქონალიტიკოსის სახელებს გულისხმობს. კარლ გუსტავ იუნგი (Carl Gustav Jung) 1875-1961; ზიგმუნდ ფროიდი (Sigmund Freud 1856-1939).

ორივე შემთხვევაში, კალამბურული სიტყვათა თამაში ხდება ომოფონიის საფუძველზე.

15. ზოგჯერ ავტორს არ სურს სათქმელის პირდაპირ გადმოცემა. ისინი სხვადასხვა სტილისტურ ხერხებს იყენებენ ინფორმაციის გადმოსაცემად. თუმცა, ბევრია დამოკიდებული მკითხველზე, თუ როგორ გაიგებს, როგორ აღიქვამს ორაზროვნებით შენიღბულ სტრიქონებს.

განვიხილოთ მაგალითი, ამერიკელი ნოველისტის ო. ჰენრის ნოველიდან “The Man High up”.

And I had keys made for the door upstairs. But, no, sir. She had sure cut off my **locks**. She was a Delilah’, say Bill Basset.

(O •Henry, The Man High up)

სიტყვა **lock** პოლისემიურია. (კულული; საკეტი, ბოქლომი; ბოქლომით დაკეცვა).

წინამდებარე მაგალითში, იგი თმის შეჭრის მნიშვნელობითაა გამოყენებული. „მან თმა/ლოკონები მომაჭრა“. უფრო კონკრეტულად, მან განზრახ, უყოყმანოდ მომაჭრა თმა, ის ხომ დალილა იყო. აქ სახელი დალილა მეტაფორულადაა გამოყენებული და აღნიშნავს „ქალის დალატს მეგობრისადმი“.

ბიბლიური ამბის მიხედვით, სამსონს ჰქონდა შვიდი მისტიური ნაწნავი, რომლებშიც იყო მისი ძალა. მისმა მტრებმა შეიტყვეს ამ ამბის შესახებ, მოისყიდეს მისი სატრფო დალილა და მოაჭრეს ნაწნავები. ამგვარად, სამსონმა დაკარგა ძალა და საბოლოოდ, მტრებმა მოკლეს.

ო. ჰენრიმ შესაძლოა სწორედ ამიტომ გამოიყენა სიტყვა **locks** მრავალგვარი მნიშვნელობით. მითუმეტეს, როცა ფიგურირებს სახელი დალილა, საესებით დასაშვებია, რომ ეს ერთგვარი მინიშნება იყოს მკითხველისათვის და ნიშნავდეს ზოგადად „თმას“ (არა კონკრეტულად ლოკონებს).

შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაცია დაფარულია და თუ არ ვიცით ბიბლიური ამბავი, შეიძლება არასწორად გავიგოთ მოცემული ნაწყვეტი. ამავე დროს, შეიძლება **locks** ვთარგმნოთ, როგორც ბოქლომები, რადგან ნაწყვეტში გასაღებიცაა ნახსენები და კარებიც.

ასე რომ, წინამდებარე მაგალითი წარმოადგენს ომოფონიით შექმნილ ორაზროვნებაზე დაფუძნებული კალამბურის მაგალითს.

16. შემდეგი მაგალითიც ო ჰენრის შემოქმედებიდანაა.

Joe was painting in the class of the great Magister... you know his fame. His fees are **high**; his lessons are **light** ...his **highlight** brought him renown...

(O• Henry, A Sense of Love)

სიტყვის **highlight** ორიგინალური ჩანაფიქრი მოცემულ მაგალითში არის სურათის კრიალა/ნათელი ნაწილი.

თვითონ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა ასეთია. **highlight** – უმთავრესი ან ყველაზე საინტერესო მომენტი; დიდი მნიშვნელობის მინიჭება.

განვიხილოთ ამ შედგენილი სიტყვის შემადგენელი სიტყვები ცალ–ცალკე. მათ ორივეს მრავალი მნიშვნელობა აქვთ ანუ პოლისემიური სიტყვებია.

high – მაღალი; ამადლებული; მთავარი; ძლიერი; {ფონ} მაღალი (ბგერა); ‘
light - სინათლე, შუქი; განათება, გაშუქება; მნათობი; {გადატ} სახელგანთქმულობა.

შესაძლებელია აღნიშნული მაგალითის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. ერთი მხრივ, რომ მხატვარი არაჩვეულებრივად ხატავს სინათლეს და მეორე მხრივ, ავტორი დასცინის, გამოხატავს სატირას, რომ მხატვრის სწავლების საფასური საკმაოდ ძვირია, ხოლო გაკვეთილის შინაარსი მარტივი და იოლი.

ომოფონური კალამბურების საშუალებით, ო. ჰენრი იყენებს კარიკატურულ ტონს, მხატვრის პერსონაჟის ასაღწერად. სწორედ ასეთი იუმორითა და გონებაამახვილური კალამბურებით იქმნება ლექსიკური ორაზროვნება.

17. Treasure every moment that you have!

Yesterday is history, tomorrow is mystery!

Today is a **gift**.

That’s why it’s called the **present**!

(From poem: Time, Unknown Author)

ამ მაგალითში მოცემულია ფილოსოფიის, გონებაამახვილობისა და იუმორის დიდი სინთეზი. კალამბურული სიტყვათა თამაში ხორციელდება პოლისემიური სიტყვის **present** საფუძველზე. **present** – საჩუქარი; აწმყო; დასწრება. **present** და **gift** სინონიმებია და ნიშნავს საჩუქარს.

18. შემდეგი მაგალითი მოგვყავს აკაკი წერეთელის შემოქმედებიდან, რომლის შემოქმედებაში მნიშვნელოვანია მაჯამური (ანუ ომონიმური) რითმა. ომონიმური რითმა შედგება ერთი და იმავე უღერადობის, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვებისაგან. თითქმის მთლიანად ასეთი რითმაა გამოყენებული ლექსში „აღმართ – აღმართ“ (1876 წ.)

აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა,
სერზედ შევდექე ჭმუნვის ალი მენელა;
მზემან სხივი მომაფინა მაშინა,
სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა.
შემიდუღდა მაშინ სული და გული;
იმ ნადულში თვით მე ვიყავ დაბული.
გულმა ძგერა, სულმა შფოთვა დამიწყო,
ჩანგმაც თვისი მე სიმები დამიწყო.
ხმა სიმართლის შეუპოვრად გაისმა,
(აწ იგი ხმა ვერ ისმინოს გაისმა).
ცის მახლობლად ფეხ-ქვეშ ვიგრძენ მიწა მე,
ვსთქვი: “ცხოვრებაგ, მეც ერთ კაცად მიწამე!”
და ვიფიქრე “ჩემი სატრფო სად არი?
ნისლი ჰბურავს, თუ დღე უდგას სადარი?”
გადვიხედე, ვნახე, რომ სხვას ჰმონებდა!
გამიკვირდა! ვსთქვი: “მტერს როგორ მონებდა?
მოხიბლულა, შემცდარია, ის არი
აღერსით მთვრალს ვერ უხილავს ისარი!”
მივაძახე: “ჭინჭარში ნუ ვარდები!..
ნუ გგონია იქ ია და ვარდები!
შეიბრალე თავი შენი, იცოდე!
მაგ შარბათში საწამლავს სვამ, იცოდე!”
არ მისმინა მწუხარებით დანაგულს,

და დამასო საუკუნოდ დანა გულს!

აღმართ-აღმართ მივდიოდი ნეტა რად,

თუ ამ სერზედ თავს ვერ ვგრძნობდი ნეტარად?

ჩემო თავო! ველარ გკურნვენ წამალით!

დაღმართ-დაღმართ დაუყევი, წა მალით!

იქ ჩაბრძანდი, სად გელიან ლოდებით,

ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით!

დაივიწყე, ვინც გახსოვდა, მარად ის!

ხელ-დაკრებით განისვენე მარადის!

ლექსიკური თვალსაზრისით რითმა საინტერესოა იმით, რომ იგი ბგერათა გამეორებით გამოყოფს სიტყვას და ამით ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას. რითმის ინტონაციური ფუნქცია ხელს უწყობს ლოგიკურ მახვილს, რის შედეგადაც გასართობი სიტყვა გამოიყოფა მეტყველების ნაკადში და იქცევა ყურადღებას. რითმა პოეტურ მეტყველებაში ქმნის რიტმულობას, კეთილხმოვანებას, მუსიკალობასა და ემოციურობას. აქ, სიტყვების თამაში აგებულია სიტყვათა ბგერითი იგივეობის (ომონიმისა) და მრავალმნიშვნელობიანობის (პოლისემიის) საფუძველზე.

19. აკაკი წერეთელის ისტორიულ პოემაში, „თორნიკე ერისთავი“ გამოყენებულია ომონიმური სიტყვების თამაში. აკაკი წერეთელს მშვენივრად ესმოდა მეგობრული გაშაირებისა და ორლესული ზმების მნიშვნელობა. სწორედ „თორნიკე ერისთავში“ აკაკი ასე აგვიწერს სამეფო ზემის დასასრულს. მაგ: ნაწყვეტი (კარი 1).

„მაღლით წვიმა მოდიოდა,

ნაბადმა ვერ დამფარაო,

დამასველა მან, თავიდან

ფეხებამდე მ ა ს ხ ა რ ა ო!”

ხუმარამ თქვა: „გიჯობნია,
თითს მოვკაკეავ მორჩილადო,
მაგრამ ერთს-კი მოგახსენებ
მოწიწებით და ფრთხილადო:
„ხუმარადაც ვარგებულხარ,
ვაჟკაცობით პირველიო,
მაგრამ ვერ იქმ თორნიკობას,
თუმც მის ადგილს **ს უ ლ ე ლ ი ო!**”

დასაწყისში, აქცენტი გაკეთებულია სიტყვაზე მასხარა. ერთ შემთხვევაში, წვიმასთან დაკავშირებით ნიშნავს თავიდან ფეხებამდე დასხმას ანუ დასველებას. მეორე შემთხვევაში კი – მასხარას, გამრთობს, სულელს. ანუ, მე, მასხარა დაამასველა წვიმამ თავიდან ფეხებამდე.

როგორც ვხედავთ, ამგვარი გასართობი, სიამოვნებისათვის განკუთვნილი შაირით მეფის მასხარა სარდალ ორბელიძეს მიანიშნებს, რომ იცის მისი განზრახვა (სურს თორნიკე ერისთავის ადგილი) და თან სულელსაც კი უწოდებს. ორაზროვნებას ქმნის სიტყვა **სულელი**. ერთი მნიშვნელობით იგივეა, რაც **სულ ელი** ანუ ელოდები და მეორე მნიშვნელობა **სულელი**, როგორც უჭკუო. ლექსის ერთგვარი თავისუფლება, როგორც ჩანს, მოსათმენი და ასატანი ყოფილა, არათუ ამხანაგთა და მეგობართა წრეში, არამედ არათანასწორთა შორისაც. ყოველივე ეს, აღშფოთებასა და წყენას არ იწვევდა.

(კარი 3)

წვერ უღვაშზე მარგალიტებრ

ცრემლი ცრემლზე **ე კ ი დ ე ბ ა**,

მწარის ოხვრით ვერ იქარვებს

გულს რომ ცეცხლი **ე კ ი დ ე ბ ა**.

ცნობილია, თუ რა დიდი ტრადიცია არსებობდა საოხუნჯო, სახუმარო პოეზიისა ქართველი მეფეების და მათ გარშემო შემოკრებილი მაღალი წრის საზოგადოებაში. მეფის მფარველობის ქვეშ მყოფი მასხარა-ხუმარები და ოხუნჯი პოეტები არათუ თავის ამხანაგებს, არამედ დიდებულებსაც, და თვით მეფესაც კი, მიმართავდნენ სიმართლით აღსავსე, დამცინავი შაირებით. ამის აშკარა კვალი დაცულია ქართულ მწერლობაში, ძველსა და ახალშიც.

წინამდებარე ნაწივეტში, გამოყენებულია სიტყვა **ეკიდება**. ერთ შემთხვევაში, ცრემლთან მიმართებაში გულისხმობს ცრემლის დაკიდებას ანუ დენას. მეორე შემთხვევაში, ცეცხლთან მიმართებაში გულისხმობს, გულზე ცეცხლის მოკიდებას ანუ შფოთვას, დარდს, წუხილს.

კალამბურული სიტყვათა თამაში იქმნება ომონიმის (პოლისემიის) საფუძველზე.

20. კალამბურულია აკაკი წერეთელის ლექსში **„ვედრება“**, მოცემული ბოლო სტრიქონიც:

„ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველო“.

იგი სულ სხვა მნიშვნელობითაა გამოყენებული. თავის დროზე აკაკიმ, ილიას მკვლევლობისათვის მიაფურთხა საქართველოს. მართალია მან ეს სიტყვები, ილიას გარდაცვალების შემდეგ თქვა, მაგრამ რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, აქტუალური იყო მანამდეც და აქტუალურია ახლაც საქართველოში, უამრავი უსიამოვნო ფაქტის გამო.

თუმცა მისმა ნათქვამმა, ახლა მეტაფორული დატვირთვა შეიძინა, პათეტიკური ფრაზები ძალიან აქტუალური გახდა ამ ბოლო დროს ხან მაჟორულ და ხანაც მინორულ კონტექსტში. ამგვარად, შესაძლოა აღნიშნული სტრიქონის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია.

გაშარუებულია ციტატა და სხვადასხვაგვარად განმარტავენ:

პესიმისტის მიერ გაგებული/ნათქვამი წინადადება - **ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველო**.

ოპტიმისტი აგრონომის მიერ გაგებული/ნათქვამი წინადადება - **ფურ-თხის** ღირსი ხარ შენ საქართველო.

21. ამ თვალსაზრისით საინტერესოა დათო ვეგენიძის პოეტური მინიატურები, რომლებიც ომონიმურ ორაზროვნებაზეა შექმნილი. მაგ:

ა) „გეუბნები რომ მიყვარხარ

მეასეჯერ!

მე ასე ჯერ

არასოდეს მყვარებისარ!”

მეასეჯერ და **მე ასე ჯერ**, იდენტური ჟღერადობა აქვთ, თუმცა სხვადასხვა მნიშვნელობა.

ბ) „შენ შენი სახლი გაქვს,

შენი **შენობა**, მე **უშენობა**.

სიშორე შენი

შენ ის ქუჩები ძლიერ გშვენნიან

ქალაქი, შუაზე გამსკდარი **სენით**.

პარიზი უკვე ჩემი **სენია**,

გწერ პირველ წერილს

შენ, მამაშენი”.

ამ პატარა მინიატურაშიც ვხვდებით ომონიმურ და პოლისემიურ სიტყვათა თამაშს. **სახლი** და **შენობა**, თითქმის ერთნაირი მნიშვნელობის მატარებელი სიტყვები. ყოველ შემთხვევაში, ამ კონკრეტულ მინიატურაში მათი მნიშვნელობა სინონიმურია. აქვე სიტყვას **შენობა** სხვა დატვირთვაც აქვს ანუ შენი ადამიანობა. ორაზროვანია სიტყვაც **უშენობა**. სახლის, ბინის გარეშე ყოფნა და

მარტო ანუ ვინმეს გარეშე. „ქალაქი, შუაზე გამსკდარი **სენით**, პარიზი უკვე ჩემი **სენია**“.

კალამბურული სიტყვათა თამაში, ლექსიკურ ორაზროვნებაზეა აგებული. **სენი**, როგორც დაავადება და **სენა (სენით)** - მდინარე პარიზში.

გ) ცა მეტია

ვიდრე

ცამეტი...

ამ მაგალითშიც ვხვდებით ომონიმიაზე აგებულ კალამბურულ სიტყვათა თამაშს.

22. ომონიმურ რითმაზეა აგებული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ ზოგიერთი სტროფიც. მაგ:

სტროფი 142

ერთგან დასხდეს, ილადობეს, საუბარი **ასად აგეს**, (გააასეს)

ბროლ–ბალახში შეხვეული და გიშერი **ასადაგეს**; (ძვირფას თვლებად აქციეს)

ყმა ეტყვის, თუ: „შენთა მჭვრეტთა თავი ხელი **ა–სად აგეს!** (სად წაიყვანეს)

ცეცხლთა, შენგან მოდებულთა, გული ჩემი **ასადაგეს**. (დაწვეს)

სტროფი 184

ახალმან ფიფქმან დათოვა, ვარდი დათრთვილა, **დანასა**; (გააუხეშა)

მოუნდის გულსა დაცემა, ზოგჯერ მიჰმართოს **დანასა**; (დანა)

თქვის: „ჭირი ჩემი სოფელმან ოთხმოცდაათი **ანასა**, (ასად აქცია)

მოგშორდი ლხინსა ყველასა, ჩანგსა, ბარბითსა და **ნასა!**“ (და ანასა)

სტროფი 720

„ვინ უწინ ედემს ნაზარდიალვა მრგო, მომრწყო, **მახია**, (ხედ გამზარდა)

დღეს საწუთრომან ლახვარსა მიმცა, დანასა **მახია** (დამაგო)

დღეს გული ცეცხლსა უშრეტსა დაბმით დამიბა, **მახია** (მახეა)

სწყა ვცან, საქმე სოფლისა ზღაპარია და **ჩმახია!**“ (აბსურდულია)

ამგვარი ომონიმური რითმა და კალამბურული სიტყვათა თამაში, პოემას მეტ მხატვრულობას სძენს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ რთულია აღსაქმელად, მაგრამ მისი გენიალურობა სწორედ ასეთ მხატვრულ ხერხებსა და სირთულეში მდგომარეობს.

2. სტრუქტურულ - სემანტიკური კალამბური

განვიხილოთ სტრუქტურულ – სემანტიკური ორაზროვნების ფონზე შექმნილი კალამბურის მაგალითები ლიტერატურული ნაწარმოებებიდან.

1. მაგალითი შექსპირის პიესიდან (**Measure for Measure 1603–1604**).

Provost: Come hither, sirrah. Can you cut off a man's **head**?

Pompey: If the man be a bachelor, sir, I can; but if he be a married man, he's wife's head, and I can never cut off a woman's head.

(Shakespeare, Measure for Measure)

ნაწვეტის შინაარსია:

პროვოსტი: მომიახლოვდით ბატონო და მიპასუხეთ. შეძლებთ თუ არა კაცს თავი მოკვეთოთ?

პომპეი: მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კაცი მარტოხელაა; მაგრამ, თუ დაქორწინებულია, იგი ცოლის თავია და მე ვერასოდეს შევძლებ მოკვეთო თავი ქალს.

გამოთქმა **კაცი ქალის თავია**, როგორც ბიბლიიდანაა ცნობილი (1 კორ. 14:33), პომპეისაც იგივე აქვს მხედველობაში, როცა პასუხობს პროვოსტს ანუ, როგორც ჯენტლმენი, იგი თავს ვერ მოკვეთს ქალს.

დიალოგში, პირველ შემთხვევაში **head** გამოყენებულია მეტაფორული მნიშვნელობით – „**კაცი არის ქალის თავი**“. მეორე შემთხვევაში კი ჩვეულებრივ **თავი**, როგორც სხეულის ნაწილი. ამიტომ, ორაზროვნება იქმნება სინტაქსურ დონეზე. შესაძლებელია წინადადების ასეთი ინტერპრეტაციაც „ქმრის მოკვლა იგივეა, რაც ცოლის მოკვლა“.

